საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—48.

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 251 (1796)

დღიური

- ინგლისის საქალაქო არჩევნებში მუშათა პარტია იმარჯვებს.
- საბერძნეთში დაიწყო პარლამენტის არჩევნები.
- ინგლისური გაზეთების ცნობით, გერმანია განაგრძობს შეიარაღებას.
- დაიწყო შეერთებულ შტატების სენატის არჩევნები.
- ლამანშში გაიმართა ინგლისის სამხედრო ფლოტის მანევრები.

დღეს, ოთხშაბათს, ნოემბრის 3, საღამოს 7 საათზე შესდგება
საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ყველა წევრის და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა
საქ. ცაკის სამდივნო.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ლენინიზმის გამარჯვება

(„როტე ფანეს“ მეთაური წერილი)

ის „შეტევა“, რომელსაც ოპოზიციის უპრინციპო ბლოკი ტროცკისა და ზინოვიევის მეთაურობით საკავშირო კომპარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ აწარმოებდა, მთელს ფრონტზე დამარცხდა. ოპოზიციამ მიმართა ლენინგრადის მუშებს, ის შეუკავშირდა შლიაპნიკოვისა და მედვედიევის „მუშათა ოპოზიციას“, მაგრამ სწორეთ მუშებმა, უწინარეს ყოვლისა ლენინგრადის მუშებმა, პარტიიდან გასავალი კარები უჩვენეს ოპოზიციის წარმომადგენლებს. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა პარტიულ უჯრედებზე ფრაქციული თავდასხმა ხდებოდა, ლენინიზმმა დაიჭირა სასტიკი გამოცდა, რომლის მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე უკანასკნელ წლებში წარმოებული პარტიული დისკუსიების მნიშვნელობა. ეს დღეები, როცა ტროცკისა და ზინოვიევს „რევოლიუციის გადარჩენა“ უნდოდათ, ოთხს რასმე ამტკიცებს:

პირველი: ბოლშევიკურ ცენტრალიზმს ღრმა ფესვები აქვს გადგმული, ის მთელს პარტიას ქვედა უჯრედიდან უმაღლეს ინსტანციამდე ერთს რკინისებურ ერთეულში აყალიბებს.

მეორე: ლენინიზმის იდეოლოგიასა და სოციალიზმის აღმშენებელ პრაქტიკას შორის განუყოფელი ერთობა არსებობს.

მესამე: უიმედოა ლენინის პარტიის აფეთქების ცდა ოპოზიციური ჯგუფების მიერ, რომელნიც ნაწილობრივ სოციალისტური აღმშენებლობის სიძნელეებით საზრდოობენ, ნაწილობრივ ზინოვიევისა და კამენევის მერყეობით, ნაწილობრივ ტროცკის ანტილენინისტური სისტემით.

მეოთხე: ხელახლა მტკიცდება რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში 1903 წლიდან 1926 წლამდე ისტორიის მიერ მრავალჯერ დადასტურებული ფაქტი, რომ ტროცკიზმს არც რევოლიუციონური მუშების მიმხრობა შეუძლია, არც რევოლიუციის დაჩქარება ან გაძღოლა.

გაიმარჯვა არა მარტო ცენტრალურმა კომიტეტმა, დამარცხდნენ არა მარტო ტროცკი და ზინოვიევი, გაიმარჯვა ლენინიზმმა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის კოლექტიურ ერთეულშია განხორციელებული, დამარცხდა „წვრილბურჟუაზიულ - რადიკალური სული“, რომელიც მუდმივ თან ახლავს რევოლიუციას და რომელმაც თავისი განხორციელება იპოვა ლენინიზმის მოწინააღმდეგე ტროცკისა და ლენინიზმის „მერყევ აჩრდილს“ ზინოვიევში.

ოპოზიციის განცხადება ცენტრალური კომიტეტის კომპრომისის შედეგი როდია. ეს არის არა მარტო პარტიული დისციპლინისა და პარტიული მთლიანობის კანონებისადმი დამორჩილების აღიარება. აქ აღიარებულია აგრეთვე ოპოზიციის იდეოლოგიური დაშლა. პარტიის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ წარმოებული იერიშიდან ოპოზიციამ მხოლოდ ერთი დებულება გადაარჩინა: „დღესაც ჩვენ ამ შეხედულებათა ნიადაგზე ვდგევართო“. მაგრამ ეს „ნიადაგი“ მხოლოდ ოპოზიციური ბელადების თავებში არსებობს. ის სრულიად გამოთიშულია პარტიისაგან, მას აღმშენებლობითი მუშაობის პრაქტიკა აბათილებს. ეს „ნიადაგი“ უჯარო სარდლების უკან დასახევი ასპარეზია.

ლენინიზმის სახელით ცენტრალურმა კომიტეტმა პირდაპირ უთხრა ოპოზიციას: „ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციის იმ პრინციპიალური შეცდომების იდეოლოგიურად გაბათილებისათვის, რომელნიც მას არ უარუყვია, ყველა ზომები მივიღოთ, რათა პარტიული ერთობის მინიმუმი ფაქტიურად უზრუნველყოფილ იქმნას“.

ლენინიზმი იცნობს კომპრომისებს ტაქტიკაში, მაგრამ პრინციპების კომპრომისებს უარყოფს. ტროცკისა და ზინოვიევის ოპოზიციას უნდოდა ლენინისტური პრინციპები ტროცკის უპრინციპო ტაქტიკით შეეცვალა. გერმანელი კომუნისტები არ მოითხოვენ „კანოსაში წასვლას“. მაგრამ მთელი დედამიწის რევოლიუციური მოძრაობის ინტერესების გულისთვის ისინი მოითხოვენ, რომ მომავალში დაზღვეულნი დარჩნენ ტროცკიზმის თავდასხმებისაგან. ეს უნდა მოხდეს ყოველი პირობის გარეშე. ჩვენ მტკიცე რწმენა გვაქვს, რომ ჩვენი რუსული ძმური პარტიის ხელმძღვანელობით ასეთი გარანტია შეიქმნება კომინტერნში.

საკავშირო კომპარტიის ცეკას ცნობიდან სჩანს, რომ ოპოზიცია 4 ოქტომბერს კიდევ „ემხრობოდა ფრაქციული ბლოკის იდეას კომინტერნიდან გამორიცხულ რუტ ფიშერთან და მასლოვთან“. ხოლო 12 ოქტომბერს იგივე ოპოზიცია აცხადებს:

„ჩვენ განსაკუთრებით მიუღებლათ მიგვაჩნია იმ პირების მხარის დაჭერა, რომელნიც, როგორც მაგალითად რუტ ფიშერი და მასლოვი გამორიცხულნი არიან პარტიისა და კომინტერნიდან“.

ამრიგად, როგორც სჩანს, ის ნიადაგი, რომელზედაც ოპოზიცია სდგას მეტად მერყევია. მთელი თვეების განმავლობაში ამხანაგი ზინოვიევი ითმენდა, რომ კონტრ - რევოლიუციონერი კორში, რომლის შეხედულებით რუსეთის რევოლიუცია პროლეტარული კი არა, ბურჟუაზიულია, მის სახელს ფიცულობდა. მთელი თვეების განმავლობაში ამხანაგი ზინოვიევი სიტყვას ვერ პოულობდა იმ უხამსი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც მასლოვ—რუტ ფიშერი საკავშირო კომპარტიისა და კომინტერნის შესახებ ავრცელებდნენ. მთელი თვეების განმავლობაში ამხანაგ ზინოვიევის სახელით უსინდისო წვრილ-ბურჟუაზიული ავანტიურისტების ბრბო ხელს უშლიდა გერმანიის კომპარტიას გამოეყენებია მუშათა მოძრაობის გაცხოველება.

თვით ზინოვიევი კი სდუმდა. როცა სოციალ-დემოკრატი დელეგატები მასიურ კრებებზე აღფრთოვანებულ მოხსენებებს კითხულობდნენ და სოციალ-დემოკრატ მუშების სულს და გულს პროლეტარული დიქტატურის ქვეყნისკენ აპყრობდნენ, ზინოვიევის „უკიდურესი მემარცხენე ამხანაგები“ მისი სახელით ამ დელეგატებს მატყუარობას აბრალებდენ. გერმანელი კომუნისტები ასე ადვილად ვერ დაივიწყებენ ამ ვერაგობას...

ჩვენი პარტია მხარში ედგა საკავშირო კომპარტიას ლენინიზმისა და პარტიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს. ბრძოლის ფრონტი ინტერნაციონალური იყო. „უკიდურეს მემარცხენე ოპოზიციის“ დამარცხება საკავშირო კომპარტიაში, გავლენას იქონიებს გერმანიის კომპარტიის რაზმებშიც. ლოზუნგი: გაუმარჯოს ლენინგრადის ოპოზიციას—საპნის ბუშტათ იქცა. თვით ზინოვიევი და ტროცკი დღეს ბოროტი გამთიშავი სულის წინააღმდეგ მოუწოდებენ. თვით ისინი აღთქმას სდებენ, რომ „პარტიას ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაციისა და პარტიული დისციპლინის აღდგენის საქმეში“. იმ საკითხებში, რომელიც გერმანული ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება, კომპარტიის ოპოზიციას არაფერი აქვს სათქმელი, მას არ ძალუძს პარტიის მუშაობის განაყოფიერება. ოპოზიცია მოკლებულია ყოველივე პოლიტიკურ პლატფორმას, მას მხოლოდ ორი გზა-ღა დარჩენია: ან ამხანაგური თანამშრომლობა პარტიის უმრავლესობასთან იმ დიდი ამოცანების გადასაჭრელად, რომელიც ხელის შემწყობმა სიტუაციამ და პარტიის რევოლიუციურმა ტაქტიკამ შექმნა, ან ერთ მუჭა ინტრიგანების ჯგუფათ გადაქცევა და პარტიისაგან თანდათან ჩამოშორება.

მაგრამ გერმანიის კომპარტიაში ჯერ კიდევ მიღწეული არ არის „პარტიული მთლიანობისთვის აუცილებლად საჭირო მინიმუმი“. პარტია იმყოფება წარმატებითი რევოლიუციური მუშაობის ატმოსფერაში. მხოლოდ გამთიშველთა და ლიკვიდატორთა მცირე ჯგუფი უშლის ხელს პარტიას მთელი თავისი ძალები გაშალოს. მაგრამ კომპარტია გერმანიაშიც შექმნის ერთობისა და რევოლიუციის ბრძოლის დაცვის გარანტიებს.

ბერლინი, 19 ოქტომბერი.

თემსაბჭოების სავალდებულო დადგენილებათა შესახებ

საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიამ 1925 წ. 16 ივლისის სხდომაზე მიიღო დებულება სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების შესახებ. ეს დებულება სხვათა შორის თემსაბჭოებს ანიჭებს სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლებას. დებულების მე-7 მუხ. ამბობს: „სათემო საბჭო გამოსცემს თავის ტერიტორიისათვის სავალდებულო დადგენილებებს იმ წესითა და ფარგლებში, რომელნიც განსაზღვრული იქნება საამისოდ გამოცემული სპეციალური კანონით“.

აღნიშნული მუხლით სათემო საბჭოებს მიენიჭა საერთოდ სავ. დადგენილებათა გამოცემის უფლება, მაგრამ რა წესით და რა ფარგლებში, ეს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სპეციალური კანონით. ასეთი კანონის გამოცემა დაგვიანდა და სრულებით შეგნებულად, ვინაიდან ჯერ საჭირო იყო საბჭოების მუშაობის ჩამოყალიბება და გამოცოცხლება ახალი დებულების მიხედვით; შემდეგ დაიწყო 1926 წლის საბჭოთა არჩევნები და საჭირო იყო დაგვეცადა საბჭოების და აღმასკომების გადახალისებამდე. საბჭოთა არჩევნების შემდეგ შინსახკომმა შეიმუშავა კანონის პროექტი და წარუდგინა ცაკ-ს, რომელმაც დაამტკიცა იგი თავისი დადგენილებით ა.-წ. 22 ივნისის დადგენილებით.

აღნიშნული კანონის შეფარდებისათვის და განსავითარებლად შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა გამოსცეს ა.-წ. მიმდინარე ოქტომბრის თვეში დაწვრილებითი ინსტრუქცია.

ცაკ-ის დადგენილების 1-ლ მუხ. თანახმად, სათემო საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება: ა) სანიტარულ ღონისძიებათა მიღებისათვის (პირველ რიგში წყლის გაბინძურების წინააღმდეგ); ბ) სტიქიურ უბედურების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ბრძოლის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის; გ) ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღებისათვის; დ) ეპიდემიისა, ეპიზოტიისა და მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ე) ნათესებისა, ბაღებისა და სხვ. წახდენისა და გაფუჭების საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღებისათვის და ვ) გამვლელი ჯარების დაბინავებისათვის.

ამრიგად კანონი, როგორც ვხედავთ, საზღვრავს იმ კითხვების რიცხვს, რომელთა შესახებ თემსაბჭოს შეუძლია გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი. ასეთი განსაზღვრა აუცილებლად საჭირო იყო, ვინაიდან, ერთის მხრივ, ჩვენი ადგილობრივი ორგანოები და სამაზრო აღმასკომებიც (რომლებიც გაცილებით უფრო ერკვევიან ჩვენს კანონმდებლობაში, ვიდრე თემსაბჭოები) ხშირად ერევიან მოქალაქეთა კერძო ცხოვრების ისეთ მხარეებში, რომელთა რეგლამენტაცია განკარგულებებით და სავალდებულო დადგენილებებით შეუძლებელია და მიუღებელი და, მეორეს მხრით კი, ზოგჯერ გამოსცემენ სავალდებულო დადგენილებებს ისეთ საკითხების შესახებ, რომელთა მოგვარება და გადაწყვეტა უნდა მოხდეს საკანონმდებლო წესით და რეპუბლიკის მასშტაბით. ამიტომ, რამდენადაც ზედმეტ რეგლამენტაციაზე ხელის აღება, განმკარგულებელ ორგანოების რიცხვის შემცირება წარმოადგენს რევოლიუციონური კანონიერების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, აღნიშნულ კანონს თემსაბჭოებისა და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესის დადგენის დროს გეზი იქითკენ აქვს აღებული, რომ შემოფარგლოს ნუსხა იმ საგნებისა, რომელთა შესახებ შეუძლიათ მათ სავალდებულო დადგენილებები გამოსცენ.

მაგრამ საკითხების განსაზღვრულ რიცხვის დაწესება არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საკითხების შესახებ თემსაბჭოს საშუალება არ ჰქონდეს სრულებით გამოსცეს სავალდებულო დადგენილება. ასეთ შემთხვევაში კანონი აძლევს საშუალებას თემსაბჭოს აღძრას შუამდგომლობა სამაზრო აღმასკომის წინაშე, რათა უკანასკნელმა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება ისეთ საგნის გამო, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოდ-დასახელებულ საკითხების სიაში. ასეთი შუამდგომლობის გამო გამოცემული სავალდებულო დადგენილება შეიძლება, სამაზრო აღმასკომის დადგენილებით, მოქმედებდეს მხოლოდ იმ თემის ტერიტორიაზე, რომელი თემის საბჭომაც აღძრა შუამდგომლობა.

საყურადღებოა ხსენებულ კანონში ის მომენტები, რომლებიც აწესებენ სავალდებულო დადგენილებათა გამოქვეყნების წესს და მათი ძალაში შესვლის დროს. თემსაბჭოს სავალდებულო დადგენილების პროექტს ამტკიცებს სამაზრო აღმასკომი და მხოლოდ ამის შემდეგ შედის იგი ძალაში. გარდა ამისა სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის არა უადრეს ერთი კვირისა მისი გამოქვეყნების დღიდან, ხოლო გამონაკლის შეადგენს სავალდ. დადგენილება რომელიც ეხება სტიქიურ უბედურებისა, ეპიდემიისა და ეპიზოტიის წინააღმდეგ ბრძოლას, ან და გამვლელი ჯარის დაბინავებას: ასეთი დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. ერთი კვირის შემდეგ სავ. დადგენილების ძალაში შესვლა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან საჭიროა ამ დროის განმავლობაში საშუალება მიეცეს მოსახლეობას გაეცნოს დადგენილების შინაარსს.

დადგენილების შინარსის მოსახლეობისათვის ფართოდ გასაცნობად შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების ინსტრუქცია ავალებს თემაღმასკომებს: სავალდ. დადგენილება დაიგზავნოს თვითეულ სოფელში, გაიკრას თვალსაჩინო ადგილებზე, სავ. დადგენილებათა გამოკიდების დროს აღინიშნოს, სათემო საბჭოს წევრის ან საბჭოს ადგილობრივი რწმუნებულის ხელით, წელი, თვე და რიცხვი სავ. დადგენილების გამოკიდებისა, რომელი დროც ჩაითვლება სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების დღედ უწყებოლ სოფელში.

აგრეთვე ინსტრუქცია ავალებს საბჭოს, რათა უკანასკნელმა სავ. დადგენილების ძალაში შესვლამდე შესაფერი ღონისძიება მიიღოს, რომ იგი წაკითხულ იქნეს თვითეულ სოფლის მცხოვრებთა საზოგადო კრებაზე, სადაც განმარტებული უნდა იქნეს, როგორც სავალდებულო დადგენილების გამოცემის მიზანი, ისე მით სოფელზე და ცალკე მოქალაქეებზე დაკისრებული მოვალეობანი.

მეტად საყურადღებოა გლეხობისათვის და საერთოდ მოსახლეობისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის რაოდენობა. ამის შესახებ ხსენებული კანონი და ინსტრუქცია სავსებით ითვალისწინებს გლეხობის ინტერესებს, აწესებს რა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ისეთ უმნიშვნელო გადასახდელს, რომელიც მძიმედ არ დააწვება გლეხობის მეურნეობას. ცაკ-ის დადგენილების მე-5 მუხ. აღნიშნავს:

„სათემო საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაწესდება ადმინისტრატიული გადასახდელი: ა) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 5 მანეთისა და ბ) იძულებითი მუშაობა 5 დღემდე“.

გარდა ამისა ადმინისტრატიული გადასახდელის ზომის განსაზღვრის დროს კანონი ავალებს სათემო აღმასკომს მხედველობაში მიიღოს დამნაშავის ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა. ამ მხრივ აგრეთვე ფრიად საყურადღებოა ინსტრუქციის მე-17 მუხ. „დადგენილების გამოტანის დროს ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ სავ. დადგენილების დარღვევისათვის, სათემო აღმასკომმა ანგარიში უნდა გაუწიოს სოფლის მოსახლეობის მიერ მოქმედ კანონების უცოდინარობის და სოფლის ყოფა-ცხოვრების პირობებს, რომლებიც ხშირად დაბრკოლებას წარმოადგენენ იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რასაც სავალდებულო დადგენილება აწესებს“.

ამ მუხლის მნიშვნელობა მეტად დიდია. მისი პრაქტიკაში სწორად გატარება ბოლოს მოუღებს ადგილობრივ ორგანოების ცდებს და გადახრას ჯარიმებით მოსპონ ისეთი ნაკლულოვანებანი, რომელთა ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობითი და სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურულ დონის ზრდის საშუალებით. ამას ადგილებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ისინი არ უნდა გაიტაცოს „ადმინისტრატიულმა უფლებებმა“.

დადგენილება ადმინისტრატიულ გადასახდელის დადების შესახებ სისრულეში მოჰყავს მილიციას. იმ პირს, ვისაც ადმინისტრატიული გადასახდელი დაედო, ინსტრუქცია ანიჭებს უფლებას, გაასაჩივროს დადგენილება მაზრის აღმასკომში 7 დღის ვადაზე დღიდან გამოცხადებისა, მხოლოდ საჩივრის ან თხოვნის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

ასეთია მთავარი მომენტები იმ კანონისა, რომელიც შეეხება სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემას და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადებას. როგორც ვხედავთ, ხსენებული კანონი და ინსტრუქცია სავსებით შეფარდებულია სოფლად მუშაობის ახალი კურსის ძირითადი პრინციპებთან და, აძლევს რა ხელისუფლების ძირითად ორგანოებს თემსაბჭოებს და თემაღმასკომებს მნიშვნელოვან უფლებებს, საკმარისად იცავს გლეხობის ინტერესებს ამ ორგანოების მხრივ ადმინისტრატიულ თვითნებობის დაშვების შესაძლებლობისაგან.

დ. ქუჩულორია.

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია

(წერილი ინგლისიდან)

დღეს გაიხსნება ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მეტად მწვავე ფორმას მიიღებს ის საკითხები, რომელნიც უკანასკნელ წლებში ბრიტანეთის იმპერიის წინაშე იდგნენ, მიტომ, რომ უკანასკნელი საიმპერიო კონფერენციის შემდეგ დიდათ გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა დომინიონებში. ამ კონფერენციაზე როგორც კანადა, ისე სამხრეთი-აფრიკა ისეთი მთავრობის მიერ იქმნება წარმოდგენილი, რომელიც მტრულად არის განწყობილი ბრიტანეთის იმპერიის მჭიდრო გაერთიანების იდეისადმი.

საიმპერიო კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება დიდი-ბრიტანეთის და დომინიონების ბურჟუაზია, ესე იგი თეთრის რასის გაბატონებული ელემენტები ამ მსოფლიო იმპერიაში. ინდოეთის „წარმომადგენლები“ მთავრობის მიერ იქნებიან დანიშნულნი: ეგრედწოდებული „სა-ეფო კოლონიები“ და „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ საკოლონიო უწყების მიერ იქნებიან „წარმოდგენილი“. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა 50 მილიონს უდრის, „თეთრი დომინიონებისა“ 22 მილიონს; 450 მილიონი სულიდან, რომელიც მთელ ბრიტანეთის იმპერიაში სცხოვრობს ეს შეადგენს მხოლოდ 77 მილიონს. დიდ ფორმალურ დემოკრატიული თვალსაზრისით ეს კონფერენცია ბრიტანეთის იმპერიის ერთი მეშვიდედის წარმომადგენლობაა. სინამდვილეში ეს არის მხოლოდ ექსპლოატატორების კონფერენცია.

კონფერენციის მთავარი საკითხია დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა დომინიონების ბურჟუაზიასთან. დომინიონები იურიდიულად ბრიტანეთის ხელქვეითნი არიან (კონსტიტუციის მიხედვით, „ბრიტანეთის მეფის“ ხელქვეითნი) და სინამდვილეშიც მრავალმხრივ დიდ ბრიტანეთს ექვემდებარებიან პოლიტიკურად და ეკონომიურად, თუმცა ნომინალურად თითქმის უსაზღვრო დამოუკიდებლობით სარგებლობენ.

ფაქტიური მდგომარეობის გამოკვლევა ამტკიცებს, რომ აღებმიცემობის უდიდესი ნაწილი, როგორც იმპორტისა, ისე ექსპორტის მხრივ დიდ ბრიტანეთზე მოდის (კანადის გამოკლებით, რომელმაც, როგორც ამ მხრივ, ისე სხვა მხრივაც თითქმის სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია დიდი ბრიტანეთის მიმართ, მაგრამ სამაგიეროთ შეერთებული შტატების გავლენის სფეროში მოექცა); გარდა ამისა, მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალების მთავარი მასსა, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რამდენიმედ ჰიპოტეტური კაპიტალი და რკინისგზები ბრიტანეთის ხელშია: ეს კი მეტროპოლიას აძლევს, როგორც დომინიონების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების კონტროლის, ისე ყოველწლიური შემოსავლის ამოწურვის შესაძლებლობას; ბრიტანეთის მონოპოლიას შეადგენს აგრეთვე ფინანსიური უზრუნველყოფა და აქედან გამომდინარე კონტროლი ახალი წარმოებებისა; ბოლოს დომინიონები სტრატეგიულად (იმავე კანადის გამოკლებით) ბრიტანეთის ფლოტზე არიან დამოკიდებულნი, სხვაფრივ მათ არ შეუძლიათ დაიცვან ის უზარმაზარი ტერიტორია (მთელი დედამიწის მეშვიდედი), რომელიც მათ დაუჭერიათ და საკუთარი ძალებით მჭიდროთ დასახლებულ მეზობელ ქვეყნებს გაუმკლავდნენ.

დიდი ბრიტანეთისა და დომინიონების ეკონომიური კავშირის შესუსტება თვალსაჩინოთ სჩანს ვაჭრობისა და ფინანსების სტატისტიკაში, რომელიც ააშკარავებს, რომ დიდი ბრიტანეთის წილი საკოლონიო ბაზარზე თანდათან ეცემა. უპირატესობითი ბაჟების მიუხედავათ. ზოგიერთ დარგებში გაიზარდა შეერთებული შტატების წილით. ამას გარდა, დომინიონებში გაძლიერდა საკუთარი ინდუსტრია, ალაგ-ალაგ ეს ინდუსტრია მსოფლიო ბაზარზეც გამოვიდა ახალი კონკურენტის სახით.

რაც შეეხება ფინანსებს, დამახასიათებელია, რომ 1925 წელში ავსტრალიის მთავრობა ბრიტანეთის მთავრობის ნებართვით ნიუ-იორკში წავიდა, რათა იქ ფული ეშოვნა. 1925 წელს, ინგლისი, ოქროს მარაგის უზრუნველსაყოფად, იძულებული გახდა 6 თვით აეკრძალა სესხის მიცემა უცხოეთსა და კოლონიებისთვის; ამ გარემოებამ ხელი შეუწყო შეერთებული შტატების ფინანსების შეჭრას ბრიტანეთის კოლონიებსა და ახალშენებში. მაგალითად კანადაში ეს პროცესი იმდენად შორს წავიდა, რომ სახელმწიფოს და თვითმართველობის ობლიგაციების 17 პროცენტი და ინდუსტრიის აქციების 29 პროცენტი შეერთებული შტატების ხელშია, მაშინ როცა დიდ ბრიტანეთს მხოლოდ ობლიგაციების 16 პროცენტი და აქციების 7 პროცენტი ეკუთვნის.

ამ ეკონომიურ შემაკავშირებელ ძაფების დაშლასთან ერთად ხდებოდა პოლიტიკური შემაკავშირებელი ძაფების დაშლაც, რასაც დომინიონებში დამოუკიდებლობით პოლიტიკის განვითარება მოჰყვა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი ომის შემდეგ, როცა დომინიონებმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება დაიწყეს. ამ ჩქარის ნაბიჯით მიმავალი პროცესის საფეხურებია დამოუკიდებელი ხელისმოწერა ვერსალისა და ვაშინგტონის ხელშეკრულებაზე, კანადის მიერ ნაკარნახევი გაბათილება ინგლის-იაპონიის შეთანხმებისა, უარის თქმა ლოიდ ჯორჯის მოწოდებაზე, რომ დიდი ბრიტანეთის იმპერია 1922 წელს შეიარაღებული ძალით ჩარეოდა ოსმალეთ-საბერძნეთის ომში, დომინიონებისთვის დამოუკიდებელი ხელშეკრულებების დადებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლების მინიჭება 1923 წელს, თვითეულ დომინიონის პარლამენტისთვის ნომინალურად იმ უზენაესი უფლების მინიჭება, რომელიც ომისა და ზავის საკითხს შეეხება, ბოლოს დომინიონების მიერ ლოზანისა და ლოკარნოს ხელშეკრულებათა ცნობის უარყოფა. ამას ზედ ერთვის კანადისა და სამხრეთ-აფრიკის მიერ საკუთარი დროშის, ხოლო ავსტრალიის მიერ გენერალ-გუბერნატორის გადაყენების მოთხოვნა.

1923 წლის საიმპერიო კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკონომიურ საკითხებს და საიმპერიო კონფერენციასთან ერთად ეკონომიური კონფერენციაც შეიკრიბა. ამ ეკონომიურ კონფერენციაზე ვაჭრობის უწყების თავმჯდომარემ აღნიშნა სამი მომენტი, რომელიც საჭიროა მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად იმპერიაში: ერთია აღებმიცემობის და უპირატესობითი ბაჟების გადასახადების მოწესრიგება. მეორე—შემსუბუქება კრედიტისა და ფინანსების დარგში, მესამე—გადასახადების დარგში.

მაგრამ ყოველივე ამას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წინ დაუძლეველი დაბრკოლებები გადაეღობა. ფინანსიური კავშირის გაძლიერება შეუძლებელი გახდა დიდი ბრიტანეთის თავისუფალი კაპიტალების შემცირების გამო; მოსალოდნელია, რომ ეს ფინანსიური სისუსტე, შეერთებულ შტატებთან შედარებით, თანდათან იმატებს.

ამრიგათ მდგომარეობა ყოველმხრივ კრიტიკულია. უკანასკნელი დროის ამბებმა მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავეს. დღეს კონფერენციაზე სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელია არა „ლოიალური“ სმიტსი, არამედ მინისტრ-პრეზიდენტი ჰერცოგი, რომელიც წინააღმდეგი იყო სამხრეთ-აფრიკის მონაწილეობისა მსოფლიო ომში და დღეს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბელადათ ითვლება; ამ პარტიას კი პროგრამაში „სუვერენული დამოუკიდებლობა“ უწერია, ე. ი. სრული გამოყოფა იმპერიიდან. მართალია ჰერცოგმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ ღვინოში წყალი ჩაასხა და თავისი პოლიტიკური მიზანი „ინტერნაციონალური დამოუკიდებლობის“ იდეით შემოფარგლა, მაგრამ ინგლისელი იმპერიალისტები მაინც გაბოროტებით უცქერიან, როგორც მას, ისე მის უკან მდგომ ელემენტებს.

კანადიდან უშუალო საარჩევნო გამარჯვების შემდეგ ლიბერალი მეკენზი კინგი მოდის. ამ არჩევნების დროს ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორმა ლორდ ბინგმა აშკარათ დაარღვია კონსტიტუცია და რათა „ლოიალური“ კონსერვატიული პარტიის გამარჯვება უზრუნველეყო და დასტური მისცა კონსერვატიულ მთავრობას, რომ პარლამენტი დაეშალა. ამისდა მიუხედავათ ლიბერალებმა გაიმარჯვეს, რომელთა ბელადს, მეკენზი კინგს შეერთებული შტატების ფინანსისტებმა სალამი მიუძღვნეს, როგორც თავიანთ მეგობარს.

ბოლოს სახიფათო ხასიათს ღებულობს თვით ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს საკითხი, მიტომ რომ ირლანდიის წარმომადგენლები ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულობას გარდამავალ საფეხურათ სთვლიან დამოუკიდებელი რესპუბლიკისკენ. ჟენევაში ირლანდიამ ადგილი მოითხოვა ხალხთა ლიგის საბჭოში, მას დომინიონებმა მხარი დაუჭირეს, ხოლო ინგლისმა წინააღმდეგობა გაუწია.

ამრიგათ ფაქტიურად ბრიტანეთის მთავრობას მხოლოდ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ლოიალობის იმედი უნდა ჰქონდეს, მიტომ, რომ ამ ქვეყნების ტერიტორიალური ხელუხლებლობა დღეს ინგლისის ფლოტზეა დამოკიდებული. მაგრამ, როგორც სჩანს, თვით იქაც კი შეიცვალა სულიერი განწყობილება; ამის მაჩვენებელია ის აღფრთოვანება, რომლითაც ავსტრალიაში შეერთებული შტატების ფლოტს შეხვდნენ 1925 წელს.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ საიმპერიო კონფერენცია, რომელიც 19 ოქტომბერს შეიკრიბება, ყოველივე სანტიმენტალური დემონსტრაციების მიუხედავათ, გამოააშკარავებს იმ სიძნელეებს, რომელშიც დღეს ბრიტანეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური სისტემაა გახლართული.

პ. ლ.

ლონდონი, 19 ოქტომბერი.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენცია

მეშვიდე სხდომა

(პირდაპირი მავთულით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 3 ნოემბერი. დილის და საღამოს სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო. ამხ. რუძუტაკის სიტყვის შემდეგ, გამოდის ოპოზიციის მესამე ბელადი—ზინოვიევი, რომლის სიტყვაც უშინაარსო და უფერულია.

ზინოვიევის აზრით, კონფერენცია მათგან—ოპოზიციის ლიდერებისაგან მოელის იმ შინაპარტიული ბრძოლის მიზეზების ახსნას, რომელიც დასრულდა 16 ოქტომბრის განცხადებით. მაგრამ ეს ახსნა-განმარტება არც სხვა ლიდერებს და არც თვით ზინოვიევს არ მიუციათ კონფერენცი[illegible]ვის და სცდილობდენ დუმილით [illegible]დი აეხვიათ ყველა მნიშვნელოვან საკითხებისათვის ან და ბუნდოვან ფრაზებით ემართლებიათ თავი. თავის დუმილს დღის წესრიგის ყველა წინა პუნქტების გარშემო ისინი ხსნიდენ სურვილით მინიმუმამდე დაეყვანათ თავისი გამოსვლები.

ზინოვიევი უარჰყოფს ბრალდებას სოციალ-დემოკრატიულ გადახრაში. 16 ოქტომბრის განცხადებას ის სთვლის პოლიტიკურ დოკუმენტად, და არა მანევრად.

ზინოვიევი ამბობს, რომ დრო გვიჩვენებს შეასრულებს თუ არა ოპოზიცია 16 ოქტომბერს მოცემულ დაპირებებს.

ოპოზიციონური ბლოკის ყველა ლიდერებს ღირსეულ პასუხს აძლევს ამხ. **ბუხარინი**. ეს—დილის სხდომის ყველაზე საინტერესო, ბრწყინვალე, ცენტრალური ადგილია.

ბუხარინი, როგორც ჩვეულებრივ, მოხდენილად და დაწვრილებით არჩევს ოპოზიციის ყველა განცხადებებს.

ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენელთა გამოსვლა დამაფიქრებელია ამბობს ამხ. ბუხარინი. კამენევი, ტროცკი და ზინოვიევი ერთმანეთს სცვლიან ტრიბუნაზე და თავი ისე უჭირავთ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. სინამდვილეში კი საჭირო იყო მოგონება იმისი, რაც მოხდა და იმისიც, თუ რა შეხედულებებს ანვითარებდენ ისინი ამას წინად. ამ გადამწყვეტ ძირითად საკითხზე არაფერი თქმულა. ოპოზიციის ლიდერებს არაფერი უთქვამთ „ტერმიდორზე“ „კავენიაკზე“ და „რევოლიუციის მესაფლავეებზე“, მათ არაფერი სთქვეს იმის შესახებ, თუ რას ამბობდენ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებზე. მათ არ გაჰკიცხეს მთელი ეს [illegible] ფრაზეოლოგია და ამისათვის ისინი პასუხს აგებენ.

მათ არ უარყვეს ის, რასაც ამტკიცებდენ რამოდენიმე ხნის წინათ—რომ პარტია სცილდება ლენინიზმის რელსებს. არც კამენევის განცხადება, რომ პარტიის პოლიტიკა არ ეთანხმება ფართო მასების ინტერესებს, არც ტროცკის სიტყვები, რომ ჩვენი სახელმწიფო არ არის პროლეტარული, თუმცა ტროცკი შემდეგში ცდილობდა ეს სიტყვები გამოესწორებია. არაფერი არ სთქვეს „ბურჟუაზიული გადაგვარების შესახებ ზედაფენებში“ და „გლეხური ელემენტების არაჩვეულებრივად გაძლიერების შესახებ ქვედაფენებში“, არც პარტიის თითქო „კულაკური“ ხაზის შესახებ და სხ. არ მოიხსენიეს, რომ „პარტაპარატი ყელში წვდა მთელ პარტიას“ (ალბათ იმიტომ, რომ პარტია ყელში წვდა ოპოზიციას). არ ულაპარაკნიათ აგრეთვე ჩვენი პარტიის დაახლოების შესახებ მეორე ინტერნაციონალთან“.

ეს ერთი. მეორე საკითხია—ოპოზიციის პოლიტიკური ხაზი. ცნობილი ერთი მილიარდის შესახებ ამხ. ზინოვიევმა რაღაც უბადრუკი, უსუსური განმარტება მისცა კონფერენციას. ფასების პოლიტიკის—ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ,—და საქონლის გასაცემი ფასების გადიდების გეგმის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ.

ოპოზიციის ლიდერების მრავალ შემცდარ განცხადებათა შესახებ კამენევი უცნაურ პასუხს იძლევა: „კაცს რა არ წამოსცდებაო?“ მაგრამ ოპოზიციის ლიდერებს „წამოსცდათ“ არა ცალკე ფრაზები, არამედ მთელი სიტყვები.—ამ ლოღიკით რომ განვაგრძოთ,—ამბობს ამხ. ბუხარინი და მთელი კონფერენცია გულიანათ იცინის ამ სიტყვებზე,—შეიძლება ითქვას, რომ ზინოვიევს „წამოსცდა“ მთელი წიგნი—„ლენინიზმი“. ასეთი „წამოცდომის“ თეორიის საშუალებით კაცს შეუძლია ყოველგვარი ბრალდებისაგან იმართლოს თავი. „წამოცდენილის“ მთელი ჯამი წარმოადგენს პოლიტიკურ ხაზს ოპოზიციონური ბლოკისას, რომელიც ტროცკიზმს შეუთანხმდა. კამენევი და ზინოვიევი ეყრდნობიან ტროცკის, რომელიც ზურგზე აზის მათ (რასაკვირველია იდეურათ და არა ფიზიკურად).

ეხება რა ტროცკის პოზიციას პერმანენტული რევოლიუციისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხში, ამხანაგი ბუხარინი არკვევს და ცხადჰყოფს ტროცკიზმის სრულ უსაფუძვლობას. ამხანაგ ბუხარინს მოჰყავს სანიშნავი ციტატა ამხ. ლენინის წერილიდან „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“, სადაც ლენინი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ პროლეტარული დიქტატურის გამარჯვება კაპიტალიზმზე უზრუნველყოფილია, თუ ჩვენ არ დაგვამარცხა სამხედრო ძალამ. ჩვენი შინაური რესურსები საკმაო არის სოციალიზმის მშენებლობისათვის, გარანტიას ინტერვენციისაგან კი წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება.

ამხ. ბუხარინი ტროცკის მიერ პარტიის წინაშე საკითხის ასე დაყენებას, თითქოს შეუძლებელია მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება ათი წლის განმავლობაში, ცილის წამებათ თვლის. ტროცკი აღშფოთებული იყო იმით, რომ ბაუერს ადარებდენ, მაგრამ სრულიად არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რატომ არის მათ შორის შეხედულებების ასეთი მსგავსება რევოლიუციისა და გლეხობის როლის შეფასებაში.

ამხ. ტროცკი უარჰყოფს სოციალ-დემოკრატიულ გადახრას. მაგრამ ტროცკის სოციალ-დემოკრატიული გადახრა გამოიხატება იმაში, რომ, მისი აზრით, იმდენად არა საკმაო რევოლიუციის შინაგანი ძალა, რომ აუცილებელია პარტიის და ხელისუფლების გადაგვარება, რომ იზრდება სიძნელეები, რისთვისაც საჭიროა ნახტომებისა და სასოწარკვეთილად ხელების ქნევის პოლიტიკა, ჩვენ კი უფრო მტკიცე პოლიტიკას მივსდევთ.

ამხ. ტროცკი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ის მთლიანად ინარჩუნებს თავის იდეურ ავლა-დიდებას, ამიტომ საჭიროა რეგულიარული იდეური ბრძოლა ტროცკისტულ შეხედულებებთან, რადგან ტროცკის არ უნდა ისწავლოს რამე.

გადადის რა მეორე ოპოზიციონურ „გმირზე“—კამენევზე, ამ. ბუხარინი პასუხს აძლევს კამენევის შეკითხვაზე, ვის დანებდა ოპოზიცია და ვის წინაშე დაჰყარა მან თავისი ფარ-ხმალი, და ამბობს:—„ვის წინაშე ყრიდით თქვენ-თქვენს იარაღს ოქტომბერში? ობიექტიურად, თუმცა ეს ძალიან გასაკვირია, ბურჟუაზიის წინაშე, ასურათებდით რა მდგომარეობას ისე, რომ მუშებს ყველაფერი ცუდათ აქვთ, ხოლო ბურჟუაზიას კარგადო. ეხლა ამხ. კამენევმა აბივით გადაყლაპა თავისი ოქტომბრის შეცდომები.

რაც შეეხება ზინოვიევს, მას არ ჰყოფნის ელემენტარული გამბედაობა აღიაროს თავისი შეცდომები ჩვენი სახელმწიფოს დახასიათების საკითხში. საბუთები, რომლებსაც ეყრდნობოდა ზინოვიევი, იმდენად მოძველებულია, რომ მათგან საჰამანდის მოხარშვაც კი არ შეიძლება, — ამბობს ამხ. ბუხარინი.

მიუხედავათ ოპოზიციის წინასწარმეტყველებისა და მათდა საწინააღმდეგოდ, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ! — ათავებს სიტყვას ამხ. ბუხარინი. სიტყვის დასასრულ კონფერენცია მას ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს.

ბუხარინის შემდეგ გამოდის ამხ. ოსინსკი, რომელიც ამბობს, რომ ის არ ეთანხმებოდა ცეკას უმრავლესობას შინაპარტიული დემოკრატიის საკითხში, მაგრამ რაც შეეხება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხს ამაში იგი სავსებით ეთანხმება სტალინს და თავის სიტყვაში ხაზგასმით იცავს შეხედულებას, რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ არა ჩვენთვის, არამედ ყველასთვის, მთელი მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

საღამოს სხდომაზე კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. უგლანოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი და ფილიპე მახარაძე.

ამხ. მახარაძე თავის სიტყვაში ეხება ოპოზიციის ლიდერების გამოსვლას, ოპოზიციის ლიდერების გამოსვლა.—ამბობს ის, გვიმტკიცებს ჩვენ, რომ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დაგვჭირდება პარტიის მთლიანობის დასამყარებლად. ოპოზიციონერებმა საქართველოშიაც ასტეხეს განგაში, მაგრამ შედეგი მეტად სავალალო აღმოჩნდა მათთვის. არ კმარა ოპოზიციის ლიდერების მარტო ერთი განცხადება ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღების შესახებ. საჭიროა, რომ მათ აგრეთვე, ხელი აიღონ შემცდარ არალენინურ შეხედულებებზე და გაიზიარონ საერთო პარტიული ხაზი.

ხვალ კონფერენციის მერვე და უკანასკნელი დღეა, რომელზედაც საბოლოო სიტყვით გამოვა ამხ. სტალინი.

მიხ. კახიანი.

დილის 5 საათი. მოსკოვი, 3 ნოემბერი.

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო

2 ნოემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 2 ნოემბერი. პარტკონფერენციის სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო.

პირველად კამათში გამოვიდა ამხ. **რუძუტაკი**.

მას შემდეგ გამოვიდა ამხ. **ზინოვიევი**.

უდიდესი ყურადღებით მოისმინა კონფერენციამ სიტყვა ამხ. **ბუხარინის**, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა.

კონფერენციის საღამოს სხდომაზე გაგრძელდება კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო.

2 ნოემბრის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 2 ნოემბერი. პარტკონფერენციის 2 ნოემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო.

პირველად კამათში გამოდის ამხ. **უგლანოვი**, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

უგლანოვის შემდეგ გამოდის უკრაინის კ. პ. ცეკას მდივანი, ამხ. **კაგანოვიჩი**, რომელსაც, აგრეთვე, მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხ. კაგანოვიჩის შემდეგ გამოდიან ამხ. **ბააზე** (კოლექტივი „წითელი პუტილოველი“) და **მახარაძე**.

დიდი ყურადღებით ისმენს კონფერენცია ამხ. **მოლოტოვის** სიტყვას, რომლის გამოჩენაც ტრიბუნაზე იწვევს მთელი კონფერენციის მხურვალე ტაშს.

უკანასკნელად კამათში გამოვიდა ამხ. **მიკოიანი**.

პრეზიდიუმის წინადადებით კონფერენციამ მიიღო მისი მუშაობის დასრულების შემდეგი დღის წესი:

ხვალ, 3 ნოემბერს, დღის 12 საათამდე გაგრძელდება კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო. ამის შემდეგ კონფერენცია მოისმენს ამხ. **სტალინის** საბოლოო სიტყვას და გამოიტანს რეზოლიუციებს ყველა მოხსენებებზე.

სატელეგრაფო ხაზის დაზიანების გამო პარტკონფერენციის ანგარიში დღეს არ მიგვიღია.

რედ.

გაზეთების მიმოხილვა

უცხოეთის პრესა

მენშევიკები და ოპოზიციის დამარცხება

ოპოზიციის გამოსვლამ ჩვენი პარტიის და მისი ცენტრალური ორგანოების წინააღმდეგ, ოპოზიციის მიერ დისციპლინის უმაგალითო, ტლანქმა დარღვევამ, ყოველივე ამით გამოწვეულმა შინაპარტიულმა ბრძოლამ ისე აუთამაშა მადა კონტრ-რევოლიუციის ბანაკს, იმდენი ილიუზიები დაბადა მასში პარტიის გათიშვისა და ხელისუფლების დანგრევის შესახებ, იმდენად დიდი წინასწარი სიხარული გამოიწვია ასეთმა ილიუზიებმა, რომ პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო მთელი ეს ბანაკი და საშინელი დაბნეულობა გამოიწვია იქ ოპოზიციის ცნობილმა დეკლარაციამ. თქვენ წარმოიდგინეთ: ბედნიერება ასე ახლო მოელანდა კონტრ-რევოლიუციონერებს, ასეთი ზეიმით მოელოდენ ისინი „რაღაცას“ და... უცებ საქმის მოულოდნელი დაბოლოება, იმედების გაცრუება, ილიუზიების დამსხვრევა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდენ გერმანელი მენშევიკები, ერთ-ერთი რაზმი ამ კონტრ-რევოლიუციის. თვალები გამოუშტერდათ, პირი დააღეს, დაიბნენ და ახსნა განმარტებისათვის მიმართეს თავიანთ მეგობრებს რუს მენშევიკებს, რომლებიც არა ნაკლებ დაბნეულები აღმოჩნდენ და დამწუხრებულები ოპოზიციის კაპიტულაციით.

„ფორვერტს“-მა გამოაქვეყნა (19 ოქტომბერს) რუს მენშევიკების ერთ-ერთი ბელადის, **დ. დალინის**, წერილი, რომელშიც ის არწმუნებს განცვიფრებულ გერმანელ მენშევიკებს, რომ ოპოზიციის დეკლარაცია არ ნიშნავს არც პარტიის გამარჯვებას, არც ოპოზიციის დამარცხებას, „არც ლოკარნოს კომუნიზმისაო“, არც „ბრესტლიტოვსკს ან ვერსალს“ ოპოზიციისას“. „არც ომს არც ზავს“, არამედ ეს არის მხოლოდ დროებითი ზავი (Waffenstillstand) ბრძოლის დროებითი შეწყვეტა, რომლის დროს მოხდება ძალთა გადაჯგუფება და კვლავ ბრძოლა გაჩაღდება, შეიძლება არა მალე, მაგრამ ოდესმე მაინც გაჩაღდებაო. ასე აიმედებს რუსი მენშევიკი თავის გერმანელ მეგობრებს.

არც დამარცხება არც გამარჯვება! მაგრამ წერილის წერის დროს იმდენად ჩაითრია ავტორი საქმის ნამდვილმა ვითარებამ და ფაქტებმა, რომ ბოლოს და ბოლოს ოპოზიცია მაინც სასტიკად დამარცხებული გამოიყვანა, როგორც ეს მართლაც არის.

„პარტიულმა ცენტრმა ე. ი. მთავრობამ— უმატებს ღრმაზროვნად უკანასკნელ სიტყვას ავტორი—სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე გაშლილ ბრძოლაში, ე. ი. პარტიულ კრებებზე. მან მოახერხა პარტიის უდიდეს უმრავლესობას უარი ეთქვა დისკუსიაზე და გამოსვლის ნებაც არ მიეცა ოპოზიციის ორატორებისათვის. გარდა ამისა პარტიამ მოახერხა, რომ ოპოზიცია წარმოდგენილი ყოფილიყო კონფერენციაზე უმნიშვნელო უმცირესობით“-ო.

რაც უფრო აგრძელებს წერას ავტორი მით უფრო და უფრო აღიარებს ის ისეთ რამეებს, რაც ასე არ ესიამოვნება მენშევიკების ყურთა სმენას.

„ოპოზიციამ ძალიან ოპტიმისტურათ შეაფასა როგორც თავისი ბელადები, ისე თავისი მიმდევრების პოლიტიკური აქტივობა, ენერგია და ნდობა. მან წილად ერგო ისეთი საშინელი დამარცხება („fürchterliche Niederlage“) რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება. პარტიის წევრთა მასის ერთმა პროცენტმაც კი არ მისცა ხმა იმ ბელადებს, რომლებიც კომუნისტების საქვეყნოთ ცნობილ ბელადების რიცხვის სამ მესამედს წარმოადგენენ. პუტილოვის ქარხანაში ზინოვიევის მოსმენაც კი არ სურდათ. საპრონოვს უყვირეს და უსტვინეს“.

ჩვენ არ ვიცით რომელი არითმეტიკიდან გამოდის ავტორი, როდესაც სამი მეოთხედით საზღვრავს ოპოზიციის ბელადების რიცხვს, მაგრამ საკითხავია აქ უფრო მეორე რამ. საკითხავია ის, არის თუ არა ეს დამარცხება, რომლის დამალვას „ხალთაში“ ავტორი ვერ ახერხებს ოპოზიციის მართლა „ბრესტი“ და „ვერსალი“?

რაც არ უნდა სთქვან მენშევიკებმა და დანარჩენმა კონტრ-რევოლიუციონერებმა, მათ საშინელი საქმე დაემართად. ოპოზიციის დამარცხება საბოლოო ანგარიშით ეს მათი დამარცხებაა და დამარცხება სასტიკი. რა არის გასაკვირი თუ კონტრ-რევოლიუციას არ სურს აღიაროს აშკარად და გაბედულად ყოველივე ეს, ან ისე აღიაროს, რომ „კომენტარიებში“ ჩაარჩოს ამ ფაქტის ნამდვილი მნიშვნელობა?

ამაო ცდაა!

თეთრგვარდიელთა პრესა

სასაცილო ამბავი

როდესაც ამ ორი კვირის წინად ჩვენ კომენტარიებს ვუკეთებდით ოპოზიციის ცნობილ დეკლარაციას, მაშინ ვთქვით, რომ ოპოზიციის დამორჩილება პარტიის ნებისყოფისადმი გამოიწვევს კბილთა ღრჭენას თეთრგვარდიელებში, ოპოზიციონერებს მონათლავენ კაპიტულიანტების და სხვა მსგავსი სახელებითთქო. ასეც მოხდა. თეთრგვარდიელთა აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. იგონებენ და ვერ მოუგონიათ, ეძებენ და ვერ მოუძებნიათ ყველაზე უფრო დამამცირებელი ეპიტეტები ჩვენი ოპოზიციონერების შესამკობათ. მათ ზომიერად მიაჩნიათ ის ლანძღვა-გინებაც, რომლითაც, როგორც მკითხველი ნახავს ქვემოთ, უმასპინძლდებიან ისინი ოპოზიციას.

გასაკვირალი არ არის კონტრ-რევოლიუციონერების აღელვება. მათ კარგი საქმე არ მოსვლიათ. ოპოზიციის გამოსვლის გამო ისინი სიხარულით, როგორც იტყვიან, ცას სწვდენ. ირღვევა კომპარტია, კომინტერნი, ინგრევა საბჭოთა ხელისუფლებაო — გაჰკიოდენ ისინი. ბედნიერება მოელანდათ, ხელები გაშალეს მის დასაჭერათ და შერჩათ კი ხელში... სიცარიელე.

მემარჯვენე კადეტების ორგანო „რულ“-ი (19 ოქტ.) სწერს თავის მეთაურ წერილში:

„როდესაც ამ ხუთი დღის წინად ჩვენ ცნობა მოგვივიდა იმის შესახებ, რომ მებრძოლ ბელადებს შორის შერიგება ხდებაო, მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩვენ ეს არ გვჯეროდა, ვერ ვბედავდით ამის დაჯერებას. თუმცა ჩვენ ეს ცნობა ისეთი წყაროებიდან მივიღეთ, რომლებშიც ეჭვის შეტანა ძნელი იყო, მაგრამ ისინი გვეჩვენებოდა იმდენად შეუძლებლად, რომ ამ ცნობის კატეგორიულობა ჩვენ შევარბილეთ და ვთქვით, რომ მოსკოვში დაჟინებით ლაპარაკობენ მხარეთა შორის ჩამოვარდნილ შეთანხმებაზეთქო“.

მეთაურის ავტორი უხსნის თავის მკითხველებს რატომ არ სჯეროდა მას ეს საშინელი ამბავი, უთითებს იმაზე თუ როგორ გადაჭრით გამოდიოდა ოპოზიცია ცეკას წინააღმდეგ და სხვ.

„ასეთი გამოსვლის შემდეგ ვის მოუვიდოდა აზრათ, რომ ოპოზიცია შეურიგდებოდა ცეკას. ვინ იფიქრებდა, რომ ოპოზიციონერებს კვლავ დაუშვებდენ პარტიაში? ვინ გაბედავდა ამაზე ფიქრს? მაგრამ, როგორც ხედავთ შეუძლებელი შესაძლებელი შეიქნა. ჩვენი ეჭვები ფუჭი აღმოჩნდა. ოპოზიციამ გულწრფელად მოინანია თავისი ცოდვები და ცეკამაც პარტიის მთლიანობა აღადგინა“.

ვაი დაღუპულებს! რას მოელოდენ და რას მოესწრენ!

„ჩვენ არასოდეს არ ვიყავით დიდი წარმოდგენის ოპოზიციაზე—გვატყუებს ავტორი—მაგრამ „შერიგების“ ასეთ ფორმას აბა ვინ იფიქრებდა? Нужно же было придумать такой выход, чтобы каждый спросил себя: что же? Эти господа—ოპოზიციონერებზეა ლაპარაკი — душевно больные или просто хулиганы?“

ასე აგინებენ და ლანძღავენ ოპოზიციონერებს ეს მართლა პირწავარდნილი პასპორტიანი და რეგისტრაციაქმნილი ხულიგანები, იგინებიან რადგან ერთხელ კიდევ საშინლად „ჩაიწვენ“ და მოიტეხეს კისერი.

მაგრამ ერთი შეხედეთ ამ შუბლ მაგრებს, როგორ უნდათ მოაჩვენონ თავიანთ მკითხველებს, რომ ისინი „იხტიბარს არ იტეხენ“. ხომ მიცვალებულია მათ ჩამონგრეულ და გატიალებულ ქოხში, სადაც ქარი ზუზუნებს ყველა მიმართულებით,—მიუხედავათ ამისა, ისე სურთ გაასაღონ ეს ტირილი თავიანთ ბანაკში თითქოს ეს ქორწილი იყვეს და ნასიამოვნები ყარაჩოღულად მრავალ-ჟამიერს გაჰკიოდენ.

„იმის მაგიერ—სწერს „რულ“-ი—რომ ოპოზიციონერებს უყვირონ: „სირცხვილი თქვენ!“ მათ აწი მისალმებიან და ამ მისალმებას ვუერთდებით ჩვენც, რადგან პარტიას ოდესმე თუ განუცდია ასეთი დამარცხება“.

სწორეთ, რომ შესანიშნავად ანუგეშებენ თავს კადეტები. ამისთანა ხალხზე იტყვიან: „მიაფურთხე და გაიარე“-ო.

რადგან, სად მოიჩვენა კადეტს პარტიის დამარცხება? რაში დაინახა მან ის? რასაკვირველია არსად და არაფერში. სწორეთ „რულ“-ის გულმოსული და გესლიანი უძლურება არის იმის მაჩვენებელი, რომ თვითონ მას არ სჯერა რასაც ჩმახავს.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო— უთქვამთ. კონტრ - რევოლიუციონერები დაჩვეული არიან ჩვენი მალ-მალ დაღუპვის წინასწარმეტყველებას და ამ წინასწარმეტყველების კიდევ და კიდევ დამარცხებას.

ასე მოხდა ეხლაც.

ინგლისელი კრედიტორები საჭიროდ თვლიან შეთანხმებას საბჭ. მთავრობასთან

ინგლისის სამთამადნო მუშები განაგრძობენ ბრძოლას

პოლიციამ ქვანახშირის რაიონებში აკრძალა მიტინგები

გერმანელი მენშევიკები აღიარებენ კომპარტიის გამარჯვებას საქსონიის არჩევნებში

მემაღაროეთა ბრძოლა

ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე

ლონდონი, 2 ნოემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს კუკმა განაცხადა:

„მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა მემაღაროეთა ფედერაციის პოზიცია უცვლელია. ფედერაციის აღმასკომს არ უწარმოებია არავითარი მოლაპარაკება და არ მიუღია არავითარი ისეთი დადგენილება, რომელიც მოასწავებდა მისი პოლიტიკის შეცვლას. აღმასკომი კვლავინდებურად სასტიკად ილაშქრებს შრომის ხელფასის შემცირების, სამუშაო დღის გადიდების და რაიონულ შეთანხმებათა წინააღმდეგ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა დაგვეხმარება ჩვენ როგორც ფინანსიურად, ისე სხვა ღონისძიებებით, ჩვენი რუსი ამხანაგების მსგავსად. თუ ფინანსიური დახმარება აღმოგვიჩინეს, ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს დახმარება გვესაჭიროება სასწრაფოდ, რადგან მაღაროს პატრონები და მთავრობა ყოველ ღონისძიებას მიმართავენ, რომ სიმშილით ამოგვხოცონ.

მე ახლახან მივიღე დეპეშა საკავშირო პროფსაბჭოსაგან ერთი მილიონი მანეთის გადმოგზავნის შესახებ. და ძმური სალამი, რომელიც გაამხნევებს მემაღაროებს და ახალ ძალებს შემატებს მათ ბრძოლის გასაგრძელებლად. ერთი მილიონი მანეთის მიღება გაამხნევებს მემაღაროეთა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მომავალ (4 ნოემბრის) ხადელეგატო კონფერენციაზე და გააძლიერებს მათ გადაწყვეტილებას განაგრძონ ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე".

მემაღაროეთა აღმასკომის სხდომა

ლონდონი, 2 ნოემბერი. მემაღაროეთა აღმასკომის დღევანდელ კონფერენციაზე ტრანსპორტის მუშათა სხვადასხვა პროფკავშირებთან ერთად განხილულ იქნა უცხოეთიდან ნახშირის შემოზიდვისათვის ხელის შეშლის საკითხი.

ოფიციალურ ცნობაში კონფერენციის შესახებ, ნათქვამია, რომ საკითხის განხილვა გადაიდო ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს მოხსენების მოსმენამდე.

ცნობაში არაფერი არ არის ნათქვამი კონფერენციაზე გამოთქმულ შეხედულებათა შესახებ, მაგრამ ეს დუმილი იმისი მაჩვენებელია, რომ ტრანსპორტის მუშების ლიდერები უარყოფითად უყურებენ უცხოეთიდან ნახშირის შემოტანისათვის ხელის შეშლას.

გაფიცვა გაგრძელდება

ბერლინი, 1 ნოემბერი. საქმესთან ახლო მდგომ ინგლისური გაზეთის „სტარ"-ის ცნობით, სანახშირო გაფიცვის მოგვარება ჯერ-ჯერობით მოსალოდნელი არაა. ქვანახშირის ნაკლებობა ინგლისში საგრძნობლად იზრდება. გუშინ რკინის გზებმა შემცირეს 110 მატარებელი.

კუკის განცხადება

ლონდონი, 2 ნოემბერი. ლივერპულში გამოსვლის დროს კუკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი მართალია დათანხმდა მოლაპარაკება გამართოს მაღაროს მეპატრონეებთან, მაგრამ მას ხელები არ შეუკრავს რაიმე დაპირებით.

„რაც არ უნდა წამოიწყოს გენერალურმა საბჭომ — სთქვა კუკმა—არავითარი მისი პოლიტიკა ჩვენთვის სავალდებულო არ არის. ეს საკითხი უნდა გადასწყვიტონ იმათ, ვინც მაღაროებში შრომობს თუ მთავრობა წარმოადგენს რაიმე ახალ პირობებს, ამის შესახებ თვით მან განაცხადოს, რადგან მემაღაროები წინანდებურად მზად არიან მოლაპარაკება გამართონ კონფლიქტის საპატიო მოწესრიგების შესახებ. აპრილის პირობები ძალაში რჩებიან და ჩვენ ეხლა უფრო მეტად, ვინემ ოდესმე იმედი გვაქვს, რომ ეს პირობები მიღებულ უნდა იქნან. ჩვენ ვიბრძვით მთელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, და ამიტომ მან უნდა მოგვაწოდოს საჭირო საშუალებები. თუ პროფკავშირები დახმარებას გაგვიწევენ, ისინი გაგვამაგრებენ ჩვენ და ჩვენს მოთხოვნილებას მეტი ძალა ექნება მოლაპარაკების დროს. ამ შემთხვევაში პროფკავშირი ღებულობს უფლებას თავისი პრეტენზია წარმოადგინოს მოლაპარაკების განახლებაში მონაწილეობის მიღებაზე. მე უნდა მივმართო მთელს ქვეყანას გაფრთხილებით: თუ მემაღაროები აიძულეს იმუშაონ შვიდ საათზე მეტი ყოველდღიურად, მაშინ მემაღაროები ნამდვილად როდი იმუშავებენ. ისინი დაბრუნდებიან მაღაროებში არა სამუშაოდ, არამედ დასანგრევად. ამ შემთხვევაში ჩვენ დავიწყებთ პარტიზანულ ომს. ჩვენ ვიბრძოლებთ უფრო მეტი ენერგიით, ვინემ ოდესმე გვიბრძოლია.

მიტინგების აკრძალვა

ლონდონი, 2 ნოემბერი. იუწყებიან პოლიციის მიერ მიტინგების აკრძალვის ახალი შემთხვევების შესახებ. მემაღაროეთა მიტინგები აკრძალეს იორკშირსა და შოტლანდიაში.

მემაღაროეთა დახმარების საკითხი

ლონდონი, 2 ნოემბერი. ხვალ შესდგება ყველა ტრედიუნიონების წარმომადგენლების კრება გაფიცულ მემაღაროეთა დახმარების საკითხის განსახილავად.

ემბარგო

ლონდონი, 1 ნოემბერი. ვანკარშირში წარმოთქმულ სიტყვაში კუკმა კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ მოლაპარაკების განახლების შემთხვევაში მოლაპარაკება უნდა აწარმოოს სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა და არა ფედერალურმა საბჭომ.

შემდეგ მან განაცხადა, რომ ემბარგოს გამოცხადება თუნდაც ერთი კვირით კონფლიქტს ექვსი საათის განმავლობა-

მემარცხენე ბლოკის დაშლა

საკუთარი სიით

ბერლინი, 1 ნოემბერი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალური საბჭო სენატის მომავალ არჩევნებში გამოდის დამოუკიდებელი სიით, რაც მემარცხენე ბლოკის საბოლოო დაშლას ნიშნავს. ინვერიდან პარტია გამოსცემს პარიზში საკუთარ ორგანოს.

გადახრა მარცხნივ

პარიზი, 1 ნოემბერი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალურმა საბჭომ დაადგინა გამოვიდეს სენატის არჩევნებში ისეთი სიით, რომელიც განსაკუთრებით სოციალისტებისაგან იქნება შემდგარი. ამასთანავე მომავალ არჩევნებში ის შესაძლებლად სცნობს კოალიციას მემარცხენე პარტიებთან.

გენერალურმა საბჭომ 2.945 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 104 ხმისა დაადასტურა პოლ-ბონკურის მანდატი ჟენევაში.

კომპარტიის გამარჯვება

ბერლინი, 1 ოქტომბერი. „ფორვერტს"-ი აღიარებს, რომ კომპარტიას საქსონიის არჩევნებში მნიშვნელოვანი გამარჯვება ხვდა წილად, რასაც გაზეთები მიაწერენ უმუშევრობასა და მასების გაღატაკებას.

„როტე ფანე" აღნიშნავს, რომ გერმანიაში არც ერთი საარჩევნო ბრძოლის დროს კომუნისტების პრინციპიალური ლოზუნგები არასოდეს არ ყოფილა ისე პირველ რიგში წამოყენებული, როგორც ამ არჩევნების დროს საქსონიაში.

ინგლისის ფლოტი

ლონდონი, 1 ნოემბერი. 30 ოქტომბერს ლამანშში საიმპერიო კონფერენციის წევრების თანდასწრებით გაიმართა სამხედრო-საზღვაო მანევრები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთის ფლოტის ატლანტიდის ესკადრის 40—50 სამხედრო გემმა. ნაჩვენები სამხედრო-საზღვაო ოპერაციები სხვადასხვაობითა და მასშტაბით სჭარბობდა ყველა ოპერაციებს, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ დარგში ომის შემდეგ.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა

ბერლინი, 2 ნოემბერი. ცენტრის პარტიის ცენ. კომიტეტის სხდომაზე გამოსვლის დროს ერფურტში რეიხს კანცლერმა მარქსმა წარმოსთქვა სიტყვა გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მარქსმა აღნიშნა, რომ ამჟამად ნაციონალისტებმაც იცნეს გერმანიის მთავრობის პოლიტიკის სისწორე, რომელიც მიმართულია დასავლეთ სახელმწიფოებთან ურთიერთ გაგების დამყარებისაკენ. საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკების გამო, მარქსმა განაცხადა, რომ როგორც გამორკვეულია, გერმანიას შეუძლია მოითხოვოს ოკუპაციაქმნილი ოლქების განთავისუფლება, როგორც-კი გამონახული იქნება ამ საკითხისადმი სწორი ფინანსიური მიდგომა.

ოქტომბრის რევოლუციის მე-9 წლის თავისათვის

მუშათა მასიურ დემონსტრაციის გეგმა

მუშათა მასიურ დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მუშები და მოსამსახურეები, თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები, შრომის სკოლის უფროსი ჯგუფების (7,8,9) და ტექნიკუმების მოწაფეები, მუშფაკების და უმაღლეს სასწავლებლების მსმენელები და პიონერთა ორგანიზაციები.

დემონსტრაციები ეწყობა რაიონების მიხედვით.

რაიონების დარაზმვის წესი

I რაიონი

ცენტრალური შესაკრები ადგილი არის ლენინის უბანი პარტიის რაიკომთან. აქ დემონსტრაციის მონაწილეები ირაზმებიან მწკრივებათ, თითო მწკრივში 10 კაცის შემადგენლობით, და მიემართებიან რუსთაველის პროსპექტისაკენ საბჭოთა და ჟორესის ქუჩებით და ვერის ხიდით დილის სრულ 10 საათისათვის დემონსტრაციის წინა ნაწილი უახლოვდება ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის შენობას.

II რაიონი

ცენტრალური შესაკრები ადგილი პარტიის რაიკომთან. დემონსტრაციის მონაწილეები ირაზმებიან ათ-ათ კაციან მწკრივებათ და გაყვებიან უკან პირველი რაიონის დემონსტრაციას.

III რაიონი

შესაკრები ადგილი პარტიის რაიკომთან. ათ-ათ კაცათ დარაზმული დემონსტრაცია დაიძვრის ციციანოვის დაღმართისაკენ, გაივლის მუხრანის ხიდს, თავისუფლების მოედანს, სასახლის ქუჩას, გავა რუსთაველის პროსპექტზე და თავისი წინა ნაწილით დილის სრულ 10 საათზე დაუახლოვდება ფიზკულტურის შენობას (ყოფილი სამხედრო ტაძარი).

ფიზკულტურის შენობასთან იკრიბება თბილისის ფიზკულტურის ორგანიზაცია, რომელიც შეუერთდება მესამე რაიონის დემონსტრაციას.

IV რაიონი

შესაკრები ადგილი—სოლოლაკის ქუჩა. ათ-ათ კაცათ დარაზმული დემონსტრაცია უშუალოდ მიჰყვება უკან მესამე რაიონს.

ყველა სამხედრო ნაწილები და სამხედრო უწყების სამართველოები და დაწესებულებები და აგრეთვე სკოლები მიმაგრებული არიან იმ რაიონებთან, რომლებთანაც დაკავშირებული არიან ტერიტორიალურათ.

მსვლელობის წესრიგი

დემონსტრაციის მსვლელობა დაიწყება სრულ 10 ნახევარ საათზე.

პირველი და მის შემდეგ მეორე რაიონი მიემართებიან რუსთაველის პროსპექტის მარცხენა ნაპირით, გაუვლიან ცეკას და ტეკას წინ მდგომ ცენტრალურ ტრიბუნას, მივლენ მუზეუმის შენობამდე, გაუხვევენ მარცხნით და კაცხოველის (ყოფილ ლორის-მელიქოვის), კალოუბნის და მადათოვის ქუჩებით და კარლ მარქსის მოედნით მიემართებიან თავიანთ რაიონებისაკენ და იშლებიან.

მესამე და შემდეგ მეოთხე რაიონები მიემართებიან რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა ნაპირით, ჩაუვლიან ცენტრალურ ტრიბუნას, შეუხვევენ მარცხნით, გრიბოედოვის ქუჩისაკენ, მიდიან სასამართლოს, ტროცკის და სოლოლაკის ქუჩებით, მიემართებიან თავიანთ რაიონებისაკენ და იშლებიან.

მეოთხე რაიონიც იშლება ტროცკის ქუჩაზე გავლის შემდეგ.

მოძრაობის დროს წესრიგის და აქ აღნიშნული მიმართულების დაცვა ევალება პარტიის რაიკომების მდივნებს. დემონსტრაციის საერთო ხელმძღვანელობა ევალება ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის მიერ გამოყოფილ ქვეკომისიას, რომელსაც დავალებული აქვს დამონსტრაციის მოწყობა.

7 ნოემბერს დილის 7 საათიდან, ვიდრე დემონსტრაციის გათავებამდე აკრძალულია ყოველგვარი ბორბლეული მოძრაობა გარდა მორიგე ავტომობილებისა, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაფერი ნებართვა.

ოქტომბრის ზეიმის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია.

განხეთქილება ინგლისელ კრედიტორების განაკში

კრედიტორების ნაწილი საჭიროდ სთვლის შეთანხმებას საბჭოთა მთავრობასთან

ლენინგრადი, 2 ნოემბერი. ლენინგრადში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ინგლისელ კრედიტორების ჯგუფის წარმომადგენელი სტაფფორდ ტალბოტი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა:

„მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირში გაბატონებულია შეხედულება, თითქო ინგლისის მთავრობა შეურიგებლად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს არ არის სწორი. ინგლისის ფართე სავაჭრო-სამრეწველო წრეები მეტად დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებით. ლოკერ ლემპსონის ყიჟინა „ძირს წითლები"—თანაგრძნობას პოულობს მხოლოდ ფანატიკოსების მცირე ჯგუფში. მე შემოვიარე საბჭოთა კავშირი და დავრწმუნდი, რომ ინგლისისათვის ახლა უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დასამყარებლად, ვიდრე რევოლიუციამდე არსებობდა. კრედიტორების ჯგუფი, რომელსაც მე ვმეთაურობ გაიმიჯნენ ინგლისელ კრედიტორების საზოგადოებისაგან, რომელსაც ურკვარტი მეთაურობს. ჩემი ჯგუფი ამ საზოგადოების პრეტენზიებს არაჩვეულებრივად გადაჭარბებულად თვლის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკითხი ჩქარა დაიძვრება მკვდარი წერტილიდან".

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ნიუ-იორკი, 2 ნოემბ. ნიუ-იორკის შტატის გენერალური პროკურორი მოითხოვს, რომ ფონდები, რომლებიც ეკუთვნის რუსეთის მსხვილ საზოგადოებებს შეერთებულ შტატებში, და რომლებიც რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენენ, გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფოს კუთვნილებათ. ამჟამად ეს ფონდები ნიუ-იორკის შტატის უფროს დამზღვევ კანტროლიორის გამგეობაში იმყოფება.

ადვოკატი რეხტი, საბჭოთა მთავრობის იურისკონსულტი აცხადებს, რომ ის გაასაჩივრებს ფონდების კონფისკაციის ცდას.

გაფიცვა ბერლინში

ბერლინი, 1 ნოემბერი. ბერლინის მიწის ქვეშა გზის კამპანიამ და ავტობუსთა მიმოსვლის საზოგადოებამ მოიწონეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანა რეიხსტაგის, სოციალ-დემოკრატ დეპუტატების სამედიატორო მსაჯულმა ვისელმა აღნიშნულ კამპანიების მუშების მიერ მოთხოვნილ სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ. გადაწყვეტილებით თანახმად სამუშაო ხელფასი საათში გადიდებული უნდა იქნეს 1 კაპეიკით და არა 4 კაპეიკით, როგორც ამას მუშები მოითხოვდნენ. კომპანიების მუშამოსამსახურეებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს პროფკავშირების რწმუნებულთა დადგენილებას, უარჰყვეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება და გადასწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება.

მიწის ქვეშა რკინისგზების მუშებს შორის ჩატარებულ იქნა რეფერენდუმი, რომელსაც ასეთი შედეგები მოჰყვა: გაფიცვას მიემხრო 3.115 მუშა, წინააღმდეგ წავიდა — 815.

გაიფიცება აგრეთვე ბერლინის ქალაქის რკინისგზების მთელი პერსონალი, რასაც შედეგად მოჰყვება მიმოსვლის სრულიად შეწყვეტა ბერლინში.

რეფორმისტები ყოველივე ძალ-ღონით ცდილობდენ გაფიცვის თავიდან აცდენას. ვისელმა განაცხადა, რომ 2 ნოემბერს ახალი მოლაპარაკება დაიწყება.

„ფორვერტს"-მა უკვე დაიწყო ჩვეულებრივი ცილისწამების კამპანია და ცდილობს საქმე ისე გაამუქოს, თითქოს მიწის ქვეშა რკინისგზის მუშების მიერ რწმუნებულთა გადაწყვეტილების ერთხმად მიღება გამოწვეულია გერმანიის კომპარტიის პროფმუშაობის განყოფილების „ბრძანებით".

ფრანგ სოციალისტების კონგრესი

პარიზი, 3 ნოემბერი. სოციალისტური პარტიის ნაციონალურმა კონგრესმა ერთხმად მიიღო დადგენილება ინგლისის მემაღაროეთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ.

პოლ ბონკურმა, რომელიც იცავს თავის მონაწილეობას ერთა ლიგაში, განაცხადა, რომ მრავალ სხვა სოციალისტს ერთა ლიგაში აქვს ბურჟუაზიული მთავრობების მანდატი.

განიარაღების საკითხის შესახებ მან აღნიშნა, რომ სოციალისტების მრავალი წარმომადგენელი ეთანხმებოდა ამას, რომ არ იყო საჭირო ფლოტის შესახებ კონვენციის დადება არც ჟენევაში და არც ვაშინგტონში.

დიუპერემ განაცხადა, რომ სოციალისტური პარტია არასდროს არ დაუშვებს საფრანგეთის ინტერესების შებღალვას.

კონგრესმა 2945 ხმის უმრავლესობით 104 წინააღმდეგ მიიღო დადგენილება, რომლითაც ნდობას უცხადებს პოლ ბონკურს და ულოცავს მას განიარაღების საკითხის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

არჩევნები ამერიკაში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. 2 ნოემბერს შეერთებულ შტატებში მოხდება სენატის წევრების მთელი პალატის წარმომადგენლების, მთელი რიგი გუბერნატორების, ცალკე შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების და ადგილობრივ სამმართველო ორგანოების წევრთა ერთი მესამედის არჩევა. საარჩევნო კამპანია ძლიერ სუსტად მიმდინარეობს და ამჟღავნებს ორივე პარტიის, რესპუბლიკანურისა და დემოკრატიული პარტიის დაშლას.

არჩევნები საბერძნეთში

ლონდონი, 2 ნოემბერი. ათენიდან მიღებული ცნობებით, კვირისთვის დანიშნული ახალი საარჩევნო კამპანია მთელს საბერძნეთში არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევს, რასაც არც ერთ საარჩევნო კამპანიის დროს არ ჰქონია ადგილი.

კრიზისი პოლონეთში

ვარშავა, 2 ნოემბერი. ბარტელის თავმჯდომარეობით შესდგა ეკონომიური თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთავრობის წევრებმა და პოლონეთის სამრეწველო და ფინანსიური წრეების 80 წარმომადგენელმა. თათბირმა მთელი დრო მოანდომა აქტუალური ეკონომიური საკითხების განხილვას და აგრეთვე მთავრობის მუდმივი თანამშრომლობის საკითხს პოლონეთის ეკონომიურ წრეებთან.

8 საათის სამუშაო დღე

ბერლინი, 1 ნოემბერი. გერმანიის მწარმოებელთა კავშირებმა გამოაქვეყნეს დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი წინააღმდეგი არიან 8 საათის სამუშაო დღის კანონის აღდგენისა.

ავსტრიელ მენშევიკების ყრილობა

ვენა, 2 ნოემბერი. ლინცში გაიხსნა ავსტრიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

საქალაქო არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 1 ნოემბერი. მუნიციპალური არჩევნების პირველი შედეგები მთელ ინგლისში მოწმობენ მუშათა პარტიის გამარჯვებას. მუშათა პარტიამ მოიგო 150 ადგილი, უმთავრესად კონსერვატორების ხარჯზე.

არჩევნების შედეგები

ლონდონი, 2 ნოემბერი. უკანასკნელი ცნობებით, საქალაქო არჩევნების შედეგები ინგლისში ასეთია: მუშათა პარტიამ მოიგო 147 ადგილი, კონსერვატორებმა დაჰკარგეს 70 ადგილი, ლიბერალებმა—49, დამოუკიდებლებმა—21.

ლონდონში არჩევნები არ მომხდარა. მუშათა პარტიის წევრები კმაყოფილი არიან არჩევნების შედეგებით.

მაკდონალდის წერილი

ვენა, 1 ნოემბერი. ბულგარეთის მთავრობის გაზეთმა „სლოვო"-მ 25 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა მაკდონალდის წერილი—„საყოველთაო მშვიდობიანობის დამაბრკოლებელი მიზეზები". წერილი დაწერილია სპეციალურად ამ გაზეთისათვის.

მთლიანი ფრონტი

პრაღა, 1 ნოემბერი. საერთაშორისო საერთო პროფესიონალურ (რევოლიუციონურ) კავშირის რკინისგზელთა სექციამ და ჩეხო - სლოვაკიის რკინისგზელთა გერმანულმა რეფორმისტულმა კავშირმა დასდეს შეთანხმება, რომლის მიზანია გაერთიანებულად ბრძოლა რკინისგზელთა ეკონომიურ მოთხოვნილებათა განხორციელებისათვის.

კომუნისტების დევნა

ბერლინი, 2 ნოემბერი. „როტე ფანეს" პასუხისმგებელ რედაქტორს მიუსაჯეს ცხრა თვის ციხე „როტე ფანეს" ნომერში დაბეჭდილ ლექსის გამო, რომელიც შეიცავდა ჰინდენბურგის შეურაცყოფას.

გერმანია იარაღდება

ლონდონი, 2 ნოემბერი, „დეილი მეილის" ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, გერმანელებმა კენისბერგის ციხის გასამაგრებლად ააშენეს მთელი რიგი მიწისქვეშა ოთახებისა. ამას წინედ დაასრულეს 54 ასეთი ოთახი. ასეთივე მიწისქვეშა ოთახები ააშენეს კიუსტრინის ციხის მახლობლად პრუსიაში. ამ ოთახების აგების მიზანია ომის დროს ფეხოსან ჯარის დამალვა. ასეთი ოთახების აგება ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას.

მუშათა მოძრაობა

რეფორმისტული პროფკავშირების ბელადების ახალი ტაქტიკა

(წერილი გერმანიიდან)

უკანასკნელ თვეების განმავლობაში, ჰამბურგის გაფიცვასთან ერთად, გერმანიის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ადგილი ჰქონდა მოძრაობას სამუშაო ხელფასის გადიდების და სამუშაო დროის შემცირების სასარგებლოთ. და ყოველგან რეფორმისტული ბელადები იმავე ტაქტიკას აწარმოებდენ, როგორც ჰამბურგის გაფიცვის დროს. ისინი კონფლიქტების მოგვარებას ანდობდენ სამედიატორო სასამართლოებს, რომლებიც საკითხს ყოველთვის მრეწველების სასარგებლოთ სწყვეტდენ.

განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი ამ ტაქტიკამ გემების საალმშენებლო მრეწველობის მუშების ბრძოლის დროს. საალმშენებლო მრეწველობის მუშების ხელფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დანარჩენი მელითონეების. მიუხედავათ იმისა, რომ სიძვირე განუწყვეტლივ იზრდება, ხელფასი უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში უცვლელად დარჩა. გემების საალმშენებლო მრეწველობის მუშები მოითხოვდენ შრომის ხელფასის გადიდებას 30 პროცენტით და 8 საათის სამუშაო დღეს. მაგრამ სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის ძალით ცხრა საათის სამუშაო დრო რჩება კიდევ ერთი წლის ვადით, შრომის ხელფასის გადიდების საკითხის განხილვა კი გადადებულია 1927 წლის აპრილამდი. პროფკავშირებმა არ სცნეს ეს დადგენილება, მაგრამ არავითარი ზომები არ მიიღეს, რომ გემების საალმშენებლო მრეწველობის მუშების სამართლიანი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებიათ, და როცა შრომის მინისტრმა სამედიატორო სასამართლოს დადგენილება სავალდებულოდ აღიარა „ორივე" მხარესათვის, რეფორმისტული ბელადები უსიტყვოდ დამორჩილდენ.

მოძრაობას შრომის ხელფასის გადიდების სასარგებლოდ ადგილი ჰქონდა აგრეთვე გერმანიის თითქმის ყველა ქვანახშირის რაიონებში. და აქაც პროფკავშირები უსიტყვოდ ემორჩილებოდენ სამედიატორო სასამართლოების დადგენილებებს. მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში იქნა გადიდებული ხელფასი 1-დან 4 პროცენტამდი. ეს „გადიდებული" ხელფასი არ შეიძლება გადიდებული იქნეს მომავალი წლის დამლევამდე. გარდა ამისა, სამედიატორო სასამართლოების დადგენილებით დატოვებულია ზედმეტ სამუშაოების შესახებ ამჟამად მოქმედი წესები. ამ დადგენილებების ცნობა პროფკავშირების მიერ ნიშნავს გერმანელ მემაღაროების მიერ ხელის აღებას ბრძოლაზე უახლოესი თვეების განმავლობაში.

სოციალ - დემოკრატიული „ლეიპციგერ-ფოლკსცაიტუნგ"-იც კი აღიარებდა, რომ პროფკავშირებმა შეცდომა დაუშვეს, როცა მემაღაროები იძულებულ ჰყვეს დასთანხმებულიყვენ სამედიატორო სასამართლოს დადგენილებაზე.

გერმანიის ლითონის მრეწველობის უმთავრეს ცენტრში—მძიმე ინდუსტრიის რეინ-ვესტფალიის რაიონშიც სამედიატორო სასამართლომ უარჰყო ხელფასის ყოველგვარი გადიდება და გააგრძელა 9—10 სათის სამუშაო დრო მომავალი წლის ივლისამდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეხლანდელი ხელფასი შეადგენს წლის დასაწყისში არსებული ხელფასის 50 პროცენტს. და ეს იმ დროს, როცა შრომის ნაყოფიერება არაჩვეულებრივად გაიზარდა. მიუხედავათ იმისა, რომ ახლა მუშების რიცხვი 30 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 1925 წ., რეინ-ვესტფალიის მრეწველობის პროდუქცია შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ბავარიის მრეწველობაში. სექტემბერში სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომელიც საშუალებას აძლევს მრეწველებს თავისი სურვილისამებრ გააუარესონ შრომის პირობები ცალკე ფაბრიკებში. პროფკავშირებმა, ჩვეულებისამებრ, უარჰყვეს ეს წინადადება, მაგრამ, როცა შრომის სამინისტრომ სავალდებულოდ გამოაცხადა იგი, მიიღეს.

ამავე ტაქტიკას აწარმოებდენ რეფორმისტები მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგებში.

საქსონიაში მრეწველებმა მოითხოვეს შრომის ხელფასის შემცირება 2-დან 5 კაპეიკამდი საათში. წარმოიშვა კონფლიქტი, რომელიც გადასაჭრელად გადასცეს სამედიატორო სასამართლოს.

ხის დამმუშავებელ მრეწველობაში მწარმოებლებმა უარი სთქვეს საერთო საიმპერიო კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე და რეფორმისტული პროფკავშირები დასთანხმდენ ცალკე სარაიონო შეთანხმებებზე.

საფეიქრო მრეწველობაში დაიწყო შემოტევა შრომის ხელფასზე სანარდო სამუშაოთა განაკვეთების შემცირების, კოლექტიური ხელშეკრულებების და სხვა შეთანხმებათა დარღვევის საშუალებით. ეს ხდება იმ დროს, როცა საერთო მდგომარეობა მრეწველობის ამ დარგში გაუმჯობესდა და უმუშევართა რიცხვი შემცირდა.

ტრამვაისა და ქალაქის რკინის გზების მუშებმა ბერლინსა და ჰამბურგში მოითხოვეს შრომის ხელფასის გადიდება, მაგრამ მწარმოებლები აჭიანურებენ საკითხის გადაწყვეტას. რეფორმისტული პროფკავშირები კი არავითარ ღონისძიებას არ იღებენ მუშათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ასეთი ტაქტიკით რეფორმისტული პროფკავშირების ბელადები ხელს უშლიან მუშების ყოველგვარ ცდებს გააუმჯობესონ თავისი მდგომარეობა. ეს ტაქტიკა მუშებში იწვევს უდიდეს აღშფოთებას და მან, შესაძლებელია, ახლო ხანში დიდი საგაფიცვო მოძრაობის ხასიათი მიიღოს.

ვ. რ.

ბერლინი, 22 ოქტომბერი.

ღამის ცნობები

50 მილიონი მარკა ვილჰელმს

პარიზი, 3 ნოემბერი. პრუსიის მთავრობამ სამეფო ქონების ასანაზღაურებელი თანხის ანგარიშში ყოფილ კაიზერს გადაუხადა 50 მილიონი მარკა.

პრეზიდენტ ჩამორროს გადადგომა

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. ნიკარაგუას (ცენტრალური ამერიკა) რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩამორრომ შეიტანა განცხადება თავისი გადადგომის შესახებ. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დროებით დაეკისრა სენატორ ურიზას.

საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 2 ნოემბერი. საზღვაო და სახმელეთო არმიის გაცნობა საიმპერიო კონფერენციის დელეგატებმა დაასრულეს დღეს საავიაციო სამინისტროს დათვალიერებით.

საიმპერიო თავდაცვის საკითხების განხილვა განახლდება ხუთშაბათის პლენარულ სხდომაზე.

პრემიერთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე ხელახლა ირჩეოდა საკითხი იმპერიის ნაწილების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. დღეს გაიმართა, აგრეთვე, რამდენიმე სპეციალური კომისიის სხდომა.

ეკონომიურმა კომისიამ დაასრულა იმპერიის სამრეწველო სტანდარტიზაციის საკითხის გარჩევა.

ამერიკის კონსულის პროტესტი

ვაშინგტონი, 2 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ამერიკის კანტონელმა კონსულმა განაცხადა პროტესტი კანტონის მთავრობის მიერ სპეციალურ საბაჟო ინსპექციის დაწესების წინააღმდეგ, რადგან ამ ინსპექციის საშუალებით ახალი გადასახადების აკრეფა საქონლის ტრიალზე ეწინააღმდეგება არსებულ ხელშეკრულებას.

ჩერჩილი ლაპარაკობს

ლონდონი, 3 ნოემბერი. ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა, რომელიც გამოვიდა სიტყვით მემაღაროეთა გაფიცვის შესახებ, განაცხადა შემდეგი: „ამჟამად ინგლისი შეადგენს ერთი უცხოეთის მთავრობის, „სახელდობრ რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის" ინტერესის საგანს. ნებას ვაძლევ თავს დავარწმუნო ერი, რომ ინგლისის მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს ამ მთავრობის ჩარევას ჩვენს საქმეებში და თუ საჭირო იქნება, ის მიიღებს ყველა ზომებს, რომ უზრუნველყოს ყოველი წევრი—ინგლისის საზოგადოების თავისი მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობით". (ატს)

ფაშისტების თარეში

„მუსოლინს უფალი იცავს"

ლონდონი, 2 ნოემბერი. ბოლონიელ ფაშისტებისადმი მიმართვაში მუსოლინი, მასზე თავდასხმის გამო, სწერს:

„ღრმესი რწმენით უცხადებ ჩვენს ამხანაგებს მთელს იტალიაში, რომ მე არაფერი არ მომელის იმ დრომდე, სანამ არ დასრულდება ჩემი მისია".

რომის პაპამ, მუსოლინზე თავდასხმის ამბის გაგების შემდეგ, განაცხადა: „ეს ახალი ნიშანია იმის, რომ თვით უფალი იცავს მუსოლინს".

მთელს იტალიაში მსჯელობენ იმის შესახებ, ხომ არ არის მუსოლინი ბედის კაცი ღვთაებრივი მფარველობის ქვეშ მყოფი?".

ფაშისტების შურისძიება

პარიზი, 3 ნოემბერი. ენტიმილიეში ფაშისტების მილიციონერებმა სცემეს საერთაშორისო სადგურის ფრანგ რკინისგზელებს იმ მიზეზით, რომ ფაშისტური ჰიმნის შესრულების დროს უკანასკნელებმა არ მოიხადეს ქუდი.

დაპატიმრებულია ერთი ფაშისტი, რომელიც საფრანგეთის საელჩოში შეპარულიყო.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ ფაშისტების მიერ ფრანგების მიმართ წაყენებული ბრალდება — არის აშკარა ცილისწამება.

რომი, 3 ოქტ. რომის ქუჩებში ფაშისტები ავტომობილებით დაძრწიან. ოპოზიციონური გაზეთების რედაქციები ალყაშემორტყმულია ჯარების მიერ. საბჭოთა საელჩოს იცავს ფაშისტური პოლიციის, კარაბინერების და ჯარის გაძლიერებული რაზმები.

ფაშისტური პარტიის მდივანმა ტურატიმ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ „ზამბონის მოკვლა ბრბოს მიერ წარმოადგენს შურისძიების პირველ აქტს. ახლა დაგვრჩა ზამბონის თანამოაზრეების დასჯა".

რომში და ბოლონიაში აუარებელი ხალხი დააპატიმრეს. (ატს).

ფაშისტების დიდ საბჭოს კრება

პარიზი, 3 ნოემბერი. რომიდან მიღებული ცნობებით, პარასკევს გაიმართება ფაშისტების დიდ საბჭოს კრება, რომელიც გამოიმუშავებს ზომებს მუსოლინზე თავდასხმის განმეორების წინააღმდეგ.

თავდამსხმელი

რომი, 3 ნოემბერი. მუსოლინზე თავდამსხმელი აღმოჩნდა ბოლონიელ მესტამბეს ზამბონის 16 წლის ვაჟი. იგი შედიოდა ფაშისტურ ორგანიზაციაში, მაგრამ ერთი წლის წინათ გამოვიდა ორგანიზაციიდან. თავდამსხმელის მამა ოდესღაც ანარქისტი იყო, მაგრამ რამოდენიმე წელიწადია არავითარ მონაწილეობას არ იღებს ანარქისტულ მოძრაობაში (ატს).

რედაქციების დარბევა

რომი, 3 ნოემ. ტურატის მოწოდებით წაქეზებულმა ფაშისტებმა დაარბიეს ოპოზიციონური „ვოჩე რესპუბლიკანა"-ს რედაქცია.

ფაშისტური პრესა ახლა თავს ესხმის არა უცხოეთში მყოფ ემიგრანტებს (როგორც უკანასკნელი თავდასხმის დროს), არამედ შინაურ ოპოზიციას.

„ლავორო დ'იტალია" მოითხოვს შინაური მტრების სასტიკად დასჯას.

შესაძლებლად თვლიან სიკვდილით დასჯის შესახებ გამოცემული კანონპროექტის გაფართოებას.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სვენ-ჰედინი მოსკოვში

მოსკოვი, 2 ნოემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი შვედი მეცნიერი—სვენ-ჰედინი.

საალმშ. მუშათა კავშირის ც. კ. პლენუმი

მოსკოვი, 2 ნოემბერი. 2 ნოემბერს გაიხსნა საალმშენებლო მუშათა კავშირის ცენტრ. კომიტეტის პლენუმი. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ცეკას თავმჯდომარე—ბოგდანოვი.

სოლოვეცკის კუნძულებზე

ლენინგრადი, 2 ნოემბერი. გუშინ დილით სოლოვეცკის კუნძულებზე ჰიდროპლანით და ორი პორტ-მექანიკოსით გაფრინდა მფრინავი კოვალევსკი. დღეს ჰიდროპლანი მოფრინდა პეტროზავოდსკში. დღეს დილით მფრინავები გაუდგენ შემდეგ გზას.

ეს—პირველი გადაფრენაა სოლოვეცკის კუნძულებზე. მომავალში განზრახულია მუდმივი საჰაერო საფოსტო-სამგზავრო კავშირის დამყარება კუნძულებსა და ყამორის შორის ნაოსნობის შეწყვეტის მთელი დროის განმავლობაში.

პური ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ვაჭრობის სახკომის კოლეგიამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიაში პურის შემოზიდვის გეგმა ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნოემბერში, 1.050.000 ფუთის რაოდენობით.

„ხლებოპროდუქტმა" უნდა გაგზავნოს 525 ათასი ფუთი პური. სახელმწიფო ბანკმა 200 ათ. ფუთი და „ცენტროსოიუზმა" 125.000 ფუთი. ამიერ-კავკასიის ბამბის რაიონებში პურის შემოზიდვა დამტკიცებულია 800.000 ფუთის რაოდენობით.

მფრინავ ტომაშევსკის გარდაცვალება

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ორ ნოემბერს გარდაიცვალა დამსახურებული მფრინავი ტომაშევსკი.

ანდამანტური ანომალია

მელიტოპოლი, 2 ნოემბერი. დაასრულა თავისი მუშაობა საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის ექსპედიციამ, რომელიც ოლქში ახდენდა საანდამანტო გადაღებას. ექსპედიციის აზრით, ბევრ ადგილებში, განსაკუთრებით კი კორსაკ-მოგილას რაიონში, აღმოჩენილია ძლიერი ანდამანტური ანომალია. თუმცა კი რაიონის მადანის სიმდიდრის საბოლოო გამორკვევა შეიძლება მხოლოდ დეტალური გადაღებისა და ალმასის ბურღვის შემდეგ.

უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ჯანსახკომი უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობის გასაძლიერებლად საოლქო და საგუბერნიო ქალაქებში აწყობს საერთო საცხოვრებელ ბინებს გაჭირვებულ მარტოხელ დედებისათვის; ულარიბეს დედებს ეძლევათ ფულადი დახმარება ბავშვების აღსაზრდელად. უპატრონო ძუძუმწოვარა ბავშვებს აღსაზრდელად აძლევენ ქირით.

უკრაინა

ურენიუკი დახვრეტილია

ხარკოვი, 2 ნოემბერი. უკრაინის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს მიერ კონტრ-რევოლიუციონურ და ჯაშუშ ურენიუკისთვის მისჯილი დახვრეტა სისრულეში იქნა მოყვანილი.

ავდრები

ნამქერი

რიბინსკი, 3 ნოემბერი. ჩრდილოეთ-დასავლეთ რკინისგზის რაიონში ღამით 2 ნოემბერს ამოვარდა ძლიერი თოვლის ნამქერი. მოვიდა ერთი მეტრის სიმაღლე თოვლი. გზების გასაწმენდათ გაგზავნილია რამოდენიმე ათასი მუშა. სასწრაფოდ გაიგზავნა თოვლის საწმენდი მანქანა. მუშაობას აფერხებს განუწყვეტელი ქარები.

ქარიშხალი

ტულა, 2 ნოემბერი. ტულაზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. მრავალ სახლს სახურავი აქვს მოგლეჯილი.

ამხ. ფრუნზეს ხსოვნას

მოსკოვი, 2 ნოემბერი. 31 ოქტომბერს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიასთან შესდგა საზეიმო სხდომა ამხ. ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად.

ამხ. უნშლიხტმა წაიკითხა სამხედრო კომისრისა და რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვოროშილოვის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ავადმყოფობა არ მაძლევს საშუალებას მივიღო მონაწილეობა ამხ. ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილ სამხედრო აკადემიის დღევანდელ კრებაზე. იგულისხმება, რომ მე მთელი არსებით თქვენთან ვარ ჩვენი ქვეყნისა და წითელი არმიის ამ გლოვის დღეს. მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემია ატარებს ფრუნზეს დიდ სახელს. სამხედრო აკადემიის ამ საპატიო სახელწოდების საუკეთესო გამართლება, ჩემის აზრით, იქნება სამხედრო მუშაკების სწავლებისა და აღზრდის საქმის ისეთი დაყენება, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა სახელმწიფოსა და წითელ არმიას არა მარტო კვალიფიციურ მეთაურთა შემადგენლობით, არამედ მოუმზადებს აგრეთვე ჩვენს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებს შესაფერის წითელ სამხედრო პროფესურას. დაუღალავი და განუწყვეტელი მუშაობა სამხედრო მშენებლობის ყველა დარგებში შეავსებს იმ მძიმე დანაკლისს, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ჩვენი მეგობრისა და ბელადის ფრუნზეს სახით".

ამხ. ვოროშილოვის წერილის წაკითხვის შემდეგ, სიტყვით გამოვიდა ამხ. უნშლიხტი.

ჩვენი თამბაქო ეგვიპტეში

მოსკოვი, 2 ნოემბერი. პირველ ნოემბერს რუსეთ - აღმოსავლეთ სავაჭრო პალატაში შესდგა თათბირი „რუსოთურქის" წარმომადგენლების თანდასწრებით, რომელმაც განიხილა საკითხი შავი ზღვის ნაპირების თამბაქოს, უმთავრესად სოხუმის თამბაქოს, გატანის შესახებ ეგვიპტეში. ამჟამად საბჭოთა კავშირს უჭირავს მეოთხე ადგილი ეგვიპტეში თამბაქოს შეტანის საქმეში. პირველ ადგილზე არის ჩინეთი, შემდეგ იაპონია და საბერძნეთი. 1924 წელში ეგვიპტეში შეტანილი იყო 800,000 კილოგრამი საბჭოთა თამბაქო, 1925 წელში 700,000 კილოგრამი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა სცნო სოხუმის თამბაქოს ეგვიპტეში გატანის გაძლიერების აუცილებლობა „რუსოთურქის" აპარატის შემწეობით.

კონფლიქტი საკონცესიო საზ-გასთან „მოლოგოლეს"

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის ც. კ. გაგზავნა ც. კ. მდივანი ამხ. ლობანოვი ჩერეპოვეცის გუბერნიაში, სადაც საკონცესიო საზოგადოების—„მოლოგოლეს"—ხე-ტყის სახერხ ქარხანაში გაფიცულია 1000-ზე მეტი მუშა. გაფიცვის მიზეზია ის, რომ კონცესიონერები სისტემატიურად არ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებით მიღებულ ვალდებულებებს.

ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის ც. კ. წინადადება მისცა კონცესიონერის წარმომადგენლებს სავსებით გაისტუმრონ დავალიანება მუშებისადმი და მომავალში წესიერათ შეასრულონ კოლექტიური ხელშეკრულების პირობები.

კონცესიონერების პასუხს მოელიან 3 ნოემბერს.

სამთამადნო მუშებს შორის

მოსკოვი, 2 ნოემბერი. 1 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშების კავშირის ცეკას მეორე პლენუმის გახსნაზე ცეკას თავმჯდომარემ შვარცმა საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის შესახებ გასულ ნახევარ წლის განმავლობაში. შემდეგ შვარცმა აღნიშნა, რომ ეხლა უკვე პრინციპიალურათ გადაწყვეტილათ ჩაითვლება მემაღაროეთა ინგლის - რუსეთის კომიტეტის შექმნის საკითხი. საბოლოო სიტყვაში შვარცმა წინადადება შეიტანა, რათა დიდი ბრიტანეთის მემაღაროეთა ფედერაციას მიმართონ მოწოდებით, რომელიც პლენუმმა ერთხმათ მიიღო.

„ჩვენ საბჭოთა მემაღაროენი — ნათქვამია მოწოდებაში—შემდეგშიაც ისევე ურყეველ და შეუწყვეტელ დახმარებას გაგიწევთ თქვენს სამართლიან ბრძოლაში, როგორც აქამდე გიწევდით. მთელი სულით და გულით და ძმურათ გისურვებთ, რომ მიუხედავათ გენერალურ საბჭოს, ამსტერდამის და მემაღაროეთა ინტერნაციონალის ხელმძღვანელების ღალატისა და გამცემლობისა, თქვენ თქვენი ბრძოლა, მთელი ქვეყნების პატიოსან და შეგნებულ მუშათა დახმარებით სასურველათ და წარმატებით დაგემთავრებიოსთო".

შემდეგ პლენუმმა მოისმინა რევოლიუციონურ მემაღაროეთა საერთაშორისო საპროპაგანდო და სამოქმედო კომიტეტის რუსული დელეგაციის მდივნის ამხ.-სლუცკის მოხსენება.

საკავშირო აბრეშუმის კომიტეტი

მოსკოვი, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიამ მიზანშეწონილად დაინახა დაარსოს საკავშირო აბრეშუმის კომიტეტი, რათა შესაძლებელი იქნეს ნედლეულის მიწოდება აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობისათვის და აგრეთვე დახმარების აღმოჩენა აბრეშუმის წარმოების განვითარებისათვის.

კომიტეტში უნდა შედიოდენ ვაჭრობის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, აბრეშუმის დამმუშავებელი და აბრეშუმის მომყვანი მრეწველობის წარმომადგენლები.

აბრეშუმის ტრესტს წინადადება აქვს მიცემული მოელაპარაკოს ამიერ-კავკასიის „თურქაბრეშუმს" და სხვა ორგანიზაციებს საოპერაციო მუშაობის ორგანიზაციის ფორმების შესახებ ადგილობრივ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ნაციონალურ რესპუბლიკების დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევა საკავშირო აბრეშუმის კომიტეტისა და აბრეშუმის მომყვან საექციონერო საზოგადოებათა ორგანიზაციის საკითხის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ბრძოლა ლენინიზმის რევიზიის წინააღმდეგ

(ბორჯომი)

ქ. ბორჯომის მუშური უჯრედების გაერთიანებული კრება, კომ-კავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. კორსაველისა, შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მიუხედავად მე-14 ყრილობის და ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებების, უმნიშვნელო ჯგუფმა ჩვენს პარტიაში, „ახალი გაერთიანებული ოპოზიციის" სახით განაგრძო თავისი წინანდელი,—პარტიის მიერ უარყოფილი პოლიტიკური ხაზის გატარება და შეეცადა ამ მიზნით პარტიისთვის თავზე მოეხვია უმიზნო და უდროვო დისკუსია, რითაც უხეშად დაარღვია ბოლშევიკური პარტიის დისციპლინა, შელახა მისი ტრადიცია.

აღშფოთებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოპოზიციამ არ ნახული სახით, და უდიერათ დაარღვია ლენინიზმის ორგანიზაციული საფუძვლები (პარტიაში ჯგუფობრიობის და ფრაქციულობის დაუშვებლობის შესახებ) და თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გარკვეულად აღიარა ბრძოლის მეთოდათ ფრაქციების,—ჯგუფობრიობის პრინციპი.

კრება აღიარებს რომ, საქ. კომორგანიზაციაშიც, იმ ოპოზიციონერთა უმნიშვნელო ჯგუფის მიერ, რომელნიც მოევლინენ ორგანიზაციას იდეურად გაკოტრებულ, წვრილ ბურჟუაზიულ ჰაობში გადაცვენილ ძველი „უკლონისტების" მცირე ნაწილის სახით, დაუზოგავად იქმნა გამოყენებული ფრაქციული მუშაობის ყველა მეთოდები, საძაგლად დამახინჯებული და გადაჭარბებული სახით.

ბორჯომის ორგანიზაციის მუშური უჯრედების კრება, განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ პარტიამ მთლიანად ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა ამ არაჩვეულებრივ თავხედობას ტროცკიზმის იდეათა გამსაღებლების მხრივ და სამარცხვინო დამარცხება არგუნა მათ. კრება ესალმება პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა ორგანიზაციულ დასკვნებს ოპოზიციონერთა ცალკე პირების მიმართ, მათი პარტიის რიგებიდან გარიცხვის სახით და სთვლის მას დროულ და ღირსეულ სასჯელად.

უმაგალითო დამარცხების შემდეგ, ოპოზიციის მიერ პარტიის სიძლიერის და შეგნების წინაშე ქედის მოხრა, უკუგდება ფრაქციულობის და ჯგუფობრიობის პრინციპების, აღიარება თეორიაში და პრაქტიკაში ლენინიზმის ორგანიზაციული საფუძვლებისა, ჯერ-ჯერობით სიტყვიერი გამიჯვნა ოსოვსკის, შლიაპნიკოვ-მედვედევის პოზიციიდან, მხოლოდ პირველი ნაბიჯია და არა საკმარისი. ოპოზიციამ აუცილებლივ უნდა გადასდგას მათი საქციელიდან ლოგიკურად გამომდინარე მეორე ნაბიჯი—მან სრულიად უნდა უარყოს თავის პოლიტიკური ხაზი ყველა პრინციპიალურ საკითხებში და მთლიანად უნდა დაემორჩილოს პარტიის ნებისყოფას, მათ მიერ ძველი პოზიციაზე დგომა მოასწავებს ლენინიზმის რევიზიის გაღრმავებას და შლიაპნიკოვ-მედვედევებთან იდეური კავშირის გაგრძელებას.

აღნიშნავს რა ყოველივე ამას, ბორჯომის ორგანიზაციის მუშური უჯრედების კრება, თავისი გადაუდებელ ამოცანად სახავს იდეური ბრძოლის გაგრძელებას ოპოზიციონერთა წინააღმდეგ.

კრება სავსებით უერთდება საქ. კ. პ. ცეკას უკანასკნელ (ოქტომბრის) პლენუმის ორგანიზაციულ დასკვნებს ტროცკის და კამენევის მიმართ და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ დღეს გახსნილი პარტიის მე-15 კონფერენცია უზრუნველყოფს პარტიის მთლიანობას და თავის მხრივ ბორჯომის ორგანიზაცია როგორც ერთი კაცი მტკიცედ გაატარებს ცხოვრებაში პარტიის ყველა დირექტივებს.

დაუზოგველი ბრძოლა ლენინიზმის რევიზიის წინააღმდეგ!

ძირს ყოველგვარი ფრაქციულობა!

ლენინის პარტია იყო, არის და დარჩება მთლიანი მონოლიტური, ფოლადისებური!

ლენინის პარტია, ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით, ბოლშევიკური გამბედაობით გადალახავს ყველა დაბრკოლებებს სოციალიზმის შენების საქმეში.

გაუმარჯოს საქ. კომ. პარტიის ცეკას!

გაუმარჯოს მე-15 პარტ-კონფერენციას!

ჩვენი ხმა ოპოზიციის წინააღმდეგ

(მესამოცე უჯრედი)

პარასკევს, 29 ოქტომბერს შესდგა გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბასთან არსებულ № 60 კომუჯრედის სხდომა. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: ოპოზიციის განცხადებისა და პარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოწოდების გარჩევა.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ამხ. კალატოზიშვილმა. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„კომუნისტი"-ს სტამბის № 60 კომუჯრედის კრება, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. კალატოზიშვილისა ოპოზიციონერთა ჯგუფის განცხადების და ცეკასა და ცენტრალურ საკონტ. კომისიის მოწოდების შესახებ, აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ ფრაქციული მუშაობის დაგმობა და შეცდომებს აღიარება შედეგია იმ ერთსულოვანი წინააღმდეგობისა, რომელიც მთელმა პარტიამ გაუწია გზააბნეულ ოპოზიციონერ ბელადების ჯგუფს.

სხდომა აღნიშნავს, რომ ოპოზიციის განცხადება თავის ძველ პრინციპიალურ თვალსაზრისზე ნარჩენის შესახებ აძლევს პარტიას განსაკუთრებული სიფხიზლით აწარმოოს იდეური ბრძოლა ტროცკიზმისა ოპოზიციის შეცდარ თვალსაზრისის წინააღმდეგ.

კრება სთვლის, რომ პარტიის ორგანიზაციული სიმტკიცე შესაძლებელია მხოლოდ იდეურ ერთსულოვნებისა და მთლიანობის ნიადაგზე. პარტიამ უნდა დაიმორჩილოს ოპოზიცია არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ იდეურადაც. კრება მოითხოვს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებისაგან სასტიკი ბრძოლის წარმოებას პარტიის რიგებში გათიშვის შემტანთა წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად.

ძირს ოპოზიცია!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

მუშა-მეჟედავე.

ბიუროების გადარჩევა

მე-3 რაიონში

1. მოსამზადებელი მუშაობა

მოსამზადებელი მუშაობა უჯრედთა ბიუროების გადარჩევის ჩასატარებლად გამოიხატა შემდეგში: მოწვეულ იქნა რაიკომის პლენუმი, მდივნებსა და უჯრედთა ბიუროებთან ერთად; მდივანთა თათბირი სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად; გადარჩევის ამოცანებთან პარტიის ყოველი წევრის გასაცნობად დაგზავნილ იქნა ც. კომ. და რაიონ. კომ. ცირკულიარები; რაიკომის მიერ შემუშავებულ იქნა გეგმა გადარჩევის ჩასატარებლად.

2. უჯრედების აქტივობა გადარჩევის დროს

ა) გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო საშუალოდ პარტიის წევრთა და კანდიდატთა 71 პროცენტმა. ბ) უჯრედის სხდომებზე კამათში მონაწილე წევრთა რიცხვი უდრის 9-ს (წინანდელ 8-ს მაგიერ). კამათში მონაწილეთა რიცხვის გადიდება განსაკუთრებით შემჩნეულია თურქულ უჯრედში, ქალაქის საავადმყოფოში, მაკარონის ფაბრიკაში და სხ. გ) თვითეულ უჯრედზე გარჩეულა საშუალოდ 28 საკითხი, წინანდელ 18 მაგიერ. დ) უმეტეს შემთხვევებში უჯრედების კრებები ერთ სხდომაზე თავდებოდა. შინაპარტიული დემოკრატია შემცირებულ იქნა, სრულიად ბიუროს წევრთა კანდიდატებს უჯრედებზე ცალკე პირები ასახელებდენ და შემდეგ გადადიოდენ პერსონალურ კენჭის ყრაზე.

3. როგორ ანხორციელებდნენ უჯრედები თვითშემოწმების ლოზუნგს

უჯრედთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებები აგებული იყო თვითშემოწმების ლოზუნგზე. განხილულ იქნა საკითხები შინაპარტიული დემოკრატიის შემდეგი გატარების, პარტგადაწყვეტილებათა გატარებაზე კონტროლის, საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის, პარტიის მთლიანობის და მომავალ პარტკონფერენციის საკითხების. არადამაკმაყოფილებელ ანგარიშს ადგილი არ ჰქონია. ანგარიშებს გარდა მოსმენილ იქნა კომკავშირის თანამოხსენება 13 უჯრედში, ფაბქარხკომადგილკომების ფრაქციების ანგარიში 16 უჯრედში და სამეურნეო ორგანოთა ანგარიში 10 უჯრედში.

4. პარტიის მთლიანობა

ყველა უჯრედები ჰგმობენ ოპოზიციის გამთიშავ მუშაობას და მოითხოვენ უსასტიკეს ზომების მიღებას მის წინააღმდეგ. მხოლოდ „ზაკგოსტორგის" უჯრედში არის ოპოზიციურად განწყობილი 2-3 კაცი.

5. ძირითადი ნაკლულევანებები უჯრედების მუშაობაში

ა) შინაპარტიულ მუშაობაში: სუსტი კანტროლი ბიუროს დადგენილებათა გატარებაზე ცხოვრებაში, ცალკე წევრების მიერ მათზე დავალებულ სამუშაოთა შესრულების სუსტი აღრიცხვა, უჯრედთა ბიუროს სუსტი ხელმძღვანელობა საუჯრედო კომისიებზე, უყურადღებობა აქტივის ზრდაზე, და სადაწესებულებო უჯრედებში უპარტიოთა წამოყენება საპასუხისმგებლო მუშაობაზე, რაც უთანხმოებას იწვევს ადმინისტრაციასა და უჯრედს შორის.

ბ) უპარტიოთა შორის მუშაობის დარგში: უჯრედის სხდომებზე უპარტიოთა ნაკლები დასწრება. მიუხედავათ ამისა უჯრედის ავტორიტეტი უპარტიოთა შორის მაინც გაიზარდა.

გ) მასიურ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის დარგში: უჯრედების მიერ ნაკლები ყურადღების მიქცევა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაზე; სათანადო მუშაობის უწარმოებლობა პიონერთა შორის და კოოპერაციაში მუშა-მოსამსახურეთა სუსტი ჩაბმა.

დ) პროფმუშაობა და საწარმოო თათბირების საკითხში: დაწესებულებათა უჯრედებში ეკონომკომისიების და მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ მუშათა კომისიების სუსტი მუშაობა; საწარმოო უჯრედებში საწარმოო თათბირების მუშაობის შესუსტება, რაც აიხსნება საწარმოო თათბირებზე კავშირის ცენტრალურ გამგეობის სუსტი ხელმძღვანელობით და მეორე მხრივ ადმინისტრაციის მიერ საწარმოო თათბირების დადგენილებათა შეუსრულებლობით. ზოგიერთ უჯრედებში შემჩნეულია მუშების უკმაყოფილება ფაბქარხკომადგილკომების მუშაობით, რაც გამოიხატება ამ უკანასკნელების მიერ მუშათა ინტერესების სუსტი დაცვაში.

ე) კამათში უჯრედთა ბიუროების მოხსენებების გარშემო უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ფაბქარხადგილკომების სუსტ მუშაობას და დისციპლინის უქონლობას კომკავშირელთა შორის. დაწესებულებათა უჯრედებში უჯრედების სუსტ მუშაობას, საპასუხისმგებლო ადგილებზე კომუნისტების წამოყენებაში (საკავშ. საფ. სინდიკატი, „ზაკგოსტორგი", „ზაკხლოპკომი").

6. ძირითადი მიღწევები საანგარიშო პერიოდში

ა) ჩვენი ორგანიზაციების მთლიანობა და ყოველგვარ შეჯგუფებების მოსპობა;

ბ) ჩამოყალიბებული კავშირი წითელარმიასა და კომკავშირთან.

გ) უჯრედების დამაკმაყოფილებელი კავშირი წარმოებებთან ზოგიერთ დაწესებულებათა უჯრედების გამოკლებით).

დ) უჯრედების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ფაბქარხადგილკომებზე ადგილობრივ.

ე) საუჯრედო კომისიების მუშაობის მოწესრიგება.

ვ) უჯრედის ავტორიტეტის განმტკიცება უპარტიოებზე.

ზ) ფაბქარხადგილკომების ფრაქციების მუშაობის ჩამოყალიბება.

თ) მუშაობის გეგმის შესრულება 80—90 პროცენტით.

ი) უჯრედების მიერ შინაპარტიული დემოკრატიის შეთვისება და მისი სწორად გატარება.

სულ გადარჩეულია 5 უჯრედის მდივანი მათ შორის სუსტი აღმოჩნდა ქალაქის სასაკლაოების უჯრედის მდივანი.

ულ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

„კომუნისტი“-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 84) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად

5 ვაგონი პური

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ლენინაკანის ხურბათით დასახმარებლად საზ. „ხლებოპროდუქტმა“ დღეს გაგზავნა სომხეთში 5 ვაგონი პურის-ფქვილი.

აზერბეიჯანის პროფკავშირების დახმარება

ბაქო, 2 ნოემბერი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ლენინაკანში გადაგზავნა 5.000 მანეთი. ეს თანხა შეკრებილია პროფკავშირების წევრებს შორის.

ლტოლვილები

ბაქო, 2 ნოემბერი. ბაქოში ჩამოვიდა ლტოლვილების ეშალონი ლენინაკანიდან.

ახალი მიწისძვრა

ლენინაკანი, 2 ნოემბერი. დღეს 10 საათსა და 40 წუთზე შემჩნეული იყო სუსტი მიწისძვრა. 3 წუთის შემდეგ განმეორდა საშუალო ძალის მიწისძვრა. ამან ქალაქში პანიკა გამოიწვია. ზოგიერთ დაწესებულებებიდან, განსაკუთრებით მაღაზიებიდან, ხალხი გამოცვივნდა ქუჩებზე. სევერსკის ყაზარმებში ჩამოინგრა ერთი სახლის სახურავის ნაწილი.

წითელარმიელთა ხმა

საქართველოს მთავრობის მოწოდებამ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ დიდი გამოძახილი ჰპოვა წითელი ჯარის რიგებში.

მეთაურთ და წითელარმიელთა კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები ჯამაგირიდან პროცენტების გადარიცხვის შესახებ.

ვიწვევ დასახმარებლად

ამხ. კაიტაჯიანის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ არტაშეს ხიუტჩიანს, იოსებ აივაზიანს, გრიგოლ აივაზიანს, ბაგრატ მელიქჯანოვს და სტეფანე კევჩიანცს.

არ. კუჩუკიანცი.

„ზაკტპო“-ს თანამშრომლებმა უკვე შეიტანეს ლენინაკანის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ასი თუმანი და ვიწვევენ: „ზაკსოიუზის“, თბილისის მუშკოოპის „ზოეცი“-ს, ცეკავშირის, „მწყემსის“ და „სოფლის კავშირის“ თანამშრომლებს.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინწინ, 1 ნოემბერს შესდგა მხოლოდ ორი სექციის—კომუნალური და განათლების სექციების მორიგი სხდომები.

კომუნალური სექცია

მოსამზადებელი მუშაობა ზაჰესის ენერგიის მისაღებად

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა თბილისის ელექტრო-ენერგიის მომწესრიგებელ სამმართველოს მთავარ ინჟინერის ამხ. მგელაძის მოხსენება ზაჰესის ელექტრო-ენერგიის მისაღებად მოსამზადებელ მუშაობის წარმოების და ზაჰესის ენერგიის გამოყენების პერსპექტივების შესახებ.

ზაჰესის ელექტრო-ენერგიის მისაღებად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს მაღალ და დაბალ ძაბვის ქსელებზე და აგრეთვე აბონენტების — ელექტრო-ენერგიის კერძო მომხმარებლების მოსაწყობად. ქსელის გასაყვანი მუშაობა დამთავრებულია 80—90 პროც. რაც შეეხება აბონენტებს, მათი გადასაყვანი მუშაობაც დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ზაჰესის ამუშავებისას ყველა აბონენტები მიიღებენ ელექტრო-ენერგიას,—იმის და მიუხედავათ, გადაყვანილი იქნებიან ისინი ახალ მავთულზე თუ არა. ელექტრო-ენერგიას ვერ მიიღებენ მხოლოდ ის აბონენტები, რომელთა ელექტრო-განყვანილობა დაძველებულია და საშიშროებას წარმოადგენს ზაჰესის ელექტრო-ენერგიის გადაყვანისათვის.

რაც შეეხება ძალოვანი (მოტორიანი) სადგურების აბონენტების ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანას, მათ წინადადება მიეცათ მომზადებულიყვნენ ზაჰესის ენერგიის მისაღებად, მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით კიდევ მზად არ არიან.

რაც შეეხება ზაჰესის შემოსავალს მისი ამუშავების პირველ წელს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მეტი დატვირთვა ექნება ზაჰესს. ამ დატვირთვის მიხედვით არის შედგენილი ელექტრო-ენერგიის ტარიფი. ამ ტარიფით პირველი წლისათვის მოსალოდნელია 1.168.000 მანეთის შემოსავალი. ხოლო გასავალი, რომელშიდაც შედის საამორტიზაციო ხარჯები, ნავარაუდევია—2.000.000 მანეთი. მეორე წელიწადს შემოსავალი უკვე გაუთანასწორდება გასავალს, ხოლო მესამე წელიწადს ზაჰესის ექსპლოატაცია უკვე მომგებიანი იქნება.

განათლების სექცია

სექციის მუშაობის გეგმა

განათლების სექციის მორიგ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ბერიძემ სექციის მუშაობის შესახებ მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში. პირველ ყოვლისა, გასული წლის მსგავსად სექციის თვითეული წევრი მიმაგრებული უნდა იქნეს განათლების რომელიმე დაწესებულებაზე, რომლის მუშაობის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა შეადგენს მიმაგრებული წევრის მოვალეობას. სასწავლებლების სპეციალური საკითხების შესასწავლად გამოყოფილი იქნება სექციის წევრებისაგან საგანგებო კომისია, რომელიც მიმაგრებულ წევრთან ერთად თავის დასკვნებს წარუდგენს სექციას. ამ დასკვნების მიხედვით გამომუშავებული იქნება სათანადო ღონისძიებები.

სექციის წევრებმა უნდა იკისრონ აგრეთვე პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ბავშვთა ახალშენების და სპეციალური განხრის სკოლების მუშაობის და ცხოვრების შესწავლა-გამოკვლევა და სხვა.

სკოლების რემონტის საკითხი ამ თვეშივე უნდა დაამუშაოს სექციებმა იმ მიზნით, რომ სკოლების შეკეთება დამთავრდეს მომავალი სამოსწავლო წლის დაწყებამდე.

სექციის წევრებს ევალებათ აგრეთვე თავიანთი მუშაობა შეუთანხმონ დამხმარე საბჭოებს, რომელნიც წელს მოეწყობა თვითეულ სკოლასთან ახალი დებულების თანახმად.

სექციის წევრებმა თვალყური უნდა ადევნონ დებულების გატარებას სწავლის ფულის გადახდის შესახებ.

მოწაფეთა თვითმართველობის საკითხიც უნდა გახდეს სექციის წევრთა ყურადღების და მზრუნველობის საგნად. შემდეგ სექციამ მოისმინა მე-6, მე-46 და მე-97 შრომის სკოლების გამგეთა მოხსენება.

საკურორტო სეზონი

აფხაზეთის აგარაკებზე უკვე დაიწყო საზამთრო საკურორტო სეზონი, რომლის წინ საკურორტო სამმართველო მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდა. სეზონის დაწყების წინ შეკეთებულ იქნა შენობები, შეძენილ იქნა სპეციალური მოწყობილობა—ინვენტარი, თეთრეული და საჭირო ჭურჭეულობა. საექიმო პერსონალი შევსებულ იქნა სპეციალისტებით (უმთავრესად ფილტვების ავადმყოფობის დარგში), შეძენილია აგრეთვე რენტგენის ახალი აპარატი. საკურორტო სამმართველომ მოაწყო აგრეთვე არასანატორიულ ავადმყოფებისათვის საზოგადო სასადილო, სადაც ავადმყოფები მიიღებენ სადიეტო კვებას შეღავათიან ფასებში. სასადილო მუშაობს ექიმის ზედამხედველობით.

საკურორტო სამმართველოს მიერ ყველა სანატორიუმებში დაწესებულია შემდეგი ფასები: პროფორგანიზაციის მიერ დადებულ ხელშეკრულებით საწოლი ღირს 175 მანეთი, პროფკავშირების ცალკე წევრებისათვის 185 მან., კერძო პირებისათვის 240 მანეთი.

მიმდინარე საშემოდგომო-საზამთრო სეზონში იმუშავებს შემდეგი სანატორიუმები: ლენინის სახელობის სანატორიუმი გულრიპშში—300 საწოლით. ძერჟინსკის სახელობის სანატორიუმი გაგრაში—100 საწოლით, საკურორტო სასტუმრო პანსიონებით, ექ. პოლუგარადნიკოვის სანატორიუმი სოხუმში 30 საწოლით და 4 მარტის სახელობის სანატორიუმი (იქვე) 50 საწოლით.

ბრიკეტის ფაბრიკა

1925 წელს ქუთაისის გამასწორებელ სახლთან მოწყობილ იქნა ბრიკეტის ფაბრიკა და ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხანა. ამ წარმოებებში სპეციალისტების ხელმძღვანელობით მუშაობენ გამასწორებელი სახლის პატიმრები, რომელნიც იწვრთნებიან და სწავლობენ სხვადასხვა ხელობას ხე-ტყის დამუშავების დარგში. პატიმრები ღებულობენ განსაზღვრულ ხელფასს. გასული წლის განმავლობაში ფაბრიკის მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო. წელს გადიდებულ იქნა სამუშაო პროგრამა და ამასთან დაკავშირებით მუშა-ხელის რაოდენობაც. ამჟამად ყოველდღიურად ბრიკეტის ფაბრიკაში მუშაობს 60 მუშა.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი კვარტალისათვის სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ფაბრიკას გაუხსნა კრედიტი 5 ათასი მანეთის რაოდენობით.

ფაბრიკის ადმინისტრაციამ შეიძინა 300 კვ. საჟენი პარკეტი და 4 ვაგონი ხე-ტყის მასალა.

ფაბრიკას მიღებული აქვს შეკვეთა პარკეტის დასამზადებლად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებისა და ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტისაგან. გარდა ამისა, ფაბრიკას მიღებული აქვს შეკვეთები სამტრედიიდან, დადებულია ხელშეკრულება ა.-კ. რკინის გზ. საბინაო-საამშენებლო კომისიასთან ქუთაისის რკინის გზის სადგურის რაიონში ორ საბინაო სახლის აგების შესახებ და სხვა.

არქეოლოგიური აღმოჩენა აჭარისტანში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საქართველო ერთობ მდიდარია ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთებით. ასეთ ნაშთებს თითქმის ყოველი ფეხის გადადგმაზე ვხვდებით. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები ამა თუ იმ დარგის სიძველეთა აღმოჩენის შესახებ. არც აჭარისტანი ჩამორჩება საქართველოს სხვა კუთხეებს. აქაც ბლომად პოულობენ ნაირ-ნაირ სიძველეებს.

ამას წინად სოფ. მახუნცეთში აღმოჩენილ იქნა ძველი იარაღები და ხელსაწყოები.

ამას წინად ს. ზენითში (ქობულეთის მაზრა, კინტრიშის თემი) გლეხ ისმაილ გოგიტიძეს, მიწის დამუშავების დროს, აღმოუჩენია ისტორიულ-არქეოლოგიურად ერთობ საინტერესო ნივთები. ნივთები ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უძველესი წალდი, რაც იშვიათია არქეოლოგიურ ნაპოვართა შორის, ნაჯახები, პატარ-პატარა თოხები ხელჩოს მსგავსი რაღაც იარაღები. ნამგლები, დანები და სხ., აგრეთვე საომარი იარაღები. ამავე ნივთებთან ნაპოვნია ბლომად ბრინჯაოს ნატეხები (სხმულები). ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ პატრონი ბრინჯაოს მხელო უნდა ყოფილიყო.

ყალიბისა და ხელოვნების მხრივ განსაკუთრებით ინტერესს წარმოადგენს წალდი და თოხ-ხელჩოები. თავისებური ჩუქურთმებითაა გალამაზებული დანარჩენი იარაღებიც.

ზოგ სპეციალისტის აზრით, აღნიშნული ნივთები უნდა ეკუთვნოდეს ქრისტიანობის წინა პერიოდს.

ეჭვს გარეშეა, აღმოჩენილი არქეოლოგიური სიძველეები ძვირფას განძს წარმოადგენს მეცნიერებისათვის, ხოლო აჭარისტანის წარსულის შესწავლის დარგში, ის პირდაპირ დაუფასებელია. აღნიშნული ნივთები შეძენილ იქნა აჭარისტანის ცენტრალურ მუზეუმისათვის, ხოლო აღმოჩენის ადგილს გაიგზავნა ექსპედიცია აღმოჩენის ადგილმდებარეობის დეტალურად გამოსაკვლევად.

საქმე იმაშია, რომ აჭარისტანის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთები ერთობ იშვიათად ვხვდება. განსაკუთრებით ღარიბი ვართ არქეოლოგიური ნაშთებით. ასეთები ძალიან ცოტა მოგვეპოვება თბილისის, ა.-კ.-ის და საბჭოთა კავშირის მუზეუმებში.

ამავე დროს არის ცნობები, რომ ბათომსა და მის ოლქში უამრავ ნივთებს ჰკრეფდენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ისე უცხოელებიც. კერძო კოლექციებისათვის და ალბად გაქონდათ საზღვარ-გარედ მოგების მიზნით. კიდევ კარგი, თუ ეს ნაშთები მოხვდა საზოგადოებრივ კოლექციებში და საბოლოოდ არ დაიკარგა მეცნიერებისათვის.

ცნობილია, რომ ვიღაც ბორჩაძოვმა ძვირფასი ნივთები, ნაირ-ნაირ ლითონის ფულის ნაშთები, უძველესი სამკაულები და იარაღები მოჰკრიბა ბათომსა და მის ოლქში, ვითომცდა საკუთარ კოლექციისათვის, მაგრამ არავინ იცის, სად წავიდა ის კოლექცია.

მომავალში ასეთი გარემოება თავიდან უნდა იქნას აცილებული.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ მოსახლეობა ადვილად არ აჩენს ასეთ ნაშთებს. მასაც თავისებური კომერციული მოსაზრებანი აქვს. ამიტომ საჭიროა ფხიზლად თვალყურის დევნება, რომ მომავალში მაინც არ გაიფლანგოს ეს კულტურულად ერთობ ღირებული ნივთები.

ამ მიზნით აჭარისტ. განათლების კომისარიატთან მოკლე ხანში აარსებს მუდმივ არქეოლოგიურ კომისიას, რომლის მოვალეობა იქნება თვალყურის დევნება ყოველგვარ აღმოჩენებისა და გათხრებისათვის, რომლებიც ფართოდ სწარმოებს ამ ბოლო დროს. კომისიამ ყოველ საჭირო შემთხვევაში უნდა მიიღოს ზომები ისტორიულ-არქეოლოგიურად მნიშვნელოვან ნაშთების მოვლა-პატრონობისათვის.

ზრ. ბ—ძე.

ბათომი, 30 ოქტომბერი.

ელექტროფიკაცია

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიმართა ამ.-კავკ. რკ. გზათა გამგეობას დაამუშაოს ამ.-კავკ. რკ. გზების ელექტროფიკაციის პროექტები.

ამ.-კავკ. რკ. გზათა გამგეობამ უკვე დაამუშავა აღნიშნული პროექტები, რომლითაც გათვალისწინებულია ელექტროფიკაცია ხაშურ-ზესტაფონის, სანაინ-კარაკლისის და კარაკლის-ლენინაკანის უბნებისა.

ამჟამად ამ.-კავკ. რკ. გზ. სამმართველო უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას ხაშურ-ზესტაფონის უბნის ელექტროფიკაციისათვის.

აღნიშნული მუშაობა უნდა დასრულდეს 1928 წლის ბოლოსათვის. იგი დაჯდება წინასწარი გამოანგარიშებით 8,5 მილიონი მანეთი. გასულ 1925-26 საოპერაციო წელში ამ მიზნით გაცემული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისაგან 50.000 მანეთი. მიმდინარე 1926-27 წელში გაღებული იქნება ცენტრიდან 3 მილიონ მანეთამდე.

ხაშურ-ზესტაფონის უბნის ელექტროფიკაციის შემდეგ, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველო შეუდგება სანაინ-კარაკლისის უბნის ელექტროფიკაციის მოწყობას. მატარებლების მიმოსვლა ელექტრონული წევით იწარმოებს დაახლოვებით 41 კილომეტრის მანძილზე. ეს მუშაობა განზრახულია დასრულდეს 1930-31 საოპერაციო წლისათვის. აღნიშნულ საქმეზე რკ. გზათა სამმართველოს მიეცემა 2.000.000 მანეთი.

აგრეთვე გათვალისწინებულია კარაკლის-ლენინაკანის უბნის ელექტროფიკაცია, რომელიც დასრულდება 1935 წლისათვის და რომლის მოწყობაც დაჯდება 4.500.000 მანეთი.

იტალიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის გამგზავრება

გუშინ, დილის 8 საათზე, იტალიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია მთელი შემადგენლობით საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა კავკავში.

გამგზავრების წინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგატებთან საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

— უპირველეს ყოვლისა, ამბობს ერთი დელეგატი,—საქართველოში ჩვენ გაგვაკვირვა იმ დიდმა აღმშენებლობითმა მუშაობამ, რომელშიაც ჩაბმულია საქართველოს მუშათა კლასი. ზაჰესი ამ მხრივ უდიდესი მიღწევაა.

შემოქმედებითი მუშაობა სჩანს ყველა დარგებში. განსაკუთრებით მოგვეწონა ჩვენ თქვენი სასკოლო სისტემა და სწავლების მეთოდი, რომელიც შემოღებულია სკოლებში.

კახეთში ჩვენ დავათვალიერეთ ცხრაწლედი, რომელშიაც სწავლობს 860 მოწაფე. სკოლის დათვალიერებამ და მოწაფეებთან საუბარმა ჩვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა.

სამწუხაროდ, უდროობის გამო ჩვენ ვერ მოვასწარით ყველა მთავარი კულტურული დაწესებულებების დათვალიერება, მაგრამ ისიც, რაც ვნახეთ, საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ კულტურულ მუშაობაზე, რომელიც აქ სწარმოებს.

ჩვენ მეტად კმაყოფილი ვართ, რომ საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მუშების კულტურულ აღზრდას. ამ მხრივ აღსანიშნავია სხვადასხვა კლუბების და წრეების მუშაობა. უდიდესი მიღწევებია აგრეთვე ქალთა შრომის დაცვის საქმეში.

— იტალიის მუშებს,—ამბობს მესამე დელეგატი, დიდი ხანია ჰქონდათ სურვილი გაეცნოთ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიღწევები, მაგრამ აქამდე ეს არ მოხერხდა, რადგან იტალიაში გამეფებულ პირობებში შეუძლებელია მუშის სურვილის თავისუფლად გამომჟღავნება.

მაგრამ მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, ჩვენ მაინც ჩამოვედით, პირველ მუშურ სახელმწიფოში და დაწვრილებით შევისწავლეთ თქვენი მიღწევები აღმშენებლობის ყველა დარგებში.

იტალიაში დაბრუნებისას ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ რაც შეიძლება ფართოდ გავაცნოთ იტალიის პროლეტარიატს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა.

ექსპედიცია დევდორაკზე

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დავალებით, 7 ოქტომბერს დევდორაკში გაემგზავრა გეოლოგიური ექსპედიცია გეოლოგ კ. გაბუნიას მეთაურობით. ექსპედიციის მიზანი იყო დევდორაკის, ბოლუმის, ყაზბეგის და სხვა მიდამოების სპილენძის და სხვა მადნეულობის მდებარეობის გამოკვლევა.

დევდორაკი მოთავსებულია ყაზბეგის მწვერვალის კალთობზე ერთი ვერსი სიმაღლე პიტალო კლდის წვერზე. სოფ. ყაზბეგში ჩასვლისას ექსპედიციამ თან გაიყოლა მთასვლელობის საუკეთესო მცოდნეები—იაკობ კაზალიკაშვილი, ლევან წიკლაური, აბრამ და ლევან ქეშაშვილები და სხ.

ექსპედიციას დევდორაკზე დახვდა საკმაოთ ღრმა თოვლი, რამაც განსაკუთრებით გააძნელა მადნების ადგილას მისვლა; ექსპედიციამ მაინც მოახერხა მწვერვალზე ასვლა.

დევდორაკში სპილენძის მადნეულობის არსებობის შესახებ დიდი ხანია იციან. იქ ერთ დროს კიდეც დაუწყიათ მუშაობა: გაუთხრიათ ცხრა გვირაბი, რომელთაგან დღეს კიდევ არსებობს 5. აქაური მადანი საუკეთესო ღირსებისაა და მასში ურევია ე.-წ. ჰალკო-პირიტი.

ექსპედიციამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია ბოლუმის მიდამოებს. ბოლუმის მადნები მდებარეობს სოფ. ყაზბეგიდან (დუშ. მაზრა) 3 ვერსის დაშორებით. აქაურ სპილენძის მადნის სისქე ხშირათ უდრის 2 მეტრს, რაც უნდა ჩაითვალოს სარეკორდოთ. გარდა ამისა ექსპედიციამ აღმოაჩინა კიდევ მრავალი ახალი მიდამო, როგორც, მაგალითად, ხდეს. მწყრობს, ქუბას და სხვა. ყველა აღნიშნულ ადგილებიდან საანალიზოთ ჩამოტანილ იქნა აღმოჩენილ მადნეულობის ნიმუში.

სოფ. სნოში, სიონში და ტყარშეთში აღმოაჩინეს სევანდი (სურმა), რომელსაც დიდი გასავალი აქვს განსაკუთრებით ქიმიურ მრეწველობაში, მედიცინაში და სხ.

მომავალ ზაფხულზე განზრახულია აღნიშნულ რაიონში კვლავ გაიგზავნოს ასეთივე ექსპედიცია უფრო დიდი ხნით, სამუშაოთ.

ზაჰესი

ზაჰესის საამშენებლო სამუშაოები დამთავრებულია. ამჟამად ზაჰესის მთავარი ნაწილები გამოცდის და შემოწმების პერიოდში იმყოფება. სათავის და გამრეცხის ფარებმა ჩინებულად ჩააბარეს გამოცდა. შესამოწმებლად საუკეთესოა ბუნებრივი წყალდიდობა, მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებში მტკვარი მეტად მცირე წყლიანია; ამიტომ გაზაფხულამდე „ზაჰესს“ ამ გამოცდის ჩაბარება არ მოუხდება. ზაჰესი წყალდიდობას არ დაუცდის და მანამდე ამუშავდება. ნაშენების სიმტკიცის გამოსარკვევად სრულიად საკმარისია ის გამოცდები, რომლებიც დღემდე სწარმოებდა და ამ ახლო ხანში იწარმოებს.

მთავარ არხში წყალი გადაშვებული იქნება ამ 10 დღეში.

ორი გენერატორის აწყობა და დადგმა ერთი თვეა რაც დამთავრდა. დანარჩენი ტურბინებიც დადგმულია, მოკლე ხანში დასრულდება დანარჩენი გენერატორების დადგმა. ჰიდრო - ტექნიკურ მოწყობილობათა მონტაჟი სავსებით დასრულებულია.

ქალაქის ქვესადგურებზე და გამწესრიგებელ მოწყობილობათა შენობაში უკვე დამთავრებულია აპარატურის დადგმა. მავთულების გაბმაც ზაჰესიდან თბილისამდე დასრულებულია.

მოელიან ელექტრო - ტრესტიდან უკანასკნელ შეკვეთებს. სათანადო მოწყობილობის მიღებისთანავე შეუდგებიან საბოლოო მონტაჟს;

დაახლოვებით ამ 15 დღეში წყალი გადაშვებული იქნება მთავარ არხში.

საახალშენო საქმე

საანგარიშო წლის დასაწყისში საახალშენო საქმე სრულებით მიყუჩებული იყო. ამის მთავარი მიზეზი იყო საახალშენო ფონდის უსახსრობით გამოწვეული სათანადო აპარატის უქონლობა.

მიმდინარე საკალენდარო წლის დასაწყისიდან აღნიშნული პირობები შეიცვალა და შესაძლებელი შეიქნა ამ საქმის აღდგენა. დაწყებული იქნა წინაწლებში დასახლებულ ახალშენების მიწათმოწყობა ყარაიას რაიონში. ამავე დროს თბილისის სამაზრო აღმასკომის მიწისზომლების საშუალებით მოწყობილი იქნა ამ რაიონის შვიდი სოფელი.

სამ ნახევარი თვის განმავლობაში, 15 თებერვლიდან 1-ლ ივნისამდე, მოწყობილი იქნა 6 ახალშენი 368 კომლით 1633 დეს. სივრცეზე.

ივნისში მოწყობილია წინა წლებში დასახლებული 2 ახალშენი: გორის მაზრაში — მირიანეული და თბილისის მაზრაში — ნოვო პავლოვკა 25 კომლით ორივე და საერთო სივრცით 580 დეს.; გამორკვეულია ამ ორ ახალშენში 110 დეს. თავისუფალი საახალშენო ფონდი.

საახალშენო საქმის ათწლიანი პერსპექტიული გეგმით, შიდა საქართველოს სოფლის ზედმეტი მოსახლეობა გამორკვეულია 377.000 სულის რაოდენობით; საახალშენო ფონდი კი, რომელიც შესაძლებელია მიღებული იქნეს მიწათმოწყობის და მელიორაციის საშუალებით აღწევს 87.500 დეს. ამ ფონდზე დაეტევა 100.200 სული; 31.200 სული განზრახულია გადასახლებული იქნეს რესპუბლიკის გარეშე, უმთავრესად, სოჭის ოლქში და, ჩრდილო კავკასიის საქართველოსთან მოსაზღვრე ოლქებში.

დანარჩენი ზედმეტი მოსახლეობა 245.600 სულის რაოდენობით ნავარაუდევია დაბანდებული იქნეს მომავალში გაუმჯობესებულ სოფლის მეურნეობაში და განვითარებულ მრეწველობაში.

1925—26 წლის ხარჯთ-აღრიცხვით განზრახული იყო 2.500 დეს. საახალშენო ფონდის დასახლება 750 უმიწაწყლო კომლით და 12 სტიქიურ საშიშროების ქვეშმყოფ სოფლის 450 კომლით. ვინაიდან ამ საქმისათვის მიღებული არ იქნა საკმარისი კრედიტები, გეგმა შესრულებული ვერ იქნა სავსებით.

1926—27 წლის ხარჯთაღრიცხვით განზრახულია 1.300 უმიწაწყლო კომლის გადასახლება 5.400 დეს. საახალშენო ფონდზე თბილისის, გორის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში. 9.300 სულის (უმთავრესად ოსმალეთიდან ლტოლვილების) გადასახლება საერთო საკავშირო ფონდზე და 1500 კომლის განსახლება სხვადასხვა ადგილებზე. ყველა ამ სამუშაოების შესასრულებლად გამოთხოვილია 400.960 მანეთი საორგანიზაციო ხარჯებისათვის და 805.000 მანეთი საკრედიტო დახმარებისათვის.

თათბირი

ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ

მესამე და მეოთხე სხდომაზე თათბირმა მოისმინა რესპუბლიკების პროფკავშირთა წარმომადგენლების მოხსენებანი ახალგაზრდათა პროფტექნიკური განათლებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებების ხელახლა დადების კამპანიაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ამას გარდა მოსმენილი იქნა მოხსენება კომკავშირის მონაწილეობის შესახებ პროფორგანიზაციების გადარჩევაში. ცალკე მოხსენებები იქნა აგრეთვე წაკითხული პიონერთა მოძრაობისა და საკლუბო მუშაობის შესახებ.

ამ მოხსენებებით ამოიწურა თათბირის დღის წესრიგი.

კვირის სხდომაზე თათბირმა განიხილა და მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებების შესახებ.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა.

ქალაქ ფოთის ტერიტორია

საქართველოს საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ქალ. ფოთის ტერიტორიის შემდეგი საზღვრები: საზღვარი იწყება შავი-ზღვის პირას ტრიგონომეტრიულ პუნქტიდან მდ. ნაბადას ჩრდილოეთით, აქედან მიდის პირდაპირი ხაზით ამიერ-კავკასიის რკინისგზის მე-7 ვერსის ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე, რის შემდეგაც საზღვარი უშუალოდ მიადგება მდ. რიონს.

აქედან საზღვარი მიჰყვება მდ. რიონს მდ. ნედართუს შესართავამდე, შემდეგ მდ. ნედართუს—მდ. ფიჩორასთან შეერთებამდე. აქედან მდინარე ფიჩორას პალიასტომის ტბასთან შესართავამდე, შემდეგ პალიასტომის ტბის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაპირის მდინარე დედაბერას სათავემდი, აქედან მდინარე დედაბერას მდ. კაპარჭესთან შერთვამდე, აქედან მდ. კაპარჭით, ვიდრე შავ-ზღვასთან შესართავამდე.

ახალი ლაბორატორია

ამიერ - კავკასიის ზომა-წონის პალატასთან დაარსდა უაღრესი სისწორის ქიმიური ლაბორატორია, რომელიც აწარმოებს ყოველგვარი ხასიათის ფიზიოქიმიურ გამოკვლევებს. ამავე პალატასთან მოწყობილია მექანიკური ლაბორატორია, რომელიც იმით არის შესანიშნავი, რომ პირველად ამიერ-კავკასიაში ახდენს ყოველგვარი ლითონების და სხვა საამშენებლო მასალების უაღრესად სწორ გაზომვას. ლაბორატორიასთან პირველად ამიერ-კავკასიაში მოეწყო პირომეტრიული განყოფილება, რომლის მთავარი დანიშნულებაც არის საქარხნო ღუმელების მაღალი ტემპერატურის გაზომვა.

ამ მიზნისათვის ზომა-წონის პალატას ლაბორატორიის პირომეტრიული განყოფილებისათვის გამოწერილი აქვს გერმანიიდან უკანასკნელ წლებში გაუმჯობესებული ოპტიური პირომეტრები.

ლაბორატორიასთან ეწყობა აგრეთვე ელექტრო - მეტრიული განყოფილება, რომლისათვის უცხოეთიდან გამოწერილია საჭირო ხელსაწყოები.

მანქანები

ს. მ. უ. ს. განზრახული აქვს ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მეშვეობით შეუკვეთოს გერმანიაში ფირმა „კოსმოს“-ს აბრეშუმის სართავი ახალი გაუმჯობესებული მანქანები.

მიღების შემდეგ ეს მანქანები დაურიგდებათ აბრეშუმის ტრესტის ქარხნებს, სადაც დაიწყებენ აბრეშუმის წმინდა ქსოვილების დამზადებას.

ამასთანავე კრუპის ქარხნებს შეუკვეთეს აბრეშუმის წვრილი ძაფების სართავი მანქანები.

ყველა აღნიშნული ტიპის მანქანების მიღებისა და ამუშავების შემდეგ, ჩვენში დაამზადებენ აბრეშუმის საუკეთესო ქსოვილებს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საგანმანათლებლო მუშაობა

ფოთი, 2 ნოემბერი. პოლიტგანმა გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ორი სკოლა და ერთი სკოლა გამსახლთან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პატიმართა შორის.

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 2 ნოემბერი. ამ დღეებში ფოთის ნავთსადგურის განკარგულებაში არხანგელსკიდან ჩამოვა გემი „კამაევი“, რომელიც უკვე ბოსფორში არის და აგრეთვე—რამოდენიმე პატარა ხომალდი.

ამინდი სვანეთში

მესტია, 2 ნოემბერი. სვანეთში ამ დროისათვის ჩვეულებრივი თოვლის ნაცვლად თბილ წვიმებს სცვლის მშვენიერი ამინდი. ამინდი ხელს უწყობს შემოდგომის ნათესებსა და სათიბობი მასალის დამზადებას.

ახალი სკოლები

მესტია, 2 ნოემბერი. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას სამი ახალი სკოლა: ხალდეში, კიდერასა და ვედში. მეცადინეობის დაწყებას სკოლებში ფიქრობენ პირველი ნოემბრიდან. მესტიაში იხსნება საჩვენებელი სკოლა.

ახალი ქოხ-სამკითხველოები

ახალქალაქი, 2 ნოემბერი. ამ წლიდან ყარსზახისა და ვლადიმიროვკის სოფლებში იხსნება ახალი ქოხ-სამკითხველოები. ეს სოფლები ახლად დაარსებული თემების ცენტრებია. ამასთან ერთად მაზრაში იმუშავებს 17 ქოხ-სამკითხველო.

მოსახლეობის მოძრაობა

ახალქალაქი, 2 ნოემბერი. 1925 წლის ოქტომბრიდან ამა წლის ოქტომბრამდე რეგისტრაციაში გატარებული იყო: 3.194 დაბადება (1.682 მამ. სქ.—1.512 მდ. სქ.), 734 სიკვდილის შემთხვევა (397 მამ. სქ., 337 მდ. სქ.) 1.413 დაქორწინება, 34 განქორწინება. მოსახლეობას მოემატა ერთი წლის განმავლობაში 2.460 სული.

აჭარისტანი

ზღვის ღორები

ბათომი, 2 ნოემბერი. მეთევზეთა კოლექტივმა სოფ. სარფის რაიონში განაახლა ზღვის ღორების დახოცვა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში შეჩერებული იყო. აღდგენილია ზღვის ღორის ქონის გამოსახარშავი ქარხანა. ოქტომბერში კოლექტივმა დაამზადა 10.000 ფუთი პროდუქტი; აქედან 800 ბოჭკა უკვე ბათომიდან გადმოიტანა გერმანიაში გასაგზავნად.

ახალი ნავთის სადენი მილი

ბათომი, 2 ნოემბერი. ნავთსადგურში დაასრულეს ახალი ნავთის სადენის გაყვანა, რომელიც 13 დიუმიან დიამეტრის მქონე მილებისგან შესდგება. ამ ნავთის სადენი მილის გაყვანით დაჩქარდება გემებში ნავთის ჩასხმა და გაიაფდება ნავთის ექსპორტი.

გემი მაცივარი

ბათომი, 2 ნოემბერი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მთავარი კანტორის მიერ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაში იგზავნება ერთი გემი—მაცივარი ბათომიდან და შავი ზღვის სხვა ნავთსადგურებიდან ხილისა და სხვა ადვილად წასახდენი საგნების გასაზიდათ უცხოეთში.

ბათომ-ოზურგეთის შარა გზა

ბათომი, 2 ნოემბერი. დასრულდა ლეღვა ქობულეთის შარა გზიდან გურიის საზღვრამდე ე. ი. მდ. ჭოლოხამდე გასაყვანი შარა გზის გამოკვლევა. გზა უნდა გაიყვანონ შვიდი ვერსის მანძილზე. ამ გზის გაყვანით პირდაპირი კავშირი დამყარდება ბათომსა და ოზურგეთს შორის.

აფხაზეთი

აღწერა

სოხუმი, 2 ნოემბერი. აფხაზეთის სტატისტიკური სამმართველო აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას მოსახლეობის აღწერისათვის. მუშაობაში ჩაბმულია 341 რეგისტრატორი, 31 ინსტრუქტორი და 5 ხელმძღვანელი.

წერილები

ექიმი სოფლად

ხშირად გვესმენია საყვედური ექიმების მიმართ, რომ ისინი პროვინციას გაურბიან, ყველანი თბილისისაკენ მიისწრაფიან. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ პროვინციის ამგვარი ჩივილი და გულისწყრომა არ არის უსაფუძვლო. ექიმების უდიდესი ნაწილი ცხოვრობს და ემსახურება ან მხოლოდ თბილისს ან სხვა ქალაქებს. პროვინციისაკენ მიუბრუნებიათ სახე ექიმთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ცხადია რომ საექიმო დახმარება საქართველოში არ არის წესიერად განაწილებული და ამ არანორმალურ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო.

შეუძლებელია თუ არა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა და პროვინციის საექიმო ძალებით უზრუნველყოფა?

ექიმი უნდა შეესისხლხორცდეს სოფელს, ის უნდა დაუახლოვდეს გლეხს და შეიგრძნოს მისი ჭირ-ვარამი, მან უნდა დაახწიოს თავი ჩინოვნიკობას, რომ სოფელმა მიიღოს ის თავისიანათ. ამის გარეშე სოფელში მუშაობა წარმოუდგენელია. ექიმის სოფლისადმი დაახლოვებას ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

საჭიროა ექიმის მუშაობისათვის სოფელში შეიქნეს სათანადო პირობები. ამ პირობებთა შორის უპირველესია ჯამაგირის საკითხი.

საჭიროა პროვინციაში მომუშავე ექიმთათვის ჯამაგირის უსათუოდ გადიდება; ექიმი მატერიალურად უნდა უზრუნველყოფილი იყვეს. ამის გარეშე არც ერთ ექიმს სოფელში მუშაობა არ ძალუძს, იგი ყოველთვის იძულებულია სოფელს თავი დაახწიოს; ჯამაგირი, რომელიც დაწესებულია უნდა რიგდებოდეს თავის დროზედ.

ვერ მოსთხოვთ ექიმს ენერგიული მუშაობის წარმოებას, სოფელზე ზრუნვას, როდესაც მას თავის თავი და ოჯახი უხდება საზრუნავ საგნად. სერიოზულად ვერავინ დაიწყებს ლაპარაკს ექიმთა კერძო პრაქტიკაზე. ჩვენს პირობებში სოფლად ექიმთა კერძო პრაქტიკას ადგილი არ უნდა ქონდეს და არც აქვს.

ექიმიც ასე მსჯელობს: ჯამაგირს დროზე ვერ ვიღებ, ვალებში ვვარდები, ოჯახი გაჭირვებული მყავს, მოდი სხვა მაზრას ვეწვევი, იქნებ იქ არ ჩავვარდე ამ მდგომარეობაში. ისიც აიბარგება და მიდის სხვა მაზრაში. თუ აქაც ასეთივე პირობები დახვდა, ის უკვე პროვინციაზე გულაცრუებული მიეშურება თბილისისაკენ, სადაც ევულება ვინმე, რომელიც სადმე მოაწყობს, ხოლო ვიდრე სამსახურს იშოვნიდეს, ემატება თბილისის უმუშევარ ექიმთა ოჯახს.

ჯამაგირის სიმცირეს და დაგვიანებას თუ დაუმატებთ სოფლის ექიმის საერთოდ მძიმე მუშაობას, როდესაც მას ხშირათ ბინაც კი არ აქვს, არც ცხენი ჰყავს, ხშირად ურმით ან ფეხითაც უხდება რამოდენიმე ვერსის გავლა, ჩვენთვის გასაგები უნდა შეიქნეს ის მიზეზები, რომელნიც მიერეკებიან ექიმებს სოფლებიდან ქალაქისაკენ.

ექიმს უნდა მოეთხოვოს მუშაობა, მაგრამ უნდა მიეცეს საშუალება ამ მუშაობის წარმოებისა: ჯანმრთელობის განყოფილებებმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ სოფლის ექიმებთან. არ არის საკმარისი თბილისიდან მიღებულ ცირკულიარების შემოკლებით სოფლის პუნქტზე გადაგზავნა. საჭიროა ექიმებთან ცოცხალი კავშირი, ხშირი მისვლა მათთან, მდგომარეობასთან გაცნობა, გამხნევება, ერთი სიტყვით მეტი ამხანაგური ყურადღება. ყოველ მაზრაში სოფლის პუნქტის ექიმს აკისრებენ გარდა მისი პირდაპირი მოვალეობისა სხვადასხვა ხასიათის მუშაობას, როგორც მაგ. წითელი ჯვრის საზოგადოების საწევრო წიგნაკების გავრცელებას, საექიმო ექსპერტიზის მოხდენას და სხვა. ამას ყველაფერს ექიმი სინდისიერათ ასრულებს.

მძიმე პირობებია სოფლად ექიმის მუშაობისათვის; მაგრამ ეს პირობები დასაძლევია. ახალგაზრდა ექიმს არა აქვს ზნეობრივი უფლება დაივიწყოს სოფელი. პროვინცია სიყვარულით აღსავსე იმედებით შეჰყურებს ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს და უკანასკნელის კურს დამთავრებული ახალგაზრდა ექიმებს არ უნდა ავიწყდებოდეთ სოფელი.

ექ. ივ. ნიკ.

„საზანომ“ მოგვატყუა

სოფ. ზედა საზანოში დაარსდა მეღვინე მევენახეთა საზ-ბა „საზანო“. გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გვეგონა ამხანაგობა ჩარჩ-ვაჭრების კლანჭებიდგან დაგვიხსნის, ღვინოებს ბაზარს გამოუნახავს, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით.

უკვე მეოთხე თვე სრულდება, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე ლეონტი შუღლაძემ წაიღო რამოდენიმე ათასი მანეთის საღირალი ღვინოები და გლეხები პასუხის ღირსიც აღარ გახადა. ასე დაზარალდა გლეხები, რომელნიც თავს იწყევლიან: „რათ ვენდვეთ კოოპერატივს, კერძო ვაჭრები უფრო შეგვისრულებდენ პირსო“.

გლეხების თვალში კოოპერატივმა ნდობა დაკარგა და, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდეს, საჭიროა ეხლავე იქნეს გლეხების დავალიანება დაფარული.

პლატონ ცინაძე.

წერილებიდან

ს. ნაჩხეტაური. (ქუთ. მ.)

ციების ბუდე. ჩვენს სოფელში არის ტბა ნარიონევი, რომელიც მთელი ზაფხულობით ყარს და ირგვლივ ჰაერს სწამლავს. სოფლის მოსახლეობა დაავადებულია ტროპიკული მალარიით და ტყირპით. ბევრჯერ სცადა სოფელმა ამ ტბის დაშრობა, მაგრამ საკუთარი ძალით ვერ შესძლო. საჭიროა მაზრაღმასკომის დახმარება.

აბურჯანიძე.

საგარეჯო, (გარე-კახეთი)

თევზი წყალში გადააგდეს. აქაური გლეხკ. თავმჯდომარე თბილისის სამაზრო გლეხკომმა მოხსნა თანამდებობიდან როგორც საქმისათვის სრულიად შეუფერებელი. ჩვენი გლეხკომის თავმჯდომარე სიღარიბის მოწმობას აძლევდა კულაკებს, სცემდა გლეხებს და სხვ. დღეს ეს ყმაწვილი ტყის მცველად დაუყენებიათ, უხაროდეს საგარეჯოს გლეხებს. კარგათ მოუვლის თავის ჯიბეს ტყის ახალი გამგე. ამას ჰქვია, თევზი წყალში გადააგდეს.

ისარი.

სოფლის ქრონიკა

- მეფუტკრეობის საქმის შესაფერ დონეზე დასაყენებლად ახალქალაქის აღმასკომი იწვევს მეფუტკრე-ინსტრუქტორს.
- აღწერა. ახალქალაქის აღმასკომმა შეადგინა აღწერის ჩამტარებელი სამეული.
- ლექციები. სვანეთის აღმასკომი აწყობს ლექცია-საუბრებს აგრონომიულ ცოდნის გასავრცელებლად.
- აბანო. ზუგდიდში ეწყობა აბანო.
- ზემო-სვანეთის მაზრაში წელს პირველად დაიწყო მიწათმოწყობა.
- ზუგდიდის აღმასკომმა შეიძინა თბილისში სახანძრო იარაღები.
- სტამბა. ზუგდიდის აღმასკომმა აამუშავა დღემდე გაუქმებული სტამბა.
- ხეთის აგარაკში ტყის გასაშენებლად შემოიღობა 500 დესეტინა მიწა.
- ავიაქიმი. ახალქალაქის აღმასკომთან დაარსდა ავიაქიმის მომწყობი კომისია.

წითელ ჯარში

ობლიგაციები სამხედრო მოსამსახურეებისათვის

მოსკოვი, 2 ნოემბერი. სამხედრო-საზღვაო კომისარიატმა სამხედრო მოსამსახურეებისათვის შეიძინა 1926 წლის მომგებიანი სესხის 5.000 ობლიგაცია. სამხედრო მოსამსახურეებს შორის სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად დანიშნული კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამხედრო მოსამსახურეებს ობლიგაციების შეძენის დროს მნიშვნელოვანი შეღავათები მიეცემათ.

ჩვენი კავშირი

ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტებს აქვთ კავშირი ნიგვზიანის თემის (გურია) ამკომკავშირელთა ორგანიზაციასთან.

კავშირი გამოყენებულია უმთავრესად იმისათვის, რომ კომკავშირელებმა გაიცნონ წითელი ჯარის ცხოვრება, მისი თვისებები, რაც უეჭველია კომკავშირელებს, როგორც მომავალ წითელ მოლაშქრეებს, მოუტანს დიდ სარგებლობას.

კურსანტები აწარმოებენ მიწერ-მოწერას კომკავშირელებთან. ხშირად იგზავნება სკოლიდან თემში კედლის გაზეთი, რის საშუალებითაც როგორც კომკავშირის ორგანიზაცია, ისე თემის გლეხობა, ეცნობა სკოლის ცხოვრება- ვითარებას.

ნიგვზიანის თემის ახალგაზრდობა დიდ მადლობას უძღვნის მეთაურთა სკოლის კურსანტებს, რომლებმაც თავის მოვალეობასთან ერთად არ დაივიწყეს გლეხური ახალგაზრდობა და უზიარებენ მას თავის გამოცდილებას.

ქ. ა.

წითელი ყაზარმა—სოფელს

(№ ქართ. მსრ. დივიზია)

დივიზიის ყველა ნაწილები წითელარმიელთა დათხოვნამდე გრძელვადიან შვებულებაში, შეუდგენ მათ მომზადებას სოფლად მუშაობისათვის.

მზადება მიმდინარეობდა გეგმიანად. ნაწილებში მოწყობილი იყო ისეთი წრეები და კურსები, რომლებიც მისცემდნენ წითელარმიელებს სოფლისათვის გამოსადეგ ცნობებს და ცოდნას.

წითელი არმიელები, რომელთაც ეხებოდათ წასვლა გრძელვადიან შვებულებაში, იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას სოფლისათვის მუშაობის მზადებაში. თავისი ნებით მუშაობდნენ რამოდენიმე წრეებში და ისმენდნენ საგნებს სხვადასხვა კურსებზე. ასეთი აქტიობა შემჩნეული იყო ყველა ნაწილებში გამოუკლებლივ.

სამოქალაქო ორგანიზაციებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა წითელარმიელთა მომზადებაში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, ცეკავშირმა, ქალაქის აღმასკომებმა უსასყიდლოთ მიავლინეს ჯარის ნაწილებში ლექტორები წითელარმიელებთან სამეცადინოთ. ბევრმა სამოქალაქო და პარტდაწესებულებებმა გადასცეს ჯარის ნაწილებს სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო ნივთები.

წითელარმიელთა მომზადების შედეგიც ძლიერ დამაკმაყოფილებელია. № დივიზიის ნაწილებმა მოამზადეს და დაუბრუნეს სოფელს მრავალი საზოგადო და კულტურული მოღვაწე. სულ მომზადებულ იქნა: კოოპერატორი 110 კაცი, ქოხ-სამკითხველოს გამგე—15 კაცი, სამხედრო კუთხის გამგე—10 კაცი და მომუშავეები საბჭოთა აღმშენებლობის დარგში 80 კაცი.

ბ—ა.

აჭარისტანის ახალგაზრდობა წითელ ჯარში

(აჭარელი მეთაურის წერილი)

1925 წელში აჭარისტანის მთავრობამ რამოდენიმე აჭარელი ახალგაზრდა გაგზავნა ქ. ქუთაისის უნტეროს მეთაურთა სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ გაგვწერეს მეხუთე ქართ. მსრ. ლეგ. მე-9-რე ასეულში, სადაც დღემდის ვმსახურობთ. სამსახურში შესვლამდე ჩვენ აჭარელ ახალგაზრდობას, ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა წითელ ჯარზე. მის შემადგენლობაზე, მიზნებისა და დანიშნულებაზე. წითელ ყაზარმაში ყოფნის დროს ჩვენ გავიგეთ, რომ წითელი არმია ყოფილა მშრომელთა სახელმწიფოს ერთგული დარაჯი. წითელი ყაზარმა სკოლაა, სადაც ახალგაზრდა მუშები და გლეხის შვილები სწავლობენ სამხედრო ხელობასთან ერთად წერა - კითხვას, ეცნობიან ჩვენი ქვეყნის ავ-კარგს, იძენენ ცოდნას და გამოცდილებას და სამსახურის დამთავრების შემდეგ უბრუნდებიან თავიანთ ქარხანას და სოფლებს და განაგრძობენ შრომას ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა არა თუ გაურბის სამხედრო სამსახურს, არამედ, პირიქით, ხალისით ეწერება წითელ ჯარში, რათა ზედმიწევნით შეისწავლოს დაცვის საქმე, რომ საჭიროების დროს მტერს ღირსეული პასუხი გასცეს. ქვეყნის თავდაცვის საქმეში ჩვენი პატარა აჭარისტანიც არ უნდა ჩამორჩეს მეზობელ რესპუბლიკებს, აჭარელმა ახალგაზრდობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ღირსია ატაროს თავისუფალი მოქალაქის სახელწოდება, რომ მას შესწევს უნარი იარაღით ხელში დაიცვას ოქტ. რევოლუციის მონაპოვარი, იმ რევოლუციისა, რომელმაც განათავისუფლა აჭარისტანის ფუხარა ხალხი მეფის ჩინოვნიკების, ბეგ-აღების და მენშევიკების ბატონობისაგან.

რეჯებ სურმანიძე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს სრულ ხუთ საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშკორთა გაერთიანებული კრება.

კრებაზე მოხსენებას გააკეთებს „ზაჰესი“-ს ტარიფის შესახებ „ტ-ე-მ-ს“-ის დირექტორი ამხ. ცანავა.

კრებაზე მუშკორთათვის დასწრება სავალდებულოა.

შვებულების კომპენსაციის შესახებ

ზოგიერთი ჩვენი წარმოებები და ადგილობრივი პროფუჯრედები მორიგ შვებულების ან და მათ კომპენსაციების საკითხებში დღესაც სუსტად ერკვევიან, რის გამო დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ჩვენ ხშირად ვხვდავთ უკმაყოფილებას და საჩივრებს. განსაკუთრებით დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი დასათხოვნი მუშა-მოსამსახურეების გამოუყენებელ შვებულების კომპენსაციით დაკმაყოფილების დროს.

ეს გაუგებრობა გამომდინარეობს იქიდან, რომ მორიგი შვებულების მისაღებად მუშა-მოსამსახურისათვის საჭიროა ხუთნახევარი თვის განუწყვეტელი მუშაობა. ანგარიში ამ ხუთნახევარი თვისა იწყება, როგორც ვიცით, მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე ახლად შესვლისა ან და მის უკანასკნელ შვებულებიდან დაბრუნების პირველ დღიდან.. ამიტომ ზოგიერთი შემფასკომები მოითხოვენ დასათხოვნი მუშა-მოსამსახურის კომპენსაციით დაკმაყოფილებას მათ მიერ გამოყენებულ უკანასკნელ შვებულების დღიდან და ზოგიერთი ჩვენი წარმოება-დაწესებულებები, ასეც უსწორდებიან დათხოვნილ მომუშავეებს.

სწორია თუ არა დათხოვნილისათვის ასეთი წესით უკანასკნელი ანგარიშის გასწორება? რასაკვირველია, არაა სწორი. და აი რა მოსაზრებით. ჩვენ ვიცით, რომ შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ში პირდაპირ ნათქვამია, რომ მორიგი შვებულება მუშა-მოსამსახურეთ (არა ნაკლებ ორი კვირის ხანგრძლივობის) საკალენდრო წელში ეძლევათ ერთხელ და არა ორჯერ. აქედან ცხადია, რომ თუ რომელიმე მუშა-მოსამსახურემ მაგ. წარსულ წლის ოქტომბერში მიიღო ერთხელ მორიგი შვებულება და ის დაითხოვეს სამსახურიდან ა.-წ. ვსთქვათ მაისში, ან რომელიმე სხვა თვეში, მას შვებულების კომპენსაცია უნდა მიეცეს არა წარსულ წლის რომელიმე თვის ანგარიშით, არამედ ამა წლის პირველ იანვრიდან, რადგან წარსულ წელში მორიგი შვებულებით მან მიიღო იმ წელში სრული ანგარიში. იგი უკვე იყო დაკმაყოფილებული შვებულებით წარსულ საკალენდრო წელს—ერთხელ და სრულიად.

„თუ დასათხოვნ მუშა-მოსამსახურეს გასულ საკალენდრო წელში მიეცა შვებულება მთლიანად ან და კომპენსაცია, მაშინ კომპენსაციის რაოდენობა გამოანგარიშებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან ნამუშევარ დროის მიხედვით“-ო, ამბობს ამის შესახებ შრომის კანონმდებლობა.

ეს უდავო დებულება მტკიცედ უნდა ახსოვდეს ჩვენ მუშა-მოსამსახურეთ და მათ ინტერესების დამცველ შემფასკომებს. რომ უკანონო მოთხოვნებით არ გაართულონ დათხოვნილებისათვის უკანასკნელ ანგარიშების გასწორების საკითხი და წარმოება-დაწესებულებასაც არ მიაყენონ რაიმე მატერიალური ზიანი უმართლო ფულის გაცემით.

ისარი.

სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკებს შორის

სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა შორის ხელფასის დარგში ადგილი აქვს თანდათანობით ზრდას. ამის შესახებ არსებული მასალებით სავაჭრო მოსამსახურეთა ხელფასი 1924—25 წ-ში გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა 5%-ით, 1925—26 წლის პირველ ნახევარში 1924—25 წ. შედარებით გაიზარდა 19 პროცენტით, ხოლო 1923—24 წ. შედარებით—25 პროცენტით.

ამ დიდ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს არა-ნორმალურ მდგომარეობასაც, როგორიცაა შრომის ხელფასის მოწესრიგების უსისტემობა. ეს გამოწვეულია სათანადო სატარიფო ცნობარის უქონლობით. 1923 წ. დამლევამდე მოქმედებდა ძველი სატარიფო ცნობარი, რომელსაც შემდგომ წლებში ალღო ვერ აუღო განვითარების გზაზე შემდგარ სავაჭრო აპარატს. ამის გამო სავაჭრო მოსამსახურეთა შრომის ხელფასის საქმეში გამეფდა არევ-დარევა. (როგორც მაგ. დაწესებულებებში თავისებური ტარიფიკაციის შემოღება, ერთი და იმავე კვალიფიკაციის სხვადასხვანაირი დახარისხება, სპეცგანაკვეთების, დატვირთვის დაკანონება და სხ.) საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ცეკას მიერ შეგროვილი მასალებიდან გამოირკვა, რომ მაღაზიის გამგის ხელფასი ქანაობს 20—250 მ-დე; უფროსი გამყიდველის—20—150-დე; ბუღალტერის—20—200-დე და სხ. შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ ზემოაღნიშნულიც ნათლად გვიჩვენებს სავაჭრო ორგანოებში სატარიფო ხარისხების ცვალებადობას და ამის გამო ხელფასის ფონდის მერყეობას. ასეთი მდგომარეობის დატოვება მომავლისათვის დაუშვებელია. აუცილებლობა მოითხოვს საბჭოთა და სავაჭ. მუშაკების კავშირმა დაუყოვნებლივ შეიმუშაოს სატარიფო ახალი ცნობარი, რომლითაც ბოლო მოეღება სავაჭრო ორგანოებში მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგებაში არსებულ სიჭრელეს და ამაში გააძლიერებს კავშირის გავლენასაც.

დამუშავებული მასალების რაოდენობის მიხედვით სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებში ხელფასი უფრო დიდია, ვიდრე კოოპერაციაში, მაგ. 1926 წლის მარტში გამყიდველის საშუალო ხელფასი უდრიდა 60 მანეთს, კოოპერაციაში—54 მ. 40 კ-ს. ეს მიეწერება სახელმწიფო ვაჭრობის სწორ ორგანიზაციულობას.

ამჟამად მთავარ ამოცანად უნდა იქნეს აღიარებული ეს ხელფასის მხრივ კოოპერაციაში უფრო ჩამორჩენილი ჯგუფის აწევა. ეს კი შესაძლებელი იქნება კოოპერაციაში საქონლის ბრუნვის სწორად დაყენებით და სხვადასხვა ხარჯების შემცირებით.

შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სავაჭრო დაწესებულებებში არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის გამო სხვადასხვა პროფესიონალური ავადმყოფობანი—ქარები, პლექი და სხვ. სავაჭრო მოსამსახურეთა შორის ვრცელდება. სავაჭრო აპარატები უმრავლეს შემთხვევაში მოთავსებულია კერძო პირთა სავაჭრო სახლებში, რომლებსაც აზრადაც არ მოსვლიათ ისეთი შენობების აგება, რომ მათში დაცული ყოფილიყო მოსამსახურეთა ჯანმრთელობა. თუმცა მათ დანგრევასა და ახლად აშენებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ საჭიროა მათი გაკეთება ისე, რომ შესაძლებელი შეიქნეს მოსამსახურეთა შრომის სანიტ.-ჰიგიენური პირობების რამოდენიმედ მაინც გაუმჯობესება. ამისათვის კი საჭიროა სავაჭრო ორგანოებთან კოლექტიური ხელშეკრულებებში სათანადო მუხლების შეტანა სავაჭრო შენობებში გაუმჯობესებათა შესახებ, ხელახლად ასაშენებელ სავაჭრო შენობების პროექტის განხილვაში პროფკავშირის ორგანოების აქტიური მონაწილეობა.

ალ. თურქია.

მოსპეთ მალე „კანცელიარშჩინა“.

საბჭოთა ხელისუფლება არავითარ საშუალებას არ ზოგავს იმისათვის, რომ კანცელიარიული მუშაობა გაამარტივოს, ყველასათვის გასაგები გახადოს იგი და ზედმეტი მიმოწერა მოსპოს. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებებში საქმეები ისე არეულ-დარეულია, რომ გულით რომ გინდოდეს, ვერ მიხვდები, თუ სად იწყება და სად თავდება საქმე. არის შემთხვევები, რომ მთელი მიმოწერა დაწესებულებაში აწყვია და რაიმე საბუთის გულისთვის ეზარებათ რა მათი მონახვა, ავალებენ ქვემდგომ დაწესებულებას ახალი საბუთების წარდგენას.

აი ერთი ამის მაგალითი: რკინის გზის მეოთხე უბნის პდ/7 ითხოვდა „კარიერში“ ზედმეტი მუშაობისათვის შრომის ანაზღაურებას. ქაღალდებმა მთელი წელიწადი იარეს და ამის მთელი საბუთები დღესაც ლიანდაგის განყოფილების სამმართველოში ჩაკერებულია საქმეში. საჩივარი გადატანილ იქნა საგზაო კომიტეტში, რომელმაც მოსთხოვა „პ“-ეს საჭირო საბუთების დართვა საქმესთან. „პ“-იმ თავის მხრივ ასეთები მოსთხოვა „პჩ/4 მაშინ, როდესაც მთელი მიმოწერა და საბუთები მათ ხელში იყო.

ასეთი მუშაობა, რასაკვირველია, ართულებს და აძნელებს საქმის წარმოებას.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც რამე მიმოწერა იკარგება და მათი გადამგზავნი კი ზის და ელოდება პასუხს.

ამაზე არა ნაკლებად სამწუხაროა ის მოვლენაც, რომ სამმართველოს მიერ მოთხოვნილი ზოგიერთი საბუთები მანამ შედგებოდეს როგორც ამბობენ მუშები, „ფერს“ და „სახეს“ თხუთმეტჯერ იცვლიან. ასეთი „ფერისცვალება“ კი იწირავს უამრავ ქაღალდს და ენერგიას.

აი ამის მაგალითიც:

რკინის გზის სამმართველოს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის მაგიერი ალექსეევი 27/9 № 4—25/186 სთხოვს „პჩ/4“-ს წარმოადგინოს პირადი სტატისტიკური ბარათების მაგიერი სია ფორმა № 2-ით, რომლის ფორმაც (ქაღალდებზე დაწერილია ქართულად) გადმოუგზავნეს თვითონვე. მოითავეს თუ არა მეოთხე უბანმა ასეთი სიის შედგენა, ამ დროს მოდის ხელწერილი 7/10 კოვალენსკის მიერ ხელმოწერილი, რომელიც მოითხოვს თავი შეიკავონ სიის შევსებიდან საჭირო განმარტების მიღებამდე.

როგორ გგონიათ? რა განმარტება გადმოუგზავნეს? აი მოკლედ: „8/10 № 11—52.5 სია წარმოადგინეთ უეჭველად რუსულ ენაზე“-ო.

ალექსეევი თხოულობს სიის ქართულად შევსებას, კოვალენსკის მოსწონს სიის რუსულად შედგენა და მასობაში კი ქაღალდი იხარჯება და შრომაც უნაყოფოდ.

რისთვის სხედან სამმართველოში იმდენი თარჯიმანები, თუ მათ მოვალეობას ხაზის თანამშრომლებს დააკისრებენ?!

მუშკორი დაფიქრებული.

ვაჟბარის ფელეტონი

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ანუ ორ ნოეთა პარტიის“ პროგრამის პროექტი

ამა წლის მაისის ერთ სიცხიან დღეს იჯდა ნოე პირველი საქართველოდან წამოღებულ ხატების საფასურით შეძენილ ლევილიეს სასახლის აივანზე, გადაჰყურებდა სასახლის ბაღში მომუშავე „ქართველ ერს“ და ალევსო რა მისი სიბრალულით, მიეცა ფიქრებს იმის შესახებ, თუ როგორ დაემყარებია საქართველოში სოციალიზმი.

ეს სურვილი მით უფრო გაუღვივდა გულში, რომ ამას წინათ მოიხადა მძიმე ავადმყოფობა, რაც მისი ხნის კაცისთვის მოასწავებს პირველი ზარის ჩამოკვრას გამგზავრების წინ.

ნუ თუ სამარეში უნდა ჩაყოლოდა დარდათ ის გარემოება, რომ ბოლშევიკებმა არა სახუმაროთ შეუდგენ კომუნიზმის განხორციელებას და მენშევიკებს კი სოციალიზმის ჩანასახიც არსად ჰქონდათ ჯერ, გარდა ლევილიეს სასახლისა თავისი ბაღ-ბოსტნებით.

ასეთ მწარე ფიქრებში იყო გართული ნოე პირველი, აივანზე მარტო მჯდომი, მარა რომ დემოკრატიზმის პრინციპის დარღვევა არავის დაეწამებია მისთვის, ამიტომ საჩქაროთ მიიხმო მენშევიკურ პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო,—ნოე მეორე.

ეს უკანასკნელი ამ დროს იჯდა მაგიდასთან და ემზადებოდა წერილის დასაწერათ, მაგრამ ვინაიდან ჯერ ვერ მოეფიქრებია თემა, ამიტომ მხოლოთ შესავალი სტრიქონი ჰქონდა დაწყებული ჩვეულებრივი მისი სიტყვებით:

— „მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ბოლშევიკები გაკოტრდენ, მათი დღეები დთვლილია“...

ნოესაგან მიხმობა მას ერთი მხრით კიდევაც იამა, რადგან დროებით მაინც თავიდან აიშორა წერილის თემის მოუგონლობით შექმნილი მძიმე მდგომარეობა, მარა მეორე მხრით უსიამოვნოთ შეიჭმუხნა წარბები, რადგან ის ნოე პირველს უკვე საკმაოდ გამოყეყეჩებულათ სთვლიდა და ამიტომ ვერ ინელებდა მის პირველობას.

მიუხედავათ ამისა ის საჩქაროდ წარსდგა მოწიწებით ნოეს წინაშე და უცდიდა განკარგულებას.

— ხედავ?—შეეკითხა ნოე პირველი მას და მიუთითა ბაღში მომუშავე „ქართველ ერზე.“

— ვხედავ, მოძღვარო, მიუგო ნოე მეორემ.

— სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამათი ცოდვის შემხედვარემ უნდა მოვიგონოთ რამე.

— დიდი ხანია მოგონილი მაქვს.

— რა?

— რა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა,—სხვა ვერაფერი უშველის ჩვენს საქმეს.

— მერე რანაირი პროგრამა გაქვს შემუშავებული მაგის განსახორციელებლად?

— „რავა მთლად გამოჩურჩუტდა ეს ბერიკაცი!“—გაივლო გულში ნოე მეორემ, მარა სიტყვით კი სხვა სთქვა:—როგორ არა მაქვს: ერთად არ გამოვიმუშავეთ ჯერ კიდევ იმ ბედნიერ დროს, როდესაც თბილისში სასახლეში ვიმყოფებოდით!

—კი მარა, იმის შემდეგ მრავალი გარემოება გამოიცვალა: იმ პროგრამით ხელში მოგვიხდა გამოქუნძულება თბილისიდან აქ. აუცილებელია მისი გადასინჯვა და გადაკეთება.

— ბატონი ბრძანდები, გადავსინჯოთ.

— მე მაგის თავი აღარა მაქვს,—მომინდვია შენთვის ახალი პროგრამის შედგენა მხოლოდ ერთს გეხვეწები: ეცადე ისეთი პროგრამა შეადგინო, რომლის საშუალებით რაც შეიძლება ადრე შევსძლოთ ბოლშევიკების დამხობა და სოციალიზმის დამყარება.

— დიდი სიამოვნებით შევასრულებ მაგ მონდობილობას, მით უმეტეს, რომ მეც კარგი ხანია სწორედ მაგაზე ვფიქრობდი.

— „ყურუმსაღმა რავა ხელათ მიითვისა ჩემი მოფიქრებული საქმე!“—გაივლო გულში ნოე პირველმა. სიტყვით კი შეაქო:—ჰაი, ჰაი, რომ ღირსი მემკვიდრე მრჩები! მაშ შეუდექი საქმეს.

ნოე გამოტრიალდა და გახარებული, რომ იშოვნა თემა, შეუდგა წერის განგრძობას:

...და ვინაიდან ჩვენი დიდი ხნის ნაწინასწარმეტყველევი გამართლდა, ამიტომ პარტია თავის პოლიტიკას შემდეგ საერთო პრინციპზე ამყარებს:

1) საქართველოს ბედი თვით ცაში თეთრი გიორგის ფარზე სწერია, რომლის ანდერძით საქართველოს უნდა განაგებდეს დემოკრატიული მთავრობა, თუნდა ცხრა მთას იქით გადახვეწილი.

2) საქართველოს უნდა განაგებდეს სამი წლის ვადით არჩეული პარლამენტი, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ თუ არ მოხერხდა მისი გადარჩევა, შეიძლება ვადის გაგრძელება უვადოთ.

3) მართვა-გამგეობა უნდა იყოს იაფი: მასზე არ უნდა იხარჯებოდეს ხატების, ნოხ-ფარდაგის და სხვა ასეთი წვრილმანების საფასურის მეტი. დასაშვებია მიღება შეწირულებისა კეთილგანწყობილ სხვა ქვეყნების დემოკრატიულ მთავრობებისაგან.

4) ვინაიდან რვა საათის სამუშაო დღე კომუნისტების გამოგონილია მუშების მოსატყუებლათ, ამიტომ პარტია ისახავს თავის მიზნათ სამუშაო საათების საზოგადოთ გაუქმებას.

5) შემოღებული უნდა იქნეს უმტკივნეულო მშობიარობა, უწამლოთ ექიმობა, უჭმელათ სიმაძღრე და უზაგესოთ განათება.

იცავს რა პარტია გლეხკაცობის ინტერესებს, მისი გულის მოსაგებათ აღიარებს:

6) მოსპობილი იქნეს ყოველგვარი გადასახადი სოფლად და შემოღებული ყოველწლიურათ ორჯელ, — საალდგომოთ და საკალანდოთ,—დარიგება საჩუქრებისა.

7) გლეხკაცობას ყანები უნდა მუქთად დაეთესოს, გაემარგლოს და გაეთოხნოს. მას დაეკისროს მხოლოთ მოკრეფა ჭირნახულის და ისიც კარგ დარში.

8) სწავლა - განათლება უფასოდ და თავშეუწუხებლათ.

9) სარწმუნოების სრული თავისუფლება, მხოლოდ წირვა-ლოცვა უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე.

10) მუდმივი ჯარი მოისპოს, რადგან საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვას ვავალებთ ერთა ლიგას.

11) მილიცია და სასამართლო გაუქმებული იქნეს, ვინაიდან დემოკრატიული მართველობის დამყარებისთანავე ჩამოვარდება ძმობა და ერთობა.

12) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლები უნდა შემოზღუდული იქნეს იმ სივრცის მიხედვით, სადაც კი თუნდა ერთი ქართველი მოსახლეობდეს.

13) ...აქ შეაჩერა ნოემ კალმის ქაღალდზე მოსმა. ცამეტი რიცხვი მას მეტათ კვიმატიან რიცხვათ მიაჩნდა.

ის მეტათ ცრუმორწმუნე გახდა ბოლო ხანებში. რაც კი უსიამოვნება გადახდა თავს მას, ყოველივე ამას აბრალებდა ლომისკარელის ხატის შურისძიებას, იმ ლომისკარელის, რომლის ეკლესიიდან მოტაცებაში და ცეცხლზე გადადნობაში თუ პირდაპირი არა, შორეული მონაწილეობა მასაც მიუძღოდა.

ამიტომ ნოე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ასეთი მომხიბლავი პროექტის შედგენა, მას ისე შეუძლებლათ მიაჩნდა გადახტომოდა თავზე ამ კვიმატიან მეცამეტე რიცხვს, როგორც შეუძლებლათ მიაჩნია დღევანდელ ევროპიულ წესწყობილებიდან კომუნიზმის ქვეყანაში გადახტომა.

ამნაირათ დარჩა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, ანუ ორ ნოეთა პროგრამის პროექტი დაუმთავრებელი და მით უმეტეს განუხორციელებელი.

ხ. თ—ია.

სიძველეთა დაბრუნება

როგორც ვიცით 1923 წელში საკავშირო საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა საბჭოთა საქართველოსათვის დაებრუნებია ის ძველი ისტორიული საგანძურები, რომლებიც ასი წლის განმავლობაში მეფის მთავრობის მიერ საქართველოდან სისტემატიურად იზიდებოდა. გაზიდული ნივთები მოთავსებული იყო მოსკოვის, ლენინგრადის, კრასნოდარის, სტავროპოლის და სხ. ქალაქების საგანძურთა სამცველოებში.

ამ სიძველეთა ისევ საქართველოში დაბრუნების საქმე თითქმის დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

დღემდე რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული იქნა: 1) სამხედრო საისტორიო მუზეუმი; 2) ა.-კავკასიაში მეფის მოადგილეს კანცელარიის არქივი; 3) კავკასიის საგეოგრაფიო კომისიის საქმეები; 4) მიწის მომწყობ სამართველოს არქივი; 5) ქუთაისის სამიჯნაო განყოფილების არქივი; 6) კავკასიის სამოსწავლო ოლქის არქივის ნაწილი; 7) რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატი; 8) იშვიათათ შესრულებული ძველი ხელნაწერი „ვეფხის ტყაოსანი"; 9) ძველი ქართული დროშა და ფარი; 10) მე-18 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა, მეთაურთა და მეფეთა სურათები; 11) უკანასკნელი მეფის ტახტი; 12) უკანასკნელი მეფის გვირგვინი; 13) საფარის კანკელი, იშვიათი ხელოვნებით შესრულებული; 14) მინანქარის სხვადასხვა ნივთები; 15) თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკა იშვიათი და მეტად საინტერესო ძველი ხელთნაწერებით; 16) იოანე გრუზინსკის ბიბლიოთეკა; 17) ბატონიშვილ ვახუშტის მიერ შედგენილი რუქა (დედანი); 18) სხვადასხვა დროის ხელნაწერები, ქედვითი და ქსოვილი ხელოვნების ნივთები და სხ.

ექსკურსანტები ზაჰესში

კვირას ზაჰესს აუარებელი ხალხი მიაწყდა ტფილისიდან. უზარმაზარი ჰიდრო-სადგური, რომელიც ამ დღეებში უნდა ამუშავდეს, საყოველთაო ინტერესს იწვევს მოსახლეობაში.

დილიდანვე ექსკურსანტების მოძრაობა დაიწყო ორი მიმართულებით: სადგურიდან გავიდა ოთხი სპეციალური მატარებელი, რომლებმაც წაიყვანა პროფკავშირების ოთხი ათასამდე წევრი. ამავე დროს თავისუფლების მოედნიდან განუწყვეტლივ მიდიოდენ ზაჰესისაკენ ექსკურსანტებით დატვირთული ავტობუსები.

ეს ზღვა ხალხი შეერთდა მთავარ საგუბართან და ჭიანჭველასავით მოედო სადგურის ყველა ნაშენებს, რომლებიც ამ დღის თითქოს განგებ მომზადებულიყვნენ სტუმრების მისაღებად.

პროფკავშირების წევრთა ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ამხ. ქშონძერი. ექსკურსანტებს ახსნა-განმარტებას აძლევდენ ზაჰესის სამუშაოთა ხელმძღვანელები.

სადგურის ნაშენების დათვალიერება დაიწყო სამუშაოთა პირველი უბნებიდან. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს აუზი, მთავარი განათხარი და სხვა ხელოვნური ნაშენები. მთავარ საგუბარში აწეული იქნა ფარები და გამოშვებული იქნა წყალი აუზიდან.

ზაჰესში მისვლისას ექსკურსანტებს დაურიგდათ საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების მიერ სპეციალურად ამ დღისათვის გამოცემული ბროშიურა, რომელშიაც დაწვრილებით აწერილია ზაჰესის ისტორია და ყველა მთავარი ნაშენები.

სადგურის დათვალიერების შემდეგ ექსკურსანტებს მეტად საინტერესო ლექცია წაუკითხა ზაჰესის მნიშვნელობაზე ინჟ. **ბიჭინაძემ.**

ექსკურსიის საქმიანი ნაწილის დამთავრების შემდეგ დაიწყო საერთო მხიარულება. სპეციალურ ესტრადაზე ერთმანეთს სცვლიდენ სხვადასხვა წრეები. ფიზკულტურელებმა ექსკურსანტებს უჩვენეს თავისი დახელოვნება ტანის დამორჩილების დარგში. ორკესტრების მძლავრი სამხიარულო ჰანგები კი შორს ისმოდა მიყუჩებულ სივრცეში და ამცნობდა ყველას, რომ საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქის გვერდით იწყება ახალი დღესასწაული, ახალი ცხოვრება, რომელიც სამრეწველო ქვეყნად გარდაქმნის უქადის წითელ საქართველოს.

საერთო მხიარულება გრძელდებოდა საღამომდე.

საღამოს კი ისევ ამოძრავდენ გრძელკუდიანი ორთქლმავლები და ავტობუსები, რომლებმაც თბილისს დაუბრუნეს ერთი დღის სუფთა ჰაერზე გასული შრომის შვილები.

შ.

ოპიუმი

საქართველოს საგეგმო კომისიაში მოსმენილი იქნა მოხსენება საქართველოში ოპიუმის დამზადებისა და რეალიზაციის შესახებ.

საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ თუ გავრცელებული იქნება საქართველოში იმ ყაყაჩოს კულტურა, რომელიც ოპიუმს იძლევა, მაშინ უკანასკნელის დამზადების მონოპოლია უნდა მიეკუთვნოს სახმედვაჭრობას.

რაც შეეხება იმ ზედმეტ ნედლეულობას, რომელიც შესაძლებელია დარჩეს სახმედვაჭრობის პირადი საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ, იგი უნდა გადაეცეს განსაკუთრებულ სააქციონერო საზოგადოებას—„აკოსპო"-ს, რომელიც განახორციელებს მის მონოპოლიას სრულიად საკავშირო მასშტაბით.

ცენტრო-არქივი

ცენტრო-არქივის მიზანია თავი მოუყაროს ისტორიულ მნიშვნელობის საბუთებს და ხელნაწერებს. ამ მხრივ ცენტრო-არქივმა დიდი მუშაობა გასწია.

ამჟამად ცენტრო-არქივში თავმოყრილია 7 ათასამდე ძველი ქართული საბუთები (დედნები) და 410-დის ხელნაწერი, დაწყებული მე-11 საუკუნიდან. აგრეთვე გასულ წელს არქივმა ალ. ხახანაშვილისეულ ბიბლიოთეკიდან, რომელიც მოსკოვში სომხურ კულტურის სახლშია მოთავსებული, ჩამოიტანა 74 მეტად საინტერესო ხელნაწერი.

ეხლა სწარმოებს დაგროვებულ მასალების ქრონოლოგიურად და ალფაბეტზე დალაგება. ცენტრო-არქივი ამავე დალაგება. ცენტრო-არქივი ამავე დროს ცდილობს ადგილებზე მოაწყოს საარქივო აპარატები და განადგურებისაგან დაიცვას როგორც ძველი. ისე ახალი ისტორიული მნიშვნელობის საბუთები და ხელნაწერები.

ჯერ-ჯერობით საარქივო აპარატის მოწყობა მოხერხდა მხოლოდ ქუთაისში.

ტყეების მოწყობა

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ დაამთავრა ტყეების მოსაწყობი კამპანიის ჩატარება.

ამჟამად სატყეო განყოფილებაში ამუშავებენ სხვადასხვა სოფლებისათვის ტყეების მოსაწყობ გეგმებს. გეგმების შედგენას ხელმძღვანელობს მეტყევე-ტაქსატორი ვ. კონსტანტინეშვილი. გეგმებთან ერთად მას დაევალებული აქვს გამოიმუშაოს ტყით სარგებლობის წესები ყოველი ცალკე რაიონისათვის. ამისათვის იწერება ყველა ტყეების დახასიათება და ინსტრუქციები.

ინსტრუქციები და რუკით სარგებლობის გეგმები ახლო ხანში დაეგზავნებათ ყველა სატყეოებს სახელმძღვანელოთ. ამასთან ერთად ადგილებს ეგზავნებათ აგრეთვე ადგილობრივი ტყეების გეოგრაფიული რუკები.

მუშათა სახლები

მუშათა სახლების მშენებლობა თბილისში ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს. სახლების აგებას აწარმოებს საამშენებლო საზ-ბა „სამშენი" კალენდარული გეგმით. მაგალითად „სამშენი" აგებს:

— **ნაძალადევის მუშათა სახლს,** რომელიც თითქმის დამთავრებულია. ყველა ძირითადი სამუშაოები შესრულებულია: ამჟამად სწარმოებს შეღებვა და კარ-ფანჯრების ჩამოკიდება.

ტრამვაის მუშათა სახლი დამთავრდება მომავალ წლის მაისში. ამჟამად დამთავრებულია პირველი კორპუსი.

ახალი სახლების აგება

გემო-კვების მუშაკთა კავშირის დადგენილებით, ამ დღეებში შესდგა განსაკუთრებული თათბირი ს. მ. უ. ს. სახსპირტის კავშირის ცენტრალური გამგეობის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზედაც გაირჩა კავშირის მუშაკთათვის დიდი სახლის აგების საკითხი.

თათბირმა დაადგინა აგებულ იქნეს ხუთსართულიანი სახლი ლენინის ქუჩაზე სახსპირტის შენობის გვერდით. სახლის ასაგებად სათანადო ნაკვეთი მ[illegible]ს გამოყოფის შესახებ აღძრულია სათანადო შუამდგომლობა თბ. აღმასკომის წინაშე. სახლში იქნება სულ 200 ოთახი, მოწყობილი იქნება ცენტრალური გათბობა, კანალიზაცია, წყალსადენი, აბაზანები და სხვა.

სახლის აგებას შეუდგებიან ახალ წლამდე.

რკინისგზებზე

კონფლიქტები გზაზე

ა.-კ. რკინის გზათა შრომის ინსპექციის ცნობით, უკანასკნელ ხანებში კონფლიქტების რაოდენობა ძლიერ გაიზარდა ა.-კ. რკინის გზებზე ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის. მომრიგებელ კამერაში, ზედამხედველობის ბიუროსა და სამედიატორო სასამართლოში ამჟამად გადასაწყვეტათ გადაცემულია 200 კონფლიქტი.

ორთქლმავლის ჩავარდნა

31 ოქტომბერს, ღამის 1-ლ საათზე სად. ზესტაფონში ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი.

საურავი

დაზღვევის ანაბარების თავის დროზე გადაუხდელობის გამო, ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევმა სალარომ დააკისრა საურავი 110.000 მანეთის რაოდენობით ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს.

საკურორტო საქმისათვის

ამიერ-კავკასიის დამზღვევმა სალარომ შუამდგომლობა აღძრა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მიეცეს სალაროს 50.000 მ. სანატორიულ-საკურორტო საქმისათვის.

ქრონიკა

მიწსახკომთა თათბირი

15 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება საკავშირო რესპუბლიკების მიწადმოქმედების კომისართა და ავტონომიურ რესპუბლიკების სამიწადმოქმედო ორგანოთა ხელმძღვანელების მესამე თათბირი.

თათბირზე დასასწრებლად მიემგზავრება ამხ. ალ. გეგეჭკორი და გ. ჟორდანია.

თბილისის აღმასკომში

◆ **საზოგადო სამუშაოების** მოსაწყობად აღმასკომმა დამატებით გადასდო 20 ათასი მან.

◆ **საექიმო-სანიტარულ საქმეზე** წელს აღმასკომი დახარჯავს 1,329,874 მან.

◆ **სამკურნალო საფუარი.** აღმასკომის ლუდის ქარხანამ დაიწყო სამკურნალო საფუარის (დროჟის) გაცემა.

◆ **საბავშო ახალშენების გამოკვლევა.** განათლების სექცია ახლო ხანში შეუდგება საბავშო ახალშენების საფუძვლიან გამოკვლევას მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

◆ **ზაჰესის ენერგიის მოსახმარებლად** თბ. ელენერგიის სამმართველომ დღემდე მიიღო 2534 განცხადება დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან.

◆ **ელექტროსინათლე ნავთლუღში.** ზაჰესის სინათლე მთელ ნავთლუღში გაყვანილი იქნება მაღალი ძინის საჰაერო მავთულით.

◆ **შეღავათიანი ბილეთები.** აღმასკომს განზრახვა აქვს მუშებისათვის შემოიღოს ტრამვაის შეღავათიანი ბილეთები.

ჯანსახკომში

◆ **დისპანსერი.** ჯანმრთელობის კომისარიატი გორში აწყობს ვენერიულ დისპანსერს.

◆ **ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტში** მოეწყო ელექტროსხივებით სამკურნალო.

◆ **ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ქუთაისში,** ამჟამად მოთავსებულია 10 ავადმყოფი.

◆ **ზოდბის-ხევის მონასტერში** (სიღ. მაზრა) ეწყობა საავადმყოფო.

◆ **ჯანსახკომმა და იუსტიციის სახ. კომისარიატებმა** შეიმუშავეს და ადგილებს დაუგზავნეს ახალი ცირკულიარი სამოსამართლო ექსპერტიზის წარმოების შესახებ.

◆ **საავადმყოფოს გაფართოება.** ჯანსახკომის თაოსნობით გაფართოებული იქნა ზუგდიდის საავადმყოფო.

◆ **უფასო წამლეულობა.** რაჭის აღმასკომმა დაადგინა ულარიბეს მცხოვრებლებს უფასოდ მისცეს საჭირო წამლეულობა.

განათლება

◆ **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას** განათლების კომისარიატი ამდღეებში გახსნის რაჭის მაზრაში.

◆ **ცენტრო არქივის ხელმძღვანელობით** სამაზრო აღმასკომებთან არსდება საარქივო კომისიები.

◆ **საფეიქრო სკოლა.** რაჭის მაზრაში, სოფ. ღებში იხსნება საფეიქრო სკოლა.

◆ **აჭარისტანში** ამჟამად არსებობს 127 პირველი და მეორე საფეხურის სკოლა.

◆ **სამრეწველო ტეხნიკუმი.** განათლების კომისარიატი ბათომში ხსნის სამრეწველო ტეხნიკუმს.

◆ **გადახალისება.** რაჭის მაზრაში რამოდენიმე შვიდწლედი გადაკეთდა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად.

◆ **აგროტეხნიკუმი.** აჭარისტანის აგროტეხნიკუმში სწავლა უკვე დაიწყო. ტეხნიკუმში სწავლობს 80 ახალგაზრდა აჭარელი.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **თხილი.** საქართველოდან წელს საზღვარგარეთ გაიგზავნება ათი ათასი ფ. თხილი.

◆ **საზ-ბა „ტაბაკ-სირიო"-მ** აფხაზეთში დაამზადა 325 ათასი ფ. თამბაქო.

◆ **აბრეშუმის პარკი.** მიმდინარე სეზონში აფხაზეთში დამზადდება 2500 ფ. აბრეშუმის ხმელი პარკი.

◆ **ახალი ქარხანა.** სოხუმში ამუშავდა აგურის ქარხანა. იქვე ეწყობა კრამიტის დამამზადებელი განყოფილება.

◆ **მუშკოოპის პასაჟში** (რუსთ. პრ.) იხსნება შეკერილ ტანსაცმელის განყოფილება.

◆ **ბეწვეული.** ა.-კ. კოოპერატიულმა კავშირმა გადასწყვიტა წელს ა.-კავკასიიდან გაიტანოს 200 ათასი მანეთის ბეწვეული.

◆ **თამბაქო.** ა.-კ. კოოპერატიული კავშირი საზღვარგარეთ გასატანად ამზადებს 25 ათას ფ. თამბაქოს.

სხვადასხვა

◆ **მაზრების ბიუჯეტი.** აჭარისტანის მაზრების ბიუჯეტი შედგენილია 815,845 მანეთის რაოდენობით.

◆ **საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭომ** გააუქმა ლითონის ტრესტის განყოფილება ბაქოში.

◆ **ეკონომიურ საბჭოს მიერ მოწონებულია** ამხ. ჯუღელის მოხსენება სამხრეთ-ოსეთში ხე-ტყის სახიხი ქარხნის აგების შესახებ ადგილობრივი მრეწველობის აღორძინების მიზნით.

◆ **ბიუჯეტი.** ფინანსთა კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა ცირკულიარი ადგილობრივი ბიუჯეტის მოხმარება-წარმოების შესახებ.

◆ **კრამიტი.** დასავლეთ საქართველოში ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა კრამიტზე.

◆ **თემების გადაჯგუფება** უკვე დამთავრდა მთელ რესპუბლიკაში.

◆ **წყალთა მეურნეობის** სამმართველოს ცნობით, ტირიფონის ველზე დასახლებული იქნებიან უმიწაწყლო გლეხები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

◆ ცაკის დადგენილებით, რაჭის მაზრაში თემების რიცხვი შემცირებული იქნა 22-მდე.

◆ **უწერის აგარაკი** მომავალ წლიდან გაიცემა იჯარით.

◆ **შრომის კომისარიატმა** დაამთავრა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წარმოებათა სანიტ-ტეხნიკური გამოკვლევა.

საბინაო მშენებლობა

◆ **კარლ მარქსის სახელობის** საბინაო მშენებლობის ამხ-ბას თბ. დამხმარე კომიტეტმა სესხად მისცა 7000 მან.

◆ **სახლი უმუშევართათვის.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა თბილისში თავისი ხარჯით ააგოს სახლი უმუშევართათვის.

◆ **მიზნობრივი გადასახადი.** თბ. აღმასკომის საფინანსო სექცია იმუშავებს მიზნობრივი გადასახადების გატარების ახალ გეგმას.

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** გიორგი სელეპანოვის ბინიდან (ნავთის ქ. № 22) 300 მანეთის ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს შალიკო ოგანეზოვი.

◆ **სასტუმრო „პრიმა"-ში** გაქურდეს ვლადიმერ გოგიტაძის ოთახი. ქურდი მიხეილ კიშეერიანი დააპატიმრეს.

◆ **ქარხნის გაქურდვა.** პლეხ. პროსპ. № 63 გაქურდეს ისაია რონენბერგის სამკერვალო ქარხანა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით ლორის მელიქოვის ქ. № 11, სერგო დროქეინის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

◆ **ქურდობა.** რეიტერის ქ. № 10 გაქურდეს კონდრატი ბოიკოს ბინა.

◆ **1-ლ ნოემბერს** ღამით კრილოვის ქ. № 4 გაქურდეს გაბრიელ ტატიშვილის ბინა.

◆ **ჯიბგირობა.** ხაზინაში აბდულ კასუმ ბაბაევს ამოაცალეს 58 მან. და სხვადასხვა საბუთები.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ტოსკა

პუჩინის ეს მუსიკალური დრამა წარმოადგენს ტიპიურ ნიმუშს იტალიაში არსებულ თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობისას, რომლის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დრამის მუსიკალური ილიუსტრაცია უნდა შეეფერებოდეს შინაარსსა და დრამატიული მოქმედების განვითარებას და რომ წარმოდგენას მხოლოდ მაშინ ექნება მხატვრული ხასიათი, როცა მსახიობთა შესრულებაში სჭარბობს რეალიზმი, როგორც სიმღერაში, ისე ამა თუ იმ პარტიის სცენიურ გამოცემაში.

„ტოსკა"-ს შინაარსი აღებულია წარსული საუკუნის ისტორიის დასაწყისიდან, როცა დიდი რევოლიუციის მიერ საფრანგეთიდან განდევნილი სამეფო გვარეულობის წარმომადგენლები იტალიაში გადაბარგდენ, მოსპეს რომის რესპუბლიკა და მის ნაცვლად მონარქიული წესწყობილება დაამყარეს. ამ წესწყობილების ერთგულ მცველს წარმოადგენს პოლიციის მინისტრი გრაფი სკარპია (ისტორიული პიროვნება). პუჩინის მუსიკალური დრამის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს იმ ეპოქის ცნობილი საოპერო მომღერალი ფლორია ტოსკა. მის პარტიას ასრულებდა მომღერალი ბოვოლეპოვა. მსახიობმა სცენიურათ— დრამის გმირის დამთავრებული სახე მოგვცა. ვოკალური შესრულებაც სათანადო სიმაღლეზეა. კარგია პირველი სცენა კავარადოსისთან და სკარპიასთან, მაგრამ მეორე აქტის სცენა არ არის საკმაოთ რელიეფური და ცხოველმყოფელი. საჭიროა მეტი აღშფოთების გამოჩენა სცენაში სკარპიასთან, მეორე აქტის ფინალური სცენა (სკარპიას მოკვლა) და მთელი მესამე აქტი შესანიშნავია.

არამზადა სკარპიას სახის გადმოცემა მომღერალ **გორელოვის** შესრულებით მხატვრულად უნდა ვაღიაროთ. მსახიობმა შეუბრალებელი, დაუზოგავი და თავისი ძლიერებით დაბრმავებული პოლიციელის ნამდვილი სახე მოგვცა.

მშვენივრად მღერის თავიდან ბოლომდე მხატვარ-რევოლიუციონერის კავარადოსის პარტიას — კანცბურგი. ბევრი ლირიზმია სცენაში ტოსკასთან (პირველი და მესამე მოქმედება) დიდი ტემპერამენტი—დაკითხვის სცენაში (მეორე მოქმედება), მაგრამ კავარადოსის ნამდვილ სახეს სცენიურად მსახიობი ქმნის მხოლოდ დაპატიმრების სცენის შემდეგ (მეორე მოქმედების დასასრული).

დიაკონის მხატვრულ სახეს გვაძლევს მომღერალი დემიანენკო.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

ჩინური სურათი

საქართველოს ეროვნულმა სამხატვრო გალერეამ შეიძინა უძველესი ჩინური მხატვრული სურათი, რომელიც შესრულებულია აკვარელით აბრეშუმის ქსოვილზე. სურათზე გამოხატულია ჩინელი მხედრები, ზღვის პირი, კლდეები, ტყე და გზატკეცილი.

გალერეის სურათი მიჰყიდა ჩაქვის ჩაის პლანტაციების ყოფილმა გამგემ ლი-ხუნგჩანგმა. ამჟამად სურათი მოთავსებულია გალერეის სპარსული მხატვრობის დარბაზში.

—:—

◆ **„ლამარა".** ხუთშაბათს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში „ლამარა".

◆ **საღამოები ხელოვნების სახლში.** ხელოვნების მთავარო კომიტეტი ხელოვანთა სახლში ყოველ ორშაბათობით გამართავს საღამოებს.

◆ **„გაფლანგვა".** 8 ნოემბრიდან „აპოლლოსა", „სოლეისა" და „არფასტოში" დაიწყება სახკინმრეწვის ახალი სურათის „გაფლანგვის" ჩვენება. დადგმა პერესტიანის.

◆ **„კარმენ".** დღეს საოპერო თეატრში მიდის ოპერა „კარმენ".

◆ **წითელი თეატრის** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „დათვური ქორწინება".

◆ **ჟურნ. „ქართული მწერლობის"** მორიგი ნომერი (№ 4) გამოვა კვირისათვის.

ჟურნალის შესახებ ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ ს. შანშიაშვილს დილის 10—2 ს. რედაქციაში. (ხელოვნების სასახლეში).

◆ **„მთების გული".** „არფასტოში" დაიწყო ახალი სურათის „მთების გულის" ჩვენება მერი პიკფორდის მონაწილეობით.

◆ **„ჰიმნი ზაჰესზე".** სეზმან ერთაწმინდელმა დასწერა პოემა—„ჰიმნი ზაჰესს".

მეცნიერება და ტეხნიკა

რუმპლერის აეროპლანი

აეროპლანის ერთ-ერთ უპირატესობას დირიჟაბლის წინაშე, წარმოადგენს მისი სისწრაფე, რომელიც ორჯერ სჭარბობს დირიჟაბლების ფრენის სისწრაფეს. ამ უპირატესობაზე მიუთითებენ ყოველთვის, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება საფრენი საშუალების ამა თუ იმ ტიპის არჩევაზე. მაგრამ დიდი ჰაეროპლანების აგებას ის დაბრკოლება ეღობება წინ, რომ საფრენი აპარატის სიდიდის გადიდებასთან ერთად იზრდება ჰაერის დაწოლა ფრთებზე. ამის გამო, როგორც ფრთები, ისე მთელი აპარატი უფრო მაგარი მასალიდან უნდა გაკეთდეს. ეს იწვევს აეროპლანის წონის გადიდებას. აპარატი იმდენად მძიმე გამოდის, რომ ტვირთზიდვის მხრივ იგი სრულიად გამოუსადეგარია.



ამიტომ შეუდგენ ახალი გზების ძებნას ჰაეროპლანების მშენებლობის საქმეში. მრავალი წლების სისტემატიურმა ცდებმა და გამოკვლევებმა ჰაეროპლანების კონსტრუქტორი რუმპლერი იმ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ ფრთებზე დაწოლის გადიდება და ტვირთზიდვის შემცირება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული. თუ საერთო წონა, ე. ი. საფრენი აპარატის წონა და გადასაზიდი ტვირთი თავმოყრილი არ იქნება აპარატის ცენტრალურ ნაწილში, როგორც დღემდე იყო, არამედ განაწილებული იქნება ფრთების გასწვრივ.

ტვირთის თვითეული ნაწილი, რუმპლერის კონსტრუქციის საფრენ აპარატში მოთავსებულია ფრთების განსაზღვრულ ადგილას. ამ საფუძვლებზე საფრენი აპარატის გადიდება შეიძლება არაჩვეულებრივ სიდიდემდე და ამავე დროს დაცული იქნება შეფარდება აპარატის ტვირთზიდვის უნარიანობისა და მის საერთო წონას შორის. ეს მთავარი პრინციპი—პრინციპი დეცენტრალიზაციისა, გატარებულია ჰაეროპლანის სხვა ნაწილების მიმართაც.

შემადგენელ ნაწილების ასეთი განაწილება, გარდა ეკონომიისა, გაცილებით უშიშრად ხდის ფრენასაც.

10 მოტორი, თითო 1.000 ცხენის ძალიანი და სამგზავრო ოთახები მოთავსებულია ფრთებში. სამგზავრო ოთახებში დადგმულია სავარძლები, რომლებიც ღამით, შესაძლებელია, საუცხოვო საწოლებათ გადაკეთდეს. იქვეა მოთავსებული სასადილო და თამბაქოს მოსაწევი ოთახი. მფრინავის საჯდომი ადგილი მოთავსებულია ჰაეროპლანის წინა ნაწილში, ფრთის შუა ალიდას. ასე ამრიგად მფრინავის თვალწინ იშლება მთელი გზა.

ასეთი აპარატი მანძილს ჰამბურგიდან ნიუიორკამდე გაივლის 36 საათში. ევროპიდან—სამხრეთ-ამერიკაში—3½ დღეში. ჰაეროპლანი სრული დატვირთვით იწონის 115.000 კილოგრამს. იტევს ჰაეროპლანი 130 მგზავრს და 25 კაცისაგან შემდგარ რაზმს. გარდა ამისა შეუძლია წაიღოს 6.000 კილოგრამი ბარგი. ფრენის საშუალო სისწრაფე სრული დატვირთვის დროს უდრის 275 კილომეტრს საათში. ჰაეროპლანს მიწაზე დაუშვებლად შეუძლია 4.400 კილომეტრის გავლა.

სასამართლო

სასამართლოს სესია

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია ამ ახლო ხანში მიემგზავრება ყარაიაზში, სადაც გასარჩევად დანიშნულია 4 საქმე.

მხეცური მკვლელობა

ამ ახლო ხანში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ალექსანდრე და **გიორგი ბუთიკაშვილების** საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ მოქ. **ჩირახ ხაშიმ-ოღლის** მოკვლა გაძარცვის მიზნით.

ცილისწამება

პავლე არუთინოვს დიდხანს რომანი ჰქონდა ქეთო ლ—სთან.

ქეთო ყოველთვის ემუდარებოდა არუთინოვს შეერთო ის ცოლად; არუთინოვი კი უპასუხებდა: „ცოტა კიდევ დაიცადეო".

ქეთოც ითმენდა და ელოდებოდა, მაგრამ ლოდინი ლოდინათ რჩებოდა.

ქეთო პავლესთან სჯა-ბაასში ოცნებობდა მომავალი ოჯახის შექმნის საკითხზე და არწმუნებდა პავლეს, რომ მას იგი უყვარდა გაგიჟებით.

ქეთოს მშობლები თითებზე ითვლიდენ დღეებს, როდის ეღირსებოდენ ქალიშვილის „გაბედნიერებას".

გავიდა ხანი. პავლესა და ქეთოს შორის შავმა კატამ გაიარა.

ერთხელ არუთინოვი მიდის ქეთოსთან და ეუბნება: „მე არ შემიძლია შენზე ჯვარის დაწერა, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა".

— მაშ მე მტოვებ?

— ცხადია—მიუგო პავლემ.

— შენ შეურაცხყავი ჩემი ფაქიზი გრძნობა! დამაცადე შენ არამზადავ, ქალი არ ვიყო, თუ შეგარჩინო.

არუთინოვზე ქალის მუქარას არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

ქეთომ კი გადასწყვიტა შური ეძია. მას შეაქვს სასამართლოში განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ არუთინოვმა მოწამვლის მიზნით მას საწამლავი ჩაუყარა სამელში.

მაგრამ სახალხო სასამართლომ გამოარკვია ამ ბრალდების უსაფუძვლობა.

არუთინოვმა პასუხისგებაში მისცა ქეთო ცილისწამებისათვის.

სასამართლომ ქეთო ლ—ძეს მიუსაჯა ექვსი თვის პირობითი სასჯელი და გამოსაცდელათ მისცა სამი წლის ვადა.

გაფლანგვა

24 ნოემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა დერძიბაშევის საქმე.

დერძიბაშევს ბრალდება 3.000 მანეთის მითვისება და სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობა აღმასკომის მოლარეთ ყოფნის დროს.

ოჯახური ტრაღედია

(ს. ჯიჯიეშვილის საქმე)

20 წლის განმავლობაში პეტრე ჯიჯიეშვილი თავის ცოლთან კარგს განწყობილებაში იყო. შემდეგ პეტრემ იეჭვიანობა დაიწყო. იეჭვი თანდათან გაუძლიერდა და 1923 წელს განშორდა ფაქტიურათ თავის ცოლს, ვასასი სვანიშვილს. ყოფილი ცოლი ემუდარებოდა ჯიჯიეშვილს ქორწინება დაედასტურებია ოფიციალურათ და გატარებულიყვენ მმაჩში, მაგრამ ის არ ინება ჯიჯიეშვილმა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ჯიჯიეშვილმა ცოლათ შეირთო სხვა ქალი და მმაჩში გატარდა ქვრივათ პეტრე ჯიჯიეშვილის გვარით. 1923 წელს კი სასამართლოში აღძრა ძიება ყოფილ სიმამრის ივანე სვანიშვილის წინააღმდეგ 10.000 მანეთზე.

სასამართლოში ბრალდებული ცდილობდა დაემტკიცებია, რომ თითქოს ვასასი წინეთ ახალგაზრდა კაცს ყვარობდა და, რომ ქალმა პირველათ სილა გააწნა მას და სხ.

მაგრამ სასამართლომ გამოარკვია ამ ჩვენების უსაფუძვლობა.

სასამართლომ ჯიჯიეშვილს ვასასი სვანიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მიუსაჯა ერთი თვით გამსახლში დაპატიმრება.

იურიდიული დახმარება

რა მეკუთვნის საცხოვრებელ ნორმად?..

კითხვა

ვარ მასწავლებელი, განათლების მუშაკთა კავშირის წევრი. მიჭირავს ორი ოთახი ერთი შესავალი კარებით 60 კვ. არშინი. მყავს ორი შვილი 19 და 13 წლისა. უნცროსი შვილი დაავადებულია ჯაკსონის ეპილეპსიით. ყოფილი ჩემი მეორე ცოლი (ამ ბავშვების დედის ნაცვალი), რომელსაც ოფიციალურად გახშორებული ვარ 10 თვეა, თხოულობს ერთ ოთახში ჩასახლებას, ვითომდა როგორც უბინაო. ახლა კი სცხოვრობს დასთან; ყავს სხვა ნათესავებიც; თანაც თბილისში ორგან ვაჭრობს. ჩვენ შორის დამოკიდებულება ძალზე გამწვავებულია.

გთხოვთ განმარტებას. რამდენი კვ. არშინი მეკუთვნის მე ბინად და შესაძლოა თუ არა მისი ჩემ ბინაზედ ჩასახლება?

პროფკავშირის წევრი წიგნაკი № 4115.

პასუხი

თქვენ თქვენივე ორი შვილითურთ საცხოვრებელ მოედნად გეკუთვნის **ოცდაათი კვადრატიული მეტრი** (ან და 60 კვადრატ. არშინი). თქვენს რულებით ვალდებული არ ხართ მიიღოთ თქვენ ბინაში ყოფილი ცოლი (ბავშვების დედინაცვალი), რომელსაც თქვენ ოფიციალურად განშორდით და რომელთანაც გაქვთ უკიდურესად გამწვავებული მდგომარეობა.

კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება

კითხვა

მე ვარ მცხოვრები (რაჭის მაზრის) სოფელ ხონჭიორის; ვარ ღარიბი გლეხი. მყავს რვა სული სარჩენი. მაქვს ოთხი ქცევა მიწა, რომელსაც მე ვამუშავებ. აქედან მოსული ნაყოფი არ მყოფნის და იძულებული ვარ დავიჭირავო ან იჯარით ავიღო მიწა. მე მყავდა ბიძა, რომელიც ჩემს გვერდით სცხოვრობდა. ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ივი გარდაიცვალა, მისი ყველა ხარჯები მე ვიკისრე. მას დარჩა ერთი ვაჟი, რომელიც აგრეთვე გარდაიცვალა. მისი დასაფლავება მოვლა-პატრონობაც აგრეთვე მე დამაწვა. ბიძა ჩემს დარჩა ოთხი დღიური მიწა, ერთი დაუმთავრებელი სახლი. მემკვიდრე არ დარჩენია, მხოლოდ დარჩა მას მისი ძმის შვილის შვილები. ეს უკანასკნელნი დარჩენილ მიწის ნახევარს დაეპატრონენ იმ დროს, როდესაც მათ აქვთ საყოფი მიწა და კიდეც მეტიც. ისინი კი იმ მიწას, რომელიც ბიძა-ჩემის სიკვდილის შემდეგ, წაიღეს სცემენ იჯარით.

აქვთ თუ არა უფლება გარდაცვალებულის ძმის შვილის შვილებს წაიღონ ჩემი ბიძის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონება.

სოფ. ხონჭიორის მცხ. გლეხი რაჟდენ ბუაძე.

პასუხი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418-ის თანახმად, მემკვიდრეებად ითვლებიან (კანონით ან ანდერძით) პირდაპირი შთამავალნი (ე. ი. გარდაცვალებულის შვილები და შვილის შვილები) გარდაცვალებულის ცოცხალი მეუღლე და აგრეთვე ის შრომის უნარს მოკლებული პირი, რომელიც სცხოვრობდა გარდაცვალებულთან არა ნაკლებ ერთი წლისა მის სიკვდილამდე და იმყოფებოდა გარდაცვალებულის სრულ კმაყოფაზე. მემკვიდრეებად გამოიწვევიან აგრეთვე ის პირნი, რომელნიც მემკვიდრეებად დასახელებული არიან საანდერძო წერილში (იხ. იმავე მუხლ. 421).

მიწა-წყალზე მემკვიდრეობითი უფლებები არ ვრცელდება, რადგანაც იგი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს. (იხ. მიწის კანონთა კოდექსი მუხ. 25 და 2.)

გარდაცვალებულის ძმის შვილის შვილებს არა აქვთ თქვენ მიერ მოყვანილი მაგალითში არც კანონიერი და არც ანდერძითი სამემკვიდრეო უფლებები. ამიტომ მათი მოქმედება უნდა ჩაითვალოს უკანონოდ.

ისეთი ქონება, რომელსაც არა ყავს არც კანონიერი და არც ანდერძითი მემკვიდრე, ჩაითვლება ბეითალმანად და გადადის სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში. (იხ. ამოქ. სამართ. კოდექსის მუხ. 432).

მთავრობის განკარგულებ

დადგენილება 19/67

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. ოქტომბრის 6.

ნახიჩევანის ქვა-მარილზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა, № 46/102 და შესაცვლელად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. აპრილის 21-ს დადგენილების № 28 მუხ. 1-ს ლიტერი „ა"-სი და მუხ. 2-ს ლიტ. „ა"-სი,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს ნახიჩევანის ქვა-მარილზე შემდეგი საზღვრითი საბითუმო (როპოდებით) საგასაცემო ფასები:

ა) ფრანკო-რონოდა თბილისის სადგური:

	სახელმწ. სავაჭრო ორგან. და კოოპერაციისთვის	კერძო პირთათვის
1 კილოგრამი	3,42 კაპ.	3,54 კაპ.

§ 2.

დაწესებულ იქნეს ნახიჩევანის ქვა-მარილზე შემდეგი საზღვრითი წვრილ საბითუმო ფასები სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების და კოოპერაციის ფრანკო-საწყობი და დუქანი ქალ. თბილისში.

1 კილოგრამი	4,03 კაპ.

§ 3.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 5.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ—**ბერელაშვილი.**

საქმეთა მმართველი—**აბესაძე**

დადგენილება 21/69

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. ოქტომბრის 6.

პურზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. ოქტომბრის 5-ს დადგენილებისა, № 48/104 და შესაცვლელად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილებისა, № 18,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს გამომცხვარ პურზე შემდეგი საზღვრითი ფასები კოოპერაციისა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ქალ. თბილისსა და ბათომში:

1 ხარისხის 1 კილოგრამი	22 კაპ.
2 ხარისხის 1 კილოგრამი	17 კაპ.
3 ხარისხის 1 კილოგრამი	14,5 კაპ

შენიშვნა: ფასები ქართულ (თორნის) პურზე 2 კაპ. მეტი იქნეს დაწესებული თითო კილოგრამზე ხარისხების მიხედვით.

§ 2.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმას.კომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 3.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 4.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ—**ბერელაშვილი**

საქმეთა მმართველი—**აბესაძე.**

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა - განაწილებითი განყოფილება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადებას აძლევს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ აღრიცხველ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

1) ეგნატე ალექსის ძე ბერიძე, 2) ნიკოლოზ ი. გეიდენი, 3) სიმონ ანდრიას ძე კიკნაძე, 4) არკადი სტურუა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეთრე რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი მე-2 რაიონის უჯრედთა ბიუროების წევრების და მდივნების თანადასწრებით.

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება ქალაქის რაიკომის ყველა უჯრედთა მდივნების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლისთავის დღესასწაულის ჩატარების საკითხი.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში 3 ნოემბერს დილის 9-დან 3½ საათამდე:

ბონდარენკო ანნა, მატიაში, ბელიაევი, მხიტაროვი, მეგოვორიანი, დავიდოვი დიმიტრი, ხიხარულიძე ავთანდილ, ბალიაიანი სერგო, წვერავა სიმონ, მშვენიერაძე, სლუცკი ნ. ფ., ჩიხლაძე გიორგი, ბრეგვაძე, მელიქაძე, ბახტაძე, გაბრიელიანი, კავლიაშვილი და შეროზია.

მოხსენებების ჩასატარებლად შემდეგ თემაზე: **„სოციალისტური აღმშენებლობის შედეგები და პერსპექტივები"** (ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავთან დაკავშირებით), საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი ნიშნავს შემდეგ ამხანაგებს:

1-ლი რაიონი

1) თოდრია, 2) გეგეჭკორი, 3) ყურულიშვილი, 4) ვარძიელი, 5) მამულია ი.. 6) სოკოლსკი, 7) შ. ლეჟავა, 8) ქავთარაძე გ., 9) იმედაძე, 10) პაცკევიჩი.

მე-2 რაიონი

1) სვანიძე, 2) ასრიბეკოვი, 3) გუსეინოვი, 4) თათარიშვილი, 5) შავერდოვი, 6) მაშკევიჩი, 7) ჯუღელი, 8) ბაბაჯანოვი, 9) შუშანია.

მე-3 რაიონი

1) ვანციანი, 2) სუტირინი, 3) მათიკაშვილი, 4) ა. ფანცხავა, 5) ხანოიანი, 6 შირვანსკი, 7) გოდაბრელიძე, 8) ოსეპიანი, 9) ვართაპეტოვი.

მე-4 რაიონი

1) მ. ცხაკაია, 2) ლევანდოვსკი, 3) ერქომაიშვილი, 4) ჩხენკელი, 5) სნეგირევი, 6) რახმანი, 7) ლივშიცი, 8) გობეჩია, 9) ლლონტი, 10) პალოტნიკოვი, 11) პიასეცკი, 12) ხაჰაპურიძე, 13) სევერინი, 14) ბუდილევი, 15) პავერმანი, 16) ლისოვსკი, 17 ნემერზელი, 18) მთვარელიძე, 19) ივანჩენკო, 20) ეგიკოვი, 21) ოლინი, 22) შ. ოკუჯავა, 23) მიქაძე, 24 პეტროვი.

ტეხნიკუმებიდან

1) მეძმარიაშვილი, 2) ტერ-სიმონიანი, 3) დუდუჩავა, 4) მახარაძე, 5) ლ. რუხაძე, 6) ავაგარიანი, 7) სალუქვაძე, 8) მამულაშვილი, 9) მელნიკოვი.

შრომის სკოლებიდან

1) ქაცარავა, 2) არუტინოვი, 3) ქრისტოლიუბოვი, 4) მაჭავარიანი, 5) ს. პაპავა, 6) ტალახაძე, 7) მხიტაროვი, 8) პალეტი ,9) გრიგორიანი.

მომხსენებლებს მთავარ მასალებად შეუძლიათ გამოიყენონ: საკავშირო კომპარტიის (ბ) ამ.-კ. საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისები, გამოქვეყნებული „ზარია ვასტოკა"-ს 28 და 29 ოქტომბრის ნომრებში და „კომუნისტი"-ს 31 ოქტომბრის ნომერში, რიკოვის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციაზე: „საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები" ჟურნალ „Спутник Агитатора"-ს დამატება—ოქტომბრის 9 წლისთავისათვის.

შაბათს, 6 ნოემბერს, 1926 წ. სოფ. ჭალაში (საჩხერის რაიონი) დღის 12 საათზე გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ (ლიზა) ალექსანდრე წერეთლის ასულის

ასათიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობართ მეუღლე ნიკიფორე ლუკას-ძე და შვილი ლევან ასათიანები. 416

თბილისის ელექტრო-ანაგებთა სამმართველოს საექსპლოატაციო ნაწილის თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 31-ს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, საექსპლ. ბუხჰალტერიის თანამშრომელი, ამხანაგი

ივანე ასლანის-ძე ნუსანოვი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან ვერცხლის რიგი № 48, ოთხშაბათს, ნოემბრის 3 ს, შუადღის 3 ნახ. საათზე. ხოჯივანქის სასაფლაოზე. 412

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 3 ნოემბერს აბონემენტის გარეშე „კარმენ"
დამსახურებულ მსახიობ სკიბიცკაიას, სპრიშევსკაიას, ვიტინგის, ქარცივაძის, სოკოვნინის მონაწილეობით.
ხუთშაბათს, 4 ნოემბერს—1 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
„ევგენი ონეგინი"
დარჩენილი ბილეთები იყიდება.
5 ნოემბერს პრემიერა „გუგენოტები" ნ. 161

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს გრ. რობაქიძის
ლამარა
პიესა 4 კამარა. მუსიკა ი. ტუსკიასი
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ლ. გუდიაშვილის
შაბათს, 6 ნოემბერს, ან. გლებოვის
ზაგმუკ
ისტ. დრ. 4 მოქ. თარ. ალ. შანშიაშვილის
4—1 ნ. 167 დადგმა ალ. ახმეტელის.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

აპოლო არფასტო სოლეი

ამერიკის საუკეთესო სურათი
„პატარძალთა ხომალდი"
მთავარ როლში ბეტტი კომპსონი
სიმებიანი ორკესტრი ცეიტლინის ხელმძღვანელობით
მერი პიკფორდი საუკეთესო სურათში
მთების გული
(ქალი კენტუკიდან)
გრძელდება
რობინ გუდი-ს ჩვენება
მთავარ როლში დუგლას ფერბენკსი
ანონსი: ამ დღეებში კაპიტალური შეკეთების შემდეგ გაიხსნება კინო დარბაზი (ყოფილი გლობუსი)
ნ. 157 0—2 მალი—გაფლანგვა—პერესტიანის დადგმა

გამოვიდა და იყიდება
„წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი"
თარგმანი ფრანგულით
გერონტი ქიქოძისა
ფასი 1 მან. 50 კაპ.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

მუშკოოპის საკომისიო პუნქტში
(მუხრანის ბაზარი)
მიღებულია კერჩის
სელდი და ხამსა
იყიდება ბითუმად ყველაზე.
ნ. 160 3—1. მუშკოოპი.

ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჩხიკვიშვილი

აცხადებს, რომ ოცდაორს ნოემბერს, 1926 წ. დილის 10 საათზე, ლანჩხ. სახ. სასამ. შენობის დარბაზში, ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ლანჩხუთის მთლიან მომხმარებელი საზოგადოების ქონებას, სახელდობ: ერთ სართულიან ოთხ თვალ აგურის შენობას, ქერამიტით დახურულს, აგებულს ქ. ლანჩხუთში, ელექტრონის ქ. № 23 აწერილს ქარხნის „წითელი ოქტომბერი"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად. აწერილი ქონება შეფასებულია ორი ათასი მანეთი და ვაჭრობა, როგორც მეორე, მოხდება თანახმად 318 მუხ. სამოქ. სამ. საპრ. კოდ. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამ. აღმასრულებელს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. იმავე კოდ. ნ. 166

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 54825—1

ქუთაისში
ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ.
საღამოს 6—8 საათ. 25—2

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ძლიქის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19. იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, 6. ღ

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დღ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამის (ყოფილი ბებიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87

ექ. ქ. ტყეშელაშვილი
აბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 52—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფორმა 4. № 9 და პირადობის მოწმობა მოცემული სახ. უნივერსიტეტიდან კალისტრატე სპირიდონის-ძე ობოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 421

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი ისაკ ვართანიანის სახელზე, ჩ. გ. 420

დაიკარგა მიწა-ტყის პროფკავშირის წიგნაკი № 1548, ნიკოლოზ იოსების-ძე კონსტანტინოვის სახელზე, ჩ. გ. 415

დაიკარგა სამთომადნო მუშაკთა კავშირის მიერ მოცემული დაზღვევის წიგნაკი და სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა მოცემული ქიათურის სამობილიზაციო კომისიის მიერ პეტრე გრიგოლის-ძე კირვალიძის სახელზე, ჩ. გ. 417

დაიკარგა კავშირის წიგნაკი (განათ. მუშ. (გაცემული სისო კიკაჩეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 424

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სალექციო წიგნაკი № 122, გაცემული თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტ. მიერ დავით ლავრენტის-ძე დოლელიანის სახელზე, ჩ. გ. 423

დაიკარგა თბილისის საექიმო ფაკულტეტთან არსებულ მედიკურ ტეხნიკუმიდან მიღებული პირადობის მოწმობა № 174 ნინა ლუკას ასული ანდრიაძის სახელზე, ჩ. გ. 422

დაიკარგა ქორწინების მოწმობა ნადეჟდა ილარიონის ასული კაჭახიძის სახელზე, ჩ. გ. 419

დაიკარგა სალექციო წიგნაკი „მატრიკული" № 321, ნიკიტა ყიფშიძეს სახელზე, ჩ. გ. 414

დაიკარგა სალექციო წიგნაკი № 381 გაცემული სახ. უნივ. ნინო ალექსის ასული გოგუაძის სახელზე, ჩ. გ. 418

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68